

მიტო
კარტა
ФИЗИКО-ГЕОГРАФИЧЕСКИХ
ОБЛАСТЕЙ И РАЙОНОВ
КАВКАЗА
 კ. учебнику „Географии Кавказа“
 А.Ф.Ляйстера и Г.Ф.Чурсина.

სივრცითი
სტრუქტურის
შესახებ



ФИЗИКО-ГЕОГРАФИЧЕСКИЕ
ОБЛАСТИ И РАЙОНЫ

- I. Степи Кубанские**
- Приазовская низм. полоса
- При-и закубанская степь
- II. Прикаспийские степи С. Кавказа**
- Терско-астраханск. низмен.
- Ставроп.-Терские степи
- III. Нагорн. лесная полоса Сед. Кавказа**
- Закубан. лесной район
- Затеречн. лесной район
- IV. Дагестан**
- Дагестан-Кубин. район
- Нагорный Дагестан
- V. Пантийская область**
- Западное Закавказье
- Новороссиис. район
- Средне-Чорохский район
- VI. Южные склоны Главного хребта**
- Долины у Южной подошвы
- Горная лесная полоса
- VII. Малый Кавказ**
- Крепкие хребты Мал. Кавк.
- VIII. Степи Вост. Закавказья**
- Степное плоскогорье
- Прикаспийские степи
- IX. Талыш**
- Талыш
- X. Степи Южн. Закавказья**
- Зриванская котловина
- Закавказское плоскогорье
- Духоборье и Лори
- Высокогорная область**
- Альпийская область
- Синтопа

სივრცითი
სტრუქტურის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

როლანდ თოფჩიშვილი

**მითი
კავკასიური
ცივილიზაციის
შესახებ**

თბილისი
2012

Роланд Топчишвили

**Миф о кавказской
цивилизации**

**Тбилиси
2012**

კავკასია მუდამ იქცევდა სხვადასხვა დროის მწერალთა და მოღვაწეთა ინტერესს. ეს ინტერესი მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული. პირველ ყოვლისა, ესაა რეგიონის ადმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზე მდებარეობა, ბუნებრივ-გეოგრაფიული და კლიმატური მრავალფეროვნება, ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური სიჭრელე და ეთნიკური კულტურების არაერთგვაროვნობა. კავკასიაში მცხოვრებმა ეთნოსებმა ორიგინალური კულტურები შექმნეს. ჩრდილოეთ კავკასიელები და სამხრეთ კავკასიელები ეთნიკური კულტურით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ამისდა მიუხედავად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის მეცნიერთა გარკვეულ წრეებში, გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, დაიწყეს მტკიცება საერთო კავკასიური კულტურისა და ერთიანი კავკასიური ცივილიზაციის შესახებ. ამ მოსაზრებას მიმდევრები საქართველოშიც გამოუჩნდნენ. წინამდებარე წიგნის ავტორს კი განსხვავებული შეხედულება გააჩნია.

რედაქტორები: გიორგი ჟუჟუნაშვილი როზეტა გუჯეჯიანი

ნაწილი პირველი

ბოლო დროს ხშირად საუბრობენ “კავკასიურ ცივილიზაციაზე” – ასეთი სათაურით გამოიცემა წიგნები, სხვადასხვა სახის ნაშრომები, ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმები.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ კავკასია ევროპისა და აზიის მიჯნაზე მდებარე საკმაოდ დიდი რეგიონია, რომლის ფართობი, დღეს მიღებული განმარტებით, 467 964 კვადრატული კილომეტრს შეადგენს. აღნიშნულ ფართობს რეალურად უნდა დავუმატოთ თანამედროვე თურქეთისა და ირანის ფარგლებში მოქცეული ტერიტორიები (თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ვილაიეთები და ირანის ჩრდილო-დასავლეთი ორი ოსთანის უკიდურესი ჩრდილოეთი მხარეები), მაშინ კავკასიის რეგიონის ფართობი 580 000 კვადრატულ კილომეტრსაც აჭარბებს. თანამედროვე მეცნიერული მონაცემებით, ჩრდილოეთ კავკასია ევროპას ეკუთვნის, სამხრეთ კავკასია – აზიას. კავკასიას ერთი ფრიად მნიშვნელოვანი რამ ახასიათებს: ის მთელი ისტორიის მანძილზე და დღესაც ეთნიკურად და კულტურულად იყო და არის უაღრესად ჭრელი. კავკასია იყო სხვადასხვა კულტურებისა და ეთნოსების თანაარსებობის, შეხვედრის გეოგრაფიული არეალი. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, კავკასია სხვადასხვა იმპერიების ინტერესთა სფეროში შედიოდა. ასეა ეს დღესაც.

სხვადასხვა ბუნებრივ-გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებში მცხოვრებ მრავალრიცხოვან და სხვადასხვა იდეოლოგიის მატარებელ ხალხებს ჰქონდათ თუ არა საერთო, მსგავსი კულტურა და იყვნენ თუ არა ისინი ერთი ცივილიზაციის შემადგენელი ნაწილი? უფრო სხვანაირად რომ ვთქვათ, არსებობდა თუ არა “კავკასიური ცივილიზაცია”? მკითხველი მიხვდება, რომ ტერმინის “კავკასიური ცივილიზაციის” ბრჭყალებში ჩასმა დასმული საკითხისადმი ჩვენს დამოკიდებულებას გამოხატავს.

უპირველეს ყოვლისა, ტერმინის “ცივილიზაციის” შესახებ. რას გულისხმობდნენ და რას გულისხმობენ ამ ტერმინში? პრობლემის გადასაწყვეტად მის დეფინიციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა

აქვს. ისევე როგორც “კულტურის”, “ცივილიზაციის” მრავალი განმარტება არსებობს, ესე იგი მეცნიერებაში ამ ცნების/ტერმინის საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება არ გაგვაჩნია. მიუხედავად ამისა, “ცივილიზაციის” მთელ რიგ პოსტულატებზე მეცნიერები შეთანხმებული არიან. ტერმინს საფუძვლად უდევს ლათინური სიტყვა - *civilis* - რაც ნიშნავს “სამოქალაქოს”, “სახელმწიფოებრივს”. ჩვეულებრივ, ფილოსოფიურ ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებში ცნება “ცივილიზაცია” ასეა განმარტებული: **საზოგადოების მატერიალური და სულიერი მიღწევების ერთობლიობა**. ფილოსოფიურ კონცეფციებში ცივილიზაციას მსოფლიო-ისტორიული პროცესის ანალიზის კონტექსტში განიხილავენ. ფრანგი განმანათლებლები ცივილიზებულს უწოდებდნენ ისეთ საზოგადოებას, რომელიც გონებასა და სამართლიანობაზე იყო დაფუძნებული. ზოგიერთი მეცნიერი (*კანტი, შპენგლერი, ნ. დანილევსკი*) მას “კულტურის” ცნებას უპირისპირებდა. *ა. ტოინბი* ცივილიზაციას განსაზღვრავს როგორც კვლევის ხელოვნურად იზოლირებულ ისტორიის მონაკვეთს, ისე რომ ყოველი მონაკვეთის მთლიანობა განაპირობებს ერთი ცივილიზაციის მეორისაგან გამიჯვნას. თანამედროვე სოციოლოგიაში (*ლ. შაიტი*) ცივილიზაცია განიხილება შინაგანი ორგანიზებულობის თვალსაზრისით. გამოარჩევენ სამ ძირითად კომპონენტს: ტექნიკა, სოციალური ორგანიზაცია და ფილოსოფია. ორი დანარჩენი კომპონენტის განმსაზღვრელად ტექნიკას მიიჩნევენ. ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, მარქსიზმი (*ფ. ენგელსი*) ცივილიზაციასთან მიმართებაში კლასობრიობის პოზიციიდან გამოდიოდა და მის ქმნადობას წოდებებსა და კლასებს შორის ანტაგონიზმის გაჩენას, შრომის დანაწილების გაღრმავებას, კლასობრივ ურთიერთობათა არსის გამომხატველი კანონების წარმოშობას უკავშირებდა¹.

ამრიგად, სხვადასხვა გაგებით, ცივილიზაცია არის: 1. კულტურის სინონიმი, 2. საზოგადოებრივი განვითარების და

¹*ფილოსოფიური* ლექსიკონი. თბ., 1987: 670. თარგმანი რუსული გამოცემისა - Философский словарь. Под редакцией И. Т. Фролова, М., 1980.

მატერიალური და სულიერი კულტურის დონე, 3. საზოგადოებრივი განვითარების საფეხური, რომელიც ბარბაროსობის შემდეგ ჩნდება².

საყოველთაოდ ცნობილია, რომ განსხვავდება ერთმანეთისაგან ცივილიზაციის ფრანგულ-ინგლისური და გერმანული გაგება. ცივილიზაციის შესახებ ცნობილი მეცნიერის ნორბერტ ელიასის ზოგიერთ შეხედულებას შემოგთავაზებთ: *“ცივილიზაციის” ცნება სრულიად განსხვავებულ ფაქტებს მიესადაგება: ტექნიკის მდგომარეობას, ქვევის ნორმებს, მეცნიერული ცოდნის განვითარებას, რელიგიურ იდეებს და ჩვეულებებს. ის შეიძლება ქალისა და მამაკაცის ცხოვრების წესს, სამართლებრივი დასჯის ფორმებს თუ საჭმლის მომზადებასაც ეხებოდეს*”. *“მასში (ცივილიზაციაში - რ. თ.) შეჯამებულია ყველაფერი, რაშიც უკანასკნელი ორი ან სამი საუკუნის დასავლური საზოგადოება უფრო ადრინდელ ან თანამედროვე “პრიმიტიულ” საზოგადოებებთან მიმართებაში თავს აღმატებულად მიიჩნევს. მისი საშუალებით დასავლური საზოგადოება ცდილობს დაახასიათოს ყველაფერი ის, რაც მის თავისთავადობას გამოხატავს და რითაც ის ამყოფს: თავისი ტექნიკის მდგომარეობა, თავიანთი მანერების სახე, თავისი მეცნიერული ცოდნის თუ მსოფლმხედველობის განვითარება და სხვა მრავალი”*³. ცივილიზაციის ფრანგული და ინგლისური განმარტება ეხება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, რელიგიურ, მორალურ და საზოგადოებრივ ფაქტებს. ძირითადი აქცენტი გადატანილია ადამიანთა მიღწევებზე, თუმცა მათ ქცევებსაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. *“გერმანულში “ცივილიზაცია”, რაღაც ძალიან საჭიროს, მაგრამ მაინც მეორე რანგის ღირებულებას აღნიშნავს. უფრო ზუსტად, კი იმას, რაც ადამიანის გარეგნულ მხარეს, ადამიანური არსებობის ზედაპირულ შრეს მოიცავს”*⁴.

არსებობს ცივილიზებული ადამიანის ცნებაც. რომელშიც გულისხმობენ განათლებულ, ზნეობრივ, დახვეწილ, თავაზიან, კარგი მანერების მქონეს. ახალი ისტორიის საწყისი ეტაპიდან ევროპელები მხოლოდ თავიანთ თავს თვლიდნენ ცივილიზებულად

² *Философский энциклопедический словарь*, 1989.

³ *ელიასი ნ. 2005*, ცივილიზაციის პროცესის შესახებ, წიგნი I, თბ., 2005, გვ. 62.

⁴ *ელიასი ნ. 2005*, ცივილიზაციის პროცესის შესახებ, წიგნი I, თბ., 2005, გვ. 63.

და კოლონიზაციას, დაპყრობებს იმით ამართლებდნენ, რომ არაცივილიზებული ხალხები ცივილიზებულ ხალხებად უნდა ექციათ. ეგვიპტის დაპყრობის დროს *ნაპოლეონი* ჯარისკაცებს მოუწოდებდა: *“ჯარისკაცებო, თქვენ ახორციელებთ დაპყრობას, რომლის შედეგები განუზომელი იქნება ცივილიზაციის თვალსაზრისით”*. სხვათა შორის, რუსეთის იმპერიაც ამავე დევიზით ამართლებდა იმპერიის სხვათა ხარჯზე გაფართოებას⁵. დღესაც რუსეთში გამოსული სამეცნიერო ლიტერატურა იმ იდეითაა განმსჭვალული, რომ კავკასიის არაცივილიზებულ ხალხებს ცივილიზაციის გზაზე აყენებდნენ.

“ცივილიზაცია” გარკვეულ დაპირისპირებაშია “კულტურის” ცნებასთან. კულტურა თუ ეთნიკურია/ეროვნულია, ამას ვერ ვიტყვით “ცივილიზაციის” შესახებ. კულტურა ბევრად უფრო ადრე, ადამიანის გაჩენისთანავე წარმოიქმნა: პირველი ქვის იარაღი უკვე კულტურის ელემენტი იყო. ცივილიზაცია კი საკმაოდ გვიან წარმოიქმნა. მიიჩნევენ, რომ ცივილიზაცია თავის არსებობას იწყებს სახელმწიფოების და ქალაქების გაჩენის შემდეგ. ცივილიზაციისათვის ეთნიკური/ეროვნული განსხვავებანი არსებითი არ არის. მთელი რიგი ხალხები შეიძლება ერთი ცივილიზაციისადმი იყვნენ მიკუთვნებული. *“კულტურა მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა ერთობლიობაა, ადამიანი რომ ქმნიდა დღიდან მისი გაჩენისა. ცივილიზაცია კი მსოფლიოს-ისტორიული პროცესის ერთ გარკვეულ ეტაპზე წარმოქმნილი საზოგადოებაა, ან როგორც მას უწოდებენ - სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ორგანიზმია. ამიტომაცაა ცივილიზაცია უფრო ფართო ცნება: იგი მოიცავს როგორც სოციალურ-ეკონომიკურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ასევე კულტურულ სტრუქტურებს”*⁶.

“ცივილიზაციის” განმსაზღვრელ კრიტერიუმთაგან და დამახასიათებელ ნიშან-თვისებათაგან ყველაზე უფრო

⁵ *Гудаков В.В.* Северо-Западный Кавказ в системе межэтнических отношений с древнейших времен до 60-х годов XIX века, СПб., 2007. С. 502.

⁶ *ლორთქიფანიძე ო.* ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002, გვ. 5.

სრულყოფილადაა მიჩნეული ინგლისელი ისტორიკოსისა და არქეოლოგის *გორდონ ჩილდის* შემუშავებული სქემა. *გ. ჩილდის* მიხედვით “ცივილიზაციას” ათი არსებითი ნიშანი ახასიათებს:

1. სახელმწიფო ორგანიზაცია;
2. სოციალურად დიფერენცირებული საზოგადოება; კლასების არსებობა;
3. მიწაზე მემკვიდრეობითი საკუთრება;
4. გადასახადების სისტემა და რეგულარული ხარკის მიღებით დაგროვილი ცენტრალიზებული სიმდიდრე;
5. სავაჭრო ურთიერთობათა განვითარება;
6. პროფესიონალ ხელოსანთა, სპეციალისტთა გაჩენა;
7. დამწერლობა;
8. ქალაქების გაჩენა;
9. მონუმენტური ნაგებობები;
10. მეცნიერებისა და ხელოვნების ჩანასახები⁷.

1958 წელს ჩიკაგოში ცივილიზაციის საკითხებისადმი მიძღვნილ დისკუსიაზე საჭიროდ მიიჩნიეს ჩამოთვლილი ნიშან-თვისებების შემცირება. *გ. ჩილდის* ჩამონათვალიდან გამოიყო ცივილიზაციის სამი ძირითადი მახასიათებელი: 1. ქალაქების გაჩენა; 2. დამწერლობის გაჩენა; 3. მონუმენტალური ნაგებობების გაჩენა. შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის მეცნიერებაში განმტკიცებულია მოცემული მიდგომა. მაგალითად, ავტორები წიგნისა «*Древние цивилизации*» (რედაქტორი *გ. ბონგრად-ლევინი*) ხუთ ნიშანზე ჩერდებიან: 1. ქალაქების არსებობა; 2. სახელმწიფო; 3. სამართალი; 4. დამწერლობა; 5. სოციალური სტრატეფიკაცია, რომლებიც არსებითად ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებში თავსდებიან⁸. ცივილიზაციისადმი ანალოგიური დამოკიდებულება გააჩნიათ აგრეთვე *ვ. მასონს*, *რ. ადამსს*, *კ. რენფრიუსს*, *კ. ფლანერისს*. ამ უკანასკნელის ფორმულირებით, ცივილიზაცია კულტურული ფენომენების კომპლექსია, რომელიც დაკავშირებულია სოციალური ორგანიზაციის ისეთ ფორმასთან, როგორცაა სახელმწიფო. *ვ. მასონი*

⁷ *Childe G.* The Urban Revolution // *Town Planning Review*. Liverpool, 1950. V. 21. #1. http://en.wikipedia.org/wiki/Urban_Revo_Revolution

⁸ <http://kultby.in/tag/osnovnye-priznaki-civilizacii>

პირველი ცივილიზაციების სპეციფიკურ თავისებურებად ფიზიკური შრომიდან გონებრივი შრომის გამოყოფასა და იდეოლოგიის სფეროში ცვლილებებს მიიჩნევდა, როდესაც – ყალიბდება ახალი იდეოლოგიური კანონები, რომლებიც, როგორც წესი, რელიგიურ ფორმებში გამოიხატება⁹. კიდევ ერთი ავტორის შესახებ: ძველი ჩინური კულტურის მკვლევარი *ვ. ებერჰარდი* ცივილიზაციის აუცილებელ ელემენტებად მიიჩნევს: 1. სოციალურად დიფერენცირებულ საზოგადოებასა და სახელმწიფო ორგანიზაციას; 2. მარცვლეული კულტურების მოყვანაზე აქცენტირებულ მიწათმოქმედებასა და მოშინაურებული საქონლის გამოყენებას; 3. საქალაქო ცენტრების (თუნდაც ერთის) და, შესაბამისად, ქალაქური ტიპის არქიტექტურის არსებობას; 4. ლითონების გამოყენებას; 5. დამწერლობას; 6. სახელმწიფო აღრიცხვიანობას¹⁰.

წიგნში “თეორიული ეთნოლოგია” ცივილიზაციის შემდეგი განმარტება გვაქვს მოცემული: *“ადამიანთა ლოკალური სოციო-კულტურული ერთობა, რომელმაც თავისი განვითარებისას მატერიალური და სულიერი კულტურის მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. ცივილიზაციის ნიშნებად მიაჩნიათ: სახელმწიფო, ქალაქები, მონეტა, ვაჭრობა, დამწერლობა და სხვა. ფართო მნიშვნელობით ცივილიზაცია მოიცავს ხალხთა ჯგუფებს, აგრეთვე ვრცელ გეოგრაფიულ სივრცეებს ან მთელ კონტინენტებს და ვარაუდობს ისეთი ცივილიზაციების არსებობას, როგორებიცაა ევროპული, აზიური, არაბული და ა. შ. საზოგადოების განვითარების თანამედროვე დონეზე მეცნიერები კაცობრიობას რამდენიმე ცივილიზაციად ყოფენ (მათი რაოდენობა ოთხიდან რვაამდე მერყეობს). მაგალითად, ამერიკელი სოციოლოგი ჰანტიგტონი ამტკიცებს, რომ დღეისათვის მსოფლიოში არსებობს ისეთი ცივილიზაციები, როგორებიცაა დასავლური, მართლადიდებლურ-ქრისტიანული, კონფუციური, იაპონური, ისლამური,*

⁹ *Массон В.* Первые цивилизации, Л. 1989; http://yanko.lib.ru/books/hist/masson-first_civilizations

¹⁰ *ლორთქიფანიძე ო.* ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002, გვ. 5.

ინდუსტრიული და აფრიკული, რომლებიც ხალხთა ნაციონალურ-რელიგიურ თავისებურებებს ეყრდნობა. რუსები ცალკე გამოყოფენ რუსულ ცივილიზაციას, მას სხვანაირად ევრაზიულ ცივილიზაციასაც უწოდებენ და აღნიშნავენ, რომ მასში ორი საწყისია შერწყმული. თითოეული ცივილიზაციისათვის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია ისტორიული პირობების, ნაციონალური, კულტურული, ფსიქოლოგიური ნიშნების ერთობა, რომელშიც სხვადასხვა ეთნოსები გლობალურ ერთობებად არიან გაერთიანებულნი¹¹.

ცივილიზაციის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები შეჯერებულია: ა) “ცივილიზაციის ერთი ძირითადი მნიშვნელობაა მისი, როგორც გარკვეული ტიპის მთლიანად წარმოდგენა. როგორც ამა თუ იმ სოციალური ერთობის განვითარების გარკვეულ საფეხურად ყოფნა”; ბ) “ცივილიზაციის ცნების მეორე მნიშვნელობა დაკავშირებულია სოციალური ყოფიერების გარკვეულ ეტაპთან, ველურობისა და ბარბაროსობის შემდგომ პერიოდთან, რომელიც წარმოდგენილია უწყვეტად დღევანდლამდე”; გ) ცივილიზაციის მესამე მნიშვნელობა განიხილება როგორც ცალკეულ კულტურათა განვითარების ერთ-ერთი ეტაპი¹². “ცივილიზაცია ადამიანთა კულტურული დაგვიწყების ყველაზე მაღალი საფეხურია, კულტურული განსაზღვრის ის უმაღლესი დონე, რაც სხვა ნიშან-თვისებებთან ერთად გამოარჩევს ადამიანს დანარჩენ ბიოლოგიურ სახეობათაგან. ამ თუ იმ ცივილიზაციის გამორჩეულობას განაპირობებს როგორც საერთო ენა, ისტორია, რელიგია, ადათები, წეს-ჩვეულებები - ისე ადამიანის მიერ საკუთარი მეობის განსაზღვრის სუბიექტური ნება¹³.

ზემოთ ცივილიზაციის სხვადასხვა მიდგომაზე გავამახვილეთ ყურადღება, მაგრამ აქცენტი ძირითადად ისტორიულ მიდგომაზე შევაჩერეთ. არსებობს რეგიონალური, სტადიური, ფორმაციული, ლოკალური ცივილიზაციის ცნებები. რეგიონალურ

¹¹ *თოფჩიშვილი რ., ხუციშვილი ქ., გუჯაჯიანი რ.* თეორიული ეთნოლოგია, თბ., 2010, გვ. 447-448.

¹² *კოდუსა ე.* კულტურის სოციოლოგია, თბ., 2001, გვ.113-114.

¹³ *საზოგადოება და პოლიტიკა*, II, თბ., 1999, გვ. 8.

ცივილიზაციებში ეთნიკურ და ეთნოსთაშორის ცივილიზაციებს გულისხმობენ; სტადიალურში – კაპიტალიზმამდე, კაპიტალისტურ, პოსტინდუსტრიულ ცივილიზაციებს; ფორმაციულში – მონათმფლობელურ, ფეოდალურ, კაპიტალისტურ ცივილიზაციებს; ლოკალურში – ევროპულ, აზიურ, ახლოაღმოსავლურ ცივილიზაციებს. ლიტერატურაში ხშირად საუბრობენ აგრეთვე შუმერულ, კრეტულ, ანტიკურ, ჩინურ, ბიზანტიურ, ინდურ, ისლამურ და ა. შ. ცივილიზაციებზე. ადვილად შესამჩნევია, რომ ზოგიერთი ცივილიზაცია მჭიდროდაა დაკავშირებული ეთნოსებთან ან სახელმწიფოებთან: იაპონური, რუსული, გერმანული, ძველბერძნული, რომაული, შუმერული, ჩინური, ეგვიპტური, ასირიულ-ბაბილონურ-ფინიკიური, ახალ-სემიტური ანუ არაბული, მექსიკური, პერუანული...¹⁴. ა. ტონბი 21 ლოკალურ ცივილიზაციას გამოყოფდა. ეთნიკურ ცივილიზაციებს შორის უდავოდ გამოიყოფა ქართული ცივილიზაცია, რომელიც ცივილიზაციის ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს¹⁵.

არსებობდა თუ არა კავკასიური ცივილიზაცია, რომელიც რეგიონალურ ცივილიზაციად უნდა განიხილებოდეს. “კავკასიური ცივილიზაციის” აქტიურ მომხრეთა შორის შეიძლება ი. ხაძიევი და ვ. დავიდოვიჩი დავასახელოთ. პირველისათვის ცივილიზაციის ნიშნებია: ტერიტორიის ერთიანი მასივი, მასზე ერთი და იგივე ტომებისა და ხალხების ყოფნა, საერთო ისტორია, ერთი რასა, ფსიქოლოგია, ერთნაირი წეს-ჩვეულებები და ტრადიციები, დამწერლობა...¹⁶ ი. ხაძიევისათვის კავკასიური ცივილიზაციის უარყოფის საფუძველს კავკასიელ ხალხებში სხვადასხვა მსოფლიო რელიგიების არსებობა ხელის შემშლელი ფაქტორი არაა. მიუხედავად იმისა, რომ ვაინახები მუსლიმები არიან და ქართველები – მართლმადიდებლები, მათ მაინც ერთნაირი წეს-ჩვეულებები და ტრადიციები, ტანსაცმელი და საკვები, მონათესავე ენები აქვთ,

¹⁴ *Сайко Э.* Цивилизация в пространственно-временном континууме социальной эволюции и проблема ее системного слома // Цивилизация. Восхождение и слом: Структурообразующие факторы и субъекты цивилизационного процесса. М., 2003. С. 16.

¹⁵ *ლორთქიფანიძე ი.* ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002.

¹⁶ <http://www.ia-maxsimum.ru/press283.htm>.

მიეკუთვნებიან ერთ რასას. რით შეიძლება აღნიშნულ ავტორს ვუპასუხოთ? მის მიერ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან არც ერთი არ მიეკუთვნება ცივილიზაციის ნიშნებს. ცივილიზაციის ნიშანი არაა “ტერიტორიის ერთიანი მასივი”, ანუ მეზობლად ცხოვრება, რასა, წეს-ჩვეულებები და ტრადიციები. ანდა ვინ დაადასტურა, რომ ქართველებსა და ჩეჩენ-ინგუშებს ერთნაირი წეს-ჩვეულებები და ტრადიციები ჰქონდათ. მეზობელ ქართველ მთიელებთან შეიძლება ვაინახებს მსგავსი ტრადიციები ჰქონდათ, მაგრამ რა ვუყოთ დანარჩენ საქართველოს? ერთი რასობრივი ტიპი თუ ცივილიზაციის ნიშანია, მაშინ ყველა ევროპეიდი ან მონგოლოიდი ევროპეიდული და მონგოლოიდური ცივილიზაციების წარმომადგენლები ყოფილან. ვინ ადასტურებს, რომ ჩრდილოეთ კავკასიელებსა და ქართველებს საერთო ისტორია ჰქონდათ? საინტერესოა, ამ საერთო ისტორიაში პოლიტიკური ისტორია იგულისხმება, სოციალური, ეკონომიკური თუ ეთნიკური? ერთი სიტყვით, ქართველებსა და ვაინახებს საერთო არც კვებითი კულტურა და არც სამოსი ჰქონიათ. მეზობელი ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის - ხევსურებისაგანაც კი (რომლებიც ერთიან ქართულ სახელწიფოებრივ სისტემაში ავტონომიურად ფუნქციონირებდნენ), ამ მხრივ განსხვავებული კულტურის ელემენტები გააჩნდათ. საერთოდ, ვაინახებსა და ქართველ მთიელებს მხოლოდ კულტურის ზოგიერთი ელემენტი ჰქონდათ საერთო. კულტურის ელემენტის საერთოობა კი სხვადასხვა ეთნოსებს ერთ საერთო ცივილიზაციაში არ აქცევს. როგორ შეიძლება სხვადასხვა რელიგიების, ამ შემთხვევაში ისლამისა და მართლმადიდებლობის აღმსარებელნი ერთი ცივილიზაციის ნაწილნი იყვნენ? ყველაზე გასაოცარი ისაა, რომ ცივილიზაციის საერთო ნიშნად ავტორი დამწერლობასაც ასახელებს. დამწერლობა კავკასიაში ხომ მხოლოდ ქართველებსა და სომხებს ჰქონდათ. ქართული დამწერლობა ჩაჩნებისა და ინგუშებისაც იყო? ისტორიაში ასეთი არც ერთი ფაქტი არაა დადასტურებული. ერთი ნიშანდობლივი კრიტერიუმი კავკასიური ცივილიზაციისა თურმე კავკასიაში მცირერიცხოვანი ხალხების დიდი რაოდენობით არსებობაც ყოფილა (?!).

ზემოთ დასახელებულ მეორე ავტორზე - ვ. დავიდოვიჩის “მოსაზრებების” განხილვაც არ ღირს თუნდაც, იმიტომ, რომ ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფი - ხევსურები - მას ცალკე ეთნოსი ჰგონია, ხოლო ქართველები და თურქულენოვანი ყუმუხები - ერთი ხის სხვადასხვა შტოები, მაგრამ, რადგან ის ე. წ. საერთო კავკასიური ცივილიზაციის ექვს ნიშანს გამოყოფს, ამ ნიშნებსაც უნდა გავეცნოთ. ავტორი აღნიშნავს: «Отмеченные А. Тойнби 36 цивилизаций не включают в себя кавказскую. Думается, что это, мягко говоря, недоработка крупного мыслителя»¹⁷. მის მიერ გამოყოფილი ექვსი ნიშანი კი შემდეგია: 1. რეგიონის ყველა ხალხისათვის დამახასიათებელი ნიშნები დაკავშირებულია ერთგვაროვან (მთურ) ლანდშაფტში მრავალწლიანი ცხოვრებით, რამაც განაპირობა მეურნეობისა და ყოფის თავისებურებები, მითოლოგიის ერთიანი ელემენტები, ჩვეულებათა და ტრადიციების სპეციფიკა. აქვე ხაზი ესმის მთიელთა თავისებურ მენტალიტეტს, ემოციურობას, რაც, თურმე, არა მხოლოდ მთაში მცხოვრებთათვის, არამედ ყუმუხებისა და აფშერონის ნახევარკუნძულზე მკვიდრებისათვისაც ნიშანდობლივი ყოფილა; 2. მეურნეობის, მემცენარეობისა და მეცხოველეობის, ხელოსნობის, არქიტექტურული ფორმებისა და კვების თავისებურებანი. ისტორიული მეხსიერება; 3. გვაროვნული და ფეოდალური ურთიერთობები; 4. სულიერი კულტურის ბევრი ნიშნის თანხვედრა. ამ თანხვედრის დამადასტურებელი ყოფილა “ნართების” ეპოსისა და შოთა რუსთაველის სტრიქონების მსგავსება; 5. ნაციონალური ფსიქოლოგიის იდენტური მომენტები: თავისუფლებისმოყვარე სული და სიფიცხე, უხუცესთა ავტორიტეტის აღიარება და ეტიკეტური ნორმების სკრუპულოზური დაცვა; 6. წარსულისათვის დამახასიათებელი იყო შეხლა-შემოხლა და თარეშები, მაგრამ

¹⁷ *Давыдович В. Е.* Существует ли кавказская цивилизация? - Научная мысль Кавказа. Ростов н/Д, 2000. №2 (22). ცივილიზაციაზე ანალოგიური შეხედულება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშიცაა გამოთქმული: “არც ერთი მათგანი (ნ. დანილევსკი და ა. ტოინბი - რ. თ.) კავკასიის ცივილიზაციაზე არ მიუთითებს. ვფიქრობთ, კარგი იქნება, თუ მეცნიერებაში ეს ხარვეზი გამოსწორდება” (*კვიციანი ჯ.* კავკასია და კავკასიელები, თბ., 2010, გვ. 14).

კავკასიელებმა ერთმანეთს შორის ხანგრძლივი სრულმასშტაბიანი ომები არ იცოდნენ.

როგორც აშკარად ჩანს, ვ. დავიდოვიჩისათვის მთლად უცნობია ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ზოგიერთ კავკასიურ ეთნოსს მეურნეობის მსგავსი ფორმები თუ გააჩნია, სხვათა მეურნეობის ფორმები ფრიად განსხვავდება ერთმანეთისაგან; რამდენიმე კავკასიურ ეთნოსს თუ საერთო და მსგავსი მითოლოგია გააჩნია (მაგალითად, “ნართების” ეპოსი), ძირითადი ეთნოსებისათვის ის დამახასიათებელი არაა; ჩრდილოეთ კავკასიელთა მენტალიტეტს თუ საერთოობა გააჩნია, ამას ვერ ვიტყვით ჩრდილოეთ კავკასიელთა და სამხრეთ კავკასიელთა მენტალიტეტზე. სამხრეთ კავკასიელთა, კერძოდ, სომეხთა და ქართველთა მენტალიტეტს კი მიუხედავად ქრისტიანული აღმსარებლობისა, ფრიად განსხვავებულია; გვაროვნული ურთიერთობა და ცივილიზაცია ერთმანეთთან შეუთავსებელი მოვლენებია. ფეოდალური ურთიერთობანი კლასიკური ფორმით სამხრეთ კავკასიელებისათვის იყო დამახასიათებელი. ჩრდილოეთკავკასიელთა უმეტესობა კი ფეოდალურ ფორმაციას საერთოდ არ იცნობდა ან მხოლოდ მისი ჩანასახები გააჩნდათ; არც სულიერი კულტურა ჰქონიათ კავკასიის ხალხებს საერთო. განსაკუთრებით დიამეტრალურად განსხვავებული იყო ერთმანეთისაგან ჩრდილოეთ კავკასიელთა და სამხრეთ კავკასიელთა სულიერი კულტურა. ქართველთა და სომეხთა სულიერი კულტურა ქრისტიანობით იყო ნასაზრდოები, სხვებისა კი – არა. ვ. დავიდოვიჩი ქართული მწერლობის შედეგს “ვეფხისტყაოსანს” აგდებით მოიხსენიებს, როდესაც ამ ნაწარმოებსა და “ნართების” ეპოსს ერთმანეთს ადარებს. მას აშკარად არც “ნართები” აქვს წაკითხული და არც “ვეფხისტყაოსანი”; თავისუფლებისმოყვარეობაც თურმე კავკასიური ცივილიზაციის საერთო ნიშანი ყოფილა. უზუცესთა, ბელადთა ავტორიტეტი (ამ შემთხვევაში უზუცესთა პატივისცემასა და მოწიწებას არ ვგულისხმობთ) კი ბარბაროსობის საფეხურზე მდგომი ხალხებისათვის იყო დამახასიათებელი და არა ცივილიზებული ხალხებისათვის; ფართომასშტაბიანი და ხანგრძლივი ომების

არ არსებობაც კი ცივილიზაციის ნიშანი ყოფილა. თარეშები თურმე სათვალავში ჩასაგდები არაა.

ავტორთა სხვა რიგი მხოლოდ ჩრდილოკავკასიურ, ანუ მთურ ცივილიზაციაზე საუბრობს. ამასთან დაკავშირებით იმას აღვნიშნავთ, რომ მთური ანუ ჩრდილოეთკავკასიური ცივილიზაციის არსებობა-არარსებობის საკითხი ამ სტატიის მიზანი არა არის. ვიმეორებთ, ნაშრომის მიზანია გარკვევა საკითხისა – არსებობს თუ არა კავკასიური ცივილიზაცია, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, საერთო კავკასიური ცივილიზაცია.

ვიდრე სათანადო არგუმენტებს წარმოვადგენთ, აუცილებელია ზუსტად გავერკვეთ გეოგრაფიული კავკასიისა და მისი ბუნებრივ-გეოგრაფიულ და კლიმატურ მრავალფეროვნებაში, ეთნიკურ სიჭრელეში. როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, კავკასია საკმაოდ დიდი გეოგრაფიული ერთეულია, რომლის საერთო ფართობი 580 000-ზე მეტი კვადრატული კილომეტრია და რომლის სამხრეთი საზღვარი გადის არა თურქეთთან და ირანთან საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვარზე, არამედ უფრო სამხრეთით; კავკასია მოიცავს თურქეთისა და ირანის იმ მხარეებს, რომლებიც ჭოროხის, მტკვრისა და არაქსის აუზებში მდებარეობენ. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ კავკასია მაღალი წყალგამყოფი კავკასიონის ქედით ორ ნაწილად იყოფა – კავკასიონის წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთ მხარეზე ჩრდილოეთ კავკასია მდებარეობს, სამხრეთით – სამხრეთ კავკასია. მთელი ისტორიის მანძილზე კავკასიონის ქედი წელიწადის დიდი ხნის განმავლობაში გაუვალი იყო. ადვილი არ იყო მისი გადალახვა. მიუხედავად ამისა, ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიელებს, განსაკუთრებით მთაში მკვიდრებს, ერთმანეთთან ურთიერთობა მუდმივად ჰქონდათ. არც მიგრაციული პროცესები იყო იშიათი მოვლენა. სამხრეთ კავკასიის ხალხებს ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში ურთიერთობა ჰქონდათ როგორც დასავლური/ქრისტიანული, ისე აღმოსავლური/მაზდიანური/მუსლიმური ცივილიზაციისა და კულტურის მქონე ხალხებთან. უბედურებასთან ერთად სამხრეთ კავკასიელი ხალხებისათვის გეოგრაფიულ მდებარეობას სხვადასხვა ცივილიზაციების არეალში ყოფნა და გავლენაც მოჰქონდა თან.

მეცნიერები სამართლიანად მიიჩნევენ, რომ კაცობრიობის კულტურის ელემენტები არა დამოუკიდებელი აღმოჩენის, არამედ გარედან სესხების შედეგებაა წარმოქმნილი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცივილიზაციები დედამიწაზე გარკვეული კერებიდან “გავოცდა”. ევროპისათვის თუ ასეთი “კულტურული მასწავლებლის” როლს ხმელთაშუაზღვისპირეთი ასრულებდა. საქართველოსათვის ამ როლის შემსრულებელი ახლო აღმოსავლეთი და ბერძნული სამყარო იყო. რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიას, ის ევრაზიის ნომადურ ზონას ემეზობლებოდა, სადაც საუკუნეების განმავლობაში აღმოსავლეთიდან შემოჭრილი სხვადასხვა მომთაბარე ტომები (სკვითები, სარმატები, ალანები, ჰუნები, ავარები, პაჭანიკები, ყივჩაღები, მონღოლები, რუსები) ენაცვლებოდნენ ერთმანეთს¹⁸. როგორც სამართლიანადაა შენიშნული, მომთაბარეთა მიერ თითქმის 2500 წლის განმავლობაში ჩრდილოეთ კავკასიის ვეებურთელა კორიდორის კონტროლი მუდმივად იწვევდა ადგილობრივი მოსახლეობის საგარეო-პოლიტიკურ პრესინგს¹⁹. თქმული არსებითად განასხვავებს ერთმანეთისაგან ჩრდილოეთ კავკასიასა და სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებ ხალხებს.

მრავალფეროვანია კავკასია რელიეფით და ბუნებით. შედარებით მცირე სივრცეზე თავმოყრილია სხვადასხვა წარმოშობისა და აღნაგობის ზედაპირის ფორმები – დაბლობები, ვაკეები, ზეგნები, ქედები, ვულკანური მწვერვალები. კავკასიაში 21 ფიზიკურ-გეოგრაფიული ოლქი და რაიონი გამოიყოფა²⁰. ჩრდილოეთ კავკასიას სამხრეთ კავკასიასთან შედარებით ლანდშაფტური თავისებურებაც ახასიათებს; ესაა ბარიდან მთიან ადგილებში მკვეთრი გადასვლა. კავკასიის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვა კლიმატია – კავკასიის მაღალმთიანეთის პოლარული კლიმატიდან დასავლეთ კავკასიის დაბლობის ტენიან სუბტროპიკულ

¹⁸ჩრდილოეთ კავკასიელებისათვის ჩრდილოელი მეზობლებიდან მხოლოდ რუსები აღმოჩნდნენ პირველი ბინადარნი და სახელმწიფოებრიობის მატარებელი ხალხი.

¹⁹*Панеш Э. Х.* Этническая психология и межнациональные отношения. Взаимодействие и особенности эволюции (На примере Западного Кавказа). СПб.: Европейский Дом, 1996, С. 225.

²⁰ *Лайстер А. Ф., Чурсин Г. Ф.* География Кавказа: природа и население. Тифлис, 1924.

კლიმატამდე, აღმოსავლეთ კავკასიისწინეთის ტრამალების მშრალი კონტინენტური კლიმატიდან სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთის მშრალ სუბტროპიკულ კლიმატამდე. ასევე მრავალფეროვანია კავკასიის მცენარეული საფარი: სუბტროპიკულ და ზომიერი კლიმატის ტყეებს აქ, ერთი მხრივ, ალპური მდელოები და, მეორე მხრივ, აღმოსავლეთ კავკასიისწინეთისა და სამხრეთ კავკასიის დაბლობი სივრცეების ნახევრად უდაბნოს მშრალი მცენარეული ენაცვლება. დასავლეთ კავკასიისწინეთიში შავმიწიანი ტრამალებისათვის დამახასიათებელი ფლორა გვხვდება.

მიუხედავად იმისა, რომ კავკასიაში არაერთი ენა და ეთნოსი გაქრა, დღესაც ის მრავალეთნიკური ოლქია. აქ 50-მდე ხალხი მკვიდრობს. თითქმის ყველამ ორიგინალური კულტურა შექმნა და აქვს მისთვის დამახასიათებელი ენა. კავკასიური ენების ოჯახს მიეკუთვნებიან: ადიღეელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, აბაზები, აფხაზები, ინგუშები, ჩაჩნები, ხუნძები, ანდიელები, ახვახელები, ბაგულალები, ბოთლიხელები, ლოდობერიელები, კარატაელები, ტინდიელები, ჭამალალები, დიდოელები, კაპუჭელები, ხვარშიელები, ჰინუხელები, ჰუნზიბელები, არჩიბელები, დარგუელები, ხაიდაყელები, ყუბაჩელები, ლაკები, ლეზგები, აღულები, რუთულები, თაბასარანელები, წახურები, ხინალულები, კრიწები, ბუდუხეები, უდიები; ირანულენოვანნი არიან ოსები, თათები, მთის ებრაელები, თალიშები; თურქულენოვანი ყარაჩაელები, ბალყარელები, ყუმუხები, ნოღაელები, აზერბაიჯანელები; ინდოევროპულ ენათა ჯგუფს მიეკუთვნებიან სომხები; ქართველები...²¹ თანამედროვე კავკასიაში არაავტოქტონი, სხვადასხვა დროს მოსული ეთნოსებიც მკვიდრობენ. ესენი არიან: რუსები, უკრაინელები, ქურთები, ასირიელები, ბერძნები... კავკასიის ეთნიკური სიჭრელე განაპირობა რამდენიმე გარემოებამ: ევროპისა და აზიის მიჯნაზე მდებარეობამ და ჩრდილოეთი და სამხრეთი გზებიდან ხალხთა მოძრაობამ; რეგიონის მთიანმა ხასიათმა და ადგილობრივი ბუნების მრავალფეროვნებამ. ჩამოთვლილთაგან რამდენიმე ეთნოსი იმდენად მცირერიცხოვანია, რომ მათი

²¹ *თოფჩიშვილი რ.* კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბ., 2007.

განსახლების არეალი ზოგჯერ ერთ სოფელსაც არ ცდება. ქართველების, სომხების, აზერბაიჯანელების და სხვა ორი-სამი ეთნოსის გარდა, ზემოთ ჩამოთვლილი ხალხები ძირითადად მთის მკვიდრები იყვნენ. დღეს კი მათი ძირითადი ნაწილი ბარშია მიგრირებული.

ქვემოთ მოგვიხდება კავკასიელი ხალხების დახასიათება ცივილიზაციის ნიშნების გამოყენებით.

ცივილიზაციის არსებითი და ძირითადი ნიშანი სახელმწიფოებრიობაა. სამხრეთ კავკასიის ხალხთაგან სახელმწიფოებრიობის მატარებელი ქართველები, სომხები და ალბანელები იყვნენ. ალბანელების საფუძველზე წარმოქმნილ აზერბაიჯანელებს კი პატარ-პატარა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები გააჩნდათ. ჩრდილოეთ კავკასიური ეთნოსებიდან სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები ხუნძებს გააჩნდათ (სერირის სამეფო), რომელიც XIII საუკუნიდან წვრილ ერთეულებად დაიშალა. წვრილ ერთეულებად დაიშალა აგრეთვე ტაბასარანი, ლაკზი, გუმიკი. ჩრდილოეთ კავკასიელთაგან სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი გააჩნდათ ოსებსაც, ოღონდ არა მთებში, სადაც ისინი ბოლო დროს, გვიან შუა საუკუნეებში განსახლდნენ, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის ველებში. XIII საუკუნეში, საგარეო ფაქტორის გამო, ამ სახელმწიფომაც კრახი განიცადა. საერთოდ, გეოგრაფიული მდებარეობა და არაერთი მომთაბარე ტომის მოძრაობა ჩრდილოეთ კავკასიაში მყარი ეთნიკური სიტუაციისა და სახელმწიფოების ანდა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების არსებობას ხელს არ უწყობდა. არსებული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები მონღოლთა შემოსევებმა საბოლოოდ მოსპო და იმ დროს წარმოქმნილი ეთნიკური და პოლიტიკური სიტუაცია, ფაქტობრივად, რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის დაპყრობამდე აღარ შეცვლილა. დანარჩენ ჩრდილოეთ კავკასიელებს, უფრო სწორედ, მთიელებს, ფაქტობრივად, სახელმწიფოებრიობა არც ჰქონიათ. სახელმწიფო სტრუქტურის შექმნის აუცილებლობა კავკასიის ხალხებმა ძალიან გვიან - რუსეთის იმპერიის ექსპანსიის თითქმის დამამთავრებელ ეტაპზე - იგრძნეს. ადიღეელებს შორის ამაზე ფიქრი 1850-იან წლებში *მუჰამედ-ამინმა* დაიწყო და სახელმწიფოებრივი სტრუქტურების

ფორმირება მისი სიკვდილის შემდეგ – 1860-1864 წლებში მოახდინეს. მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო: იმპერიამ ფორმირების პროცესში შექმნილი სახელმწიფო სტრუქტურა და ადილეელთა ეთნოსფერა ერთდროულად გაანადგურა²². ასე რომ, ცივილიზაციის ამ ნიშანს (სახელმწიფოებრიობა) კავკასიელთაგან მხოლოდ ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, ადრეულ ეტაპზე ნაწილობრივ ოსები აკმაყოფილებენ. ქართული სახელმწიფოებრიობა შუა საუკუნეებში უკვე იმ დონეზე ავიდა, რომ თამარის მეფობისას ქვეყანაში პარლამენტარიზმის ჩანასახებიც კი გაჩნდა. ნომადურ სამყაროსთან მეზობლობა და სიახლოვე ჩრდილოეთ კავკასიის ეთნოსებში სახელმწიფოებრიობის მხრივ კეთილისმყოფელ გავლენას ვერ ახდენდა. მთა კავკასიელ ავტოქტონებს სახელმწიფოების შექმნის საშუალებას ნაკლებად აძლევდა. ბარში გასვლის საშუალებას კი მათ ხან მომთაბარე ირანული მოდგმის და ხან თურქული მოდგმის ხალხები უშლიდნენ; ბარში შექმნილი ეთნიკური სიცარიელის შევსებას ისინი ვერ ასწრებდნენ.

ცივილიზაციის შემდეგი ნიშანი სოციალურად დიფერენცირებული საზოგადოება და კლასების არსებობაა. სოციალურად დიფერენცირებული იყო ქართული, სომხური, ალბანური, შემდეგ აზერბაიჯანული სახელმწიფოები და სახელმწიფოებრივი ერთეულები (სამთავროები, სახანოები). რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ ჩრდილოეთ კავკასიაში? ზემოთ დაღესტნის სერირის სამეფო ვახსენეთ. გარდა სერირის სამეფოსი, დაღესტანში სხვა ასეთი ერთეულებიც ყოფილა. არაბი ავტორები აქ მასქუტთა, ტაბასარანელთა, ლაკზთა “სამეფოებსაც” ასახელებენ. ბუნებრივია, სამეფოში სოციალური დიფერენციაცია და კლასები იქნებოდა. საერთოდ, დაღესტანში სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობები უფრო ვითარდებოდა და სახეზე მხოლოდ ნახევრად ფეოდალური ურთიერთობები არსებობდა. ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში არსებული ოსთა სახელმწიფო მონღოლთა შემოსევების შედეგად განადგურდა და მთაში შეხვეწილ ოსებს აღარც

²² *Гудяков В.* Северо-Западный Кавказ в системе межэтнических отношений с древнейших времен до 60-х годов XIX века, С.-П., 2007, С. 542-543.

სახელმწიფო და, ფაქტობრივად, ადარც სოციალური დიფერენციაცია ჰქონიათ და არც კლასები ჰყოლიათ. ზოგიერთ ოსურ საზოგადოებაში ზედაფენა მხოლოდ ფორმალურად არსებობდა. მონღოლთა შემოსევების შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიის ველები ყაზარდოელებმა დაიკავეს. მაგრამ ყაზარდოული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი განსხვავდებოდა კლასიკური ფეოდალური სახელმწიფოებისაგან – ყაზარდოს უმაღლესი თანამდებობა (“უალია”) არჩევითი იყო; მას მთავრების საბჭო ირჩევდა. შემორჩენილი იყო საჯარო ხელისუფლების არქაული ფორმები: სახალხო კრება, მამაკაცთა ფარული კავშირები. ყაზარდოში პატრიარქალური მონობა გვაროვნული წყობილების ძლიერ გადმონაშთებთან იყო შეთანაწყობილი. დასავლეთ ადიღეელების “დემოკრატიულ” საზოგადოებებში გაჩენილი იყო სოციალური ფენა, რომელსაც “უორკი” ეწოდებოდა. თავისუფალი მეთემეების დიდი მასის ფონზე, “უორკის” გვართა რიცხვი დიდი არ იყო. ამ უკანასკნელთა ფორმირება მოხდა არა მიწის საკუთრების ბაზაზე, არამედ, ძირითადად, სამხედრო ექსპანსიის შედეგად მოპოვებული ნადავლის, ალაფის საფუძველზე. საერთოდ, არ ყოფილა სოციალურად დიფერენცირებული და კლასები ჩაჩნეთში და ინგუშეთში. იგივე მდგომარეობა გვექონდა ყარაჩაისა და ბალყარეთში. ისინი ერთი მთლიანი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულის სახით არ ცხოვრობდნენ. საზოგადოების ძირითად ნაწილს თავისუფალი მეთემეები წარმოადგენდნენ. ამრიგად, ამ კომპონენტითაც ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასია არსებითად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან და ცივილიზაციის ეს ნიშანი მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში იყო.

ცივილიზაციის მესამე ნიშანი მიწის მემკვიდრეობით გადაცემაა. თავისი კლასიკური ფორმით ეს ნიშანიც მხოლოდ სამხრეთ კავკასიის ხალხებისათვის იყო დამახასიათებელი. რა მდგომარეობა გვექონდა ჩრდილოეთ კავკასიაში? ამ მოთხოვნილებას დადესტანი ნაწილობრივ აკმაყოფილებს. სხვაგან ძირითადად მიწაზე სათემო საკუთრება არსებობდა. იქ, სადაც სახვნელ მიწაზე კერძო საკუთრება არსებობდა, პატრონს არ შეეძლო მისი გასხვისება, გარეშეზე. მემკვიდრეობა არ გადადიოდა ქალიშვილზე, ოჯახში

ვაჟის არ ყოლის შემთხვევაში მიწა გვარის, თემის საკუთრებაში რჩებოდა. როგორც ვხედავთ, ამ კომპონენტითაც საერთო ჩრდილოეთ კავკასიელებსა და სამხრეთ კავკასიელებს არაფერი ჰქონდათ. კიდევ ერთი გარემოების შესახებ: სამხრეთ კავკასიელთაგან მიწაზე მიმაგრებულნი იყვნენ ქართველები და სომხები. ისინი ბინადარ ცხოვრებას მისდევდნენ. ასეთივე ცხოვრების წესი ჰქონდათ აზერბაიჯანელების უმეტესობას. რა მდგომარეობა გვქონდა ყაბარდოელთა სახელმწიფოებრივ წარმონაქმნში? ყაბარდოელები და ადიღეელებიც ხშირად იცვლიდნენ საცხოვრებელ ადგილს. ისინი ფაქტობრივად ნახევრად მომთაბარეები იყვნენ. ცნობილია, რომ ყაბარდოელი დასახლება (“კაბაკი”) ხშირად იცვლიდა ადგილმდებარეობას. მათთან მიწა სათემო იყო. მიწის გადანაწილება ერთი დასახლებული პუნქტის ფარგლებში ყოველწლიურად ხდებოდა.

გ. ჩაილდი ცივილიზაციის ერთ-ერთ ნიშნად ასახელებს გადასახადების სისტემას და რეგულარული ხარკის მიღებით დაგროვილ ცენტრალიზებულ სიმდიდრეს; მიუხედავად იმისა, რომ ეს ნიშანი სხვა მკვლევართან აღარ ჩანს, მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ ფეოდალური გადასახადების სისტემა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში არსებობდა. ჩრდილოეთ კავკასიაში თუ ვინმეს ხარკი ჰქონდა შეწრილი, ის თავს იყრიდა არა ცენტრალურ აპარატში, არამედ ცალკეული პიროვნებების ხაზინაში. ასეთ ხარკს ინგუშები, ჩაჩნები, ბალყარელები, ყარაჩაელები და აბაზები ყაბარდოელებს უხდიდნენ. მთაში არც შეიძლებოდა გადასახადის სისტემა კლასიკური ყოფილიყო. რა უნდა გადაეხადა მთიელს, როდესაც მთელი წლის განმავლობაში მოწეული მოსავალი თვითონ არ ყოფნიდა ოჯახის გამოსაკვებად? ცაკეული პიროვნებები გარკვეული სიმდიდრეს თუ ქონებას მხოლოდ თარეშების შედეგად იძენდნენ.

ცივილიზაციის ერთ-ერთ ნიშნად სავაჭრო ურთიერთობათა განვითარებას მიიჩნევენ. საქართველოში, სომხეთსა და ალბანეთშიც სახელმწიფოებრიობის ჩასახვიდან სავაჭრო ურთიერთობანი ფართოდ იყო განვითარებული, მხედველობაში გვაქვს, როგორც ქვეყნის შიგნით სავაჭრო ურთიერთობები, ისე საგარეო ვაჭრობა. არქეოლოგიური მასალა სწორედ სამხრეთ კავკასიელთა

აღმოსავლურ და რომაულ, შემდეგ ბიზანტიურ და არაბულ სამყაროსთან ფართო სავაჭრო ურთიერთობებს ადასტურებს. არათანაბარი ვითარებასა და განსხვავებული სიტუაციას ასახავს ანტიკური პერიოდის კავკასიაში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა. *“კოლხეთი სამონეტო ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი კერაა. აქ, ალბათ, ძვ. წ. VI ს-ის დასასრულიდან (უკიდურეს შემთხვევაში ძვ. წ. V ს-ის დასაწყისიდან) იჭრება ე. წ. კოლხური თეთრი, რომელიც ძვ. წ. V-IV სს-ში ყველაზე უფრო გავრცელებული მონეტაა დასავლეთ საქართველოს როგორც შიდა რეგიონებში, ასევე - სანაპირო ზოლში”*²³.

აღნიშნულ პერიოდში კოლხეთში, იბერიაში, სომხეთსა და ალბანეთში უცხოური მონეტების დიდი მიმოქცევა იყო, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში დიამეტრალურად სხვაგვარი ვითარება გვექონდა: *“ანტიკურ ხანაში, სამონეტო მიმოქცევის თვალსაზრისით, ჩრდილო კავკასია გაცილებით დაბალ საფეხურზე დგას, ვიდრე ამიერკავკასიის რეგიონი. გარდა ამისა, აქ ნაპოვნი მონეტები ყოველთვის არ ასრულებდა ფულადი ერთეულის როლს”*²⁴. იჭედებოდა და ფართო მიმოქცევაში იყო ქართული მონეტები ფეოდალიზმის პერიოდშიც. ჩრდილოეთ კავკასიელებს მონეტა არ ჰქონიათ. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მონეტებს სახელმწიფოები ჭრიდნენ და უშვებდნენ მიმოქცევაში. ჩრდილოეთ კავკასიაში უცხოური მონეტები მართალია აღწევდნენ, მაგრამ მონეტებს ვაჭრობში კი არ გამოიყენებდნენ, არამედ ქალის სამოსის სამკაულად²⁵. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში მხოლოდ გაცვლითი ურთიერთობები არსებობდა. ის კი არა, შუა საუკუნეებშიც ჩერქეზები/ადიღეელები მოსულ უცხოელებთანაც (გენუელები, ყირიმელები, თურქები) მხოლოდ ნატურალური ურთიერთობით გამოირჩეოდნენ. ჩრდილოეთ კავკასის სავაჭრო საქმიანობაში

²³ *დუნდუა გ., დუნდუა თ.* ანტიკური პერიოდის კავკასიის ნუმიზმატიკის საკითხები (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2009, გვ. 3.

²⁴ *დუნდუა გ., დუნდუა თ.* ანტიკური პერიოდის კავკასიის ნუმიზმატიკის საკითხები (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2009, გვ. 31.

²⁵ *История* народов Северного кавказа с древнейших времен до конца XVIII в. М., 1988, С. 282.

ძირითადად სომხები იყვნენ ჩართულნი. ადილეში ისინი განსახლებულნი იყვნენ თემირლოვლებს, ხატუკაელებს, ბჟედუხებს, შაფსულებს და სხვებს შორის და ცალკე ჯგუფის – ჩერქეზოჰაის სახელით იყვნენ ჩამოყალიბებულნი. რა ჰქონდათ გასაყიდი ან გასაცვლელი ჩრდილოეთ კავკასიელებს პროდუქტებიდან ან ხელოსნური ნაწარმიდან – თითქმის არაფერი (აქ დაღესტნის ზოგიეთი ხალხი არ იგულისხმება)? მათი ვაჭრობის მთავარი საგანი მონები იყვნენ, რომლებსაც თარეშების შედეგად შოულობდნენ. სხვათა შორის, ადილელებში სოციალური დიფერენციაციის ჩანასახები სწორედ თარეშების შედეგად იყო გაჩენილი. აქ “უორკების” ფენის ფორმირება მოხდა არა მიწის საკუთრების ბაზაზე, არამედ ძირითადად სამხედრო ექსპანსიის შედეგად მოპოვებული ნადავლის, ალაფის საფუძველზე, ე. ი. “სამხედრო დემოკრატიის” (“ჩიფდომის”) პირობების გამო. სამხრეთ კავკასიის სამივე ძირითადი ეთნოსის ტერიტორიულ ერთეულებს/ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს შორის დამახასიათებელი იყო არა მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობები, არამედ მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები. ასეთი სავაჭრო, სამეურნეო და ეკონომიკური ურთიერთობები ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ეთნოგრაფიულ მხარეებს შორის XIX საუკუნემდე შენიშნული არ არის.

გორდონ ჩაილდი ცივილიზაციის ერთ-ერთ ძირითად ნიშნად პროფესიონალ ხელოსანთა და სპეციალისტთა ფენის გაჩენას ასახელებს. ამ მხრივაც არაერთგვაროვანი სიტუაცია გვექონდა კავკასიაში. ხელოსნობა, ბუნებრივია, ჩრდილოეთ კავკასიელებში გავრცელებული იყო, მაგრამ ხალხთა დიდ ნაწილში ის მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობისაგან გამოყოფილი არ ყოფილა. ხელოსნობის ნაწარმით ისინი თავიანთ თავს იკმაყოფილებდნენ ასე თუ ისე. სხვაგვარი ვითარება გვექონდა დაღესტანსა და სამხრეთ კავკასიაში – დაღესტნის სოფლებსა და სამხრეთ კავკასიის ქალაქებში ხელოსან სპეციალისტთა ფენები ადრე შუა საუკუნეებიდან არსებობდა. XV-XVIII საუკუნეებში აქაური ხელოსნური ნაწარმი და მაღალხარისხოვანი საიუველირო ნაწარმი სხვაგანაც გადიოდა გასაყიდად. ასე რომ, ამ კომპონენტითაც

არერთგვაროვანი სიტუაცია გვქონდა და ის საერთო კავკასიური ცივილიზაციის ფარგლებში ვერ თავსდება.

ცივილიზაციის ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი ნიშანი დამწერლობაა. ამ კომპონენტზე ყველა მეცნიერი ერთხმადაა შეთანხმებული. სამხრეთ კავკასიის სამ ეთნოსს – ქართველებს, სომხებს, ალბანელებს – V საუკუნის დასაწყისში უკვე დამწერლობა გააჩნდათ. როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, ქართული დამწერლობა V საუკუნეზე ბევრად ადრე არსებობდა. დამწერლობა სამივე სამხრეთ კავკასიელ ხალხს ორიგინალური გააჩნდა. იმავე დროიდან ქართველ ხალხში მხატვრულ მწერლობასაც დაედო საფუძველი, რაც დღემდე არ შეწყვეტილა და ქართულმა მწერლობამ მსოფლიო შედეგებიც შექმნა. ქართველებმა საკუთარი საისტორიო მწერლობაც შექმნეს. მაღალი დონის საისტორიო მწერლობა გააჩნიათ სომხებსაც. სამწუხაროდ, მცირე ოდენობით მოაღწევია ჩვენამდე ალბანური მწერლობის ნიმუშებმა. ქართველებში, სომხებსა და ალბანელებში საკუთარი დამწერლობისა და მწერლობის განვითარების მაპროგნოზირებელი ფაქტორი მსოფლიო მონოთეისტური რელიგიის – ქრისტიანობის გავრცელებაც იყო. ქრისტიანობა ხომ წიგნიერი რელიგიაა.

რა მდგომარეობა გვქონდა ამ მხრივ ჩრდილოეთ კავკასიაში? აქ მცხოვრებ არც ერთ ეთნოსს საკუთარი დამწერლობა არ შეუქმნია. დამწერლობას და მწერლობას სახელმწიფოებრიობის მქონე ეთნოსები ქმნიდნენ. თუმცა ყველა ქრისტიან ხალხს თავდაპირველად საკუთარი დამწერლობა არ შეუქმნია; ასეთები სხვათა დამწერლობას იყენებდნენ, სხვათა ენაზე ისმემდნენ საეკლესიო ღვთისმსახურებას. XIII საუკუნის ბოლოსა და XIV საუკუნეში ადიღეში საღვთისმეტყველო წიგნები ბერძნულ ენაზე ჰქონდათ. ხუნძეთში ნაპოვნია ორენოვანი ქართულ-არაბული წარწერწები, შესრულებული ქართული ასოებით XIV საუკუნეში. დადესტანში XIII-XIX საუკუნეში ფუნქციონირებდა მედრესები, რომლებშიც, ბუნებრივია, არაბულ ენაზე ასწავლიდნენ. ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ხალხებში დამწერლობის არ ქონამ ფაქტობრივად დაამუხრუჭა მათი როგორც ენობრივი, ისე ეთნიკური განვითარება. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო ლიტერატურაში

შენიშნულია, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ეთნოსები თავიანთ საგარეო ურთიერთობებში სხვათა ენასა და დამწერლობას იყენებდნენ, მაგალითად, ადიღეელები, აბაზები, ნოღაელები, ბალყარელები და ყარაჩაელები XVII საუკუნიდან დიპლომატიურ ურთიერთობებში ჯერ თურქული ენის ყოვწყურ დიალექტს (სახელმწიფო ენა ოქროს ურდოში), ხოლო შემდეგ რუსულ დამწერლობას იყენებდნენ (ადგილობრივი და რუსი თარჯიმნებისა და მწერლების დახმარებით). მთიან ჩაჩნეთში, ინგუშეთსა და დასავლეთ დაღესტანში ქართულ დამწერლობას იყენებდნენ. XVI საუკუნიდან საქართველოს მეზობელი დაღესტნის მხარეებში ქართულს არაბული ჩაენაცვლა, რაც აქ ისლამის გავრცელების პროცესის დასრულებას უკავშირდება²⁶. სხვათა დამწერლობის გამოყენების ცალკეული შემთხვევები მაინც ზღვაში წვეთია. მეცნიერთა მიერ დაფიქსირებული აღნიშნული შემთხვევები ძირითადად ბიზანტიელთა და ქართველთა მიერ ქრისტიანობის და არაბების მიერ ისლამის გავრცელებასთან იყო დაკავშირებული. სხვადასხვა მიზეზების გამო კი ქრისტიანობამ ჩრდილოეთ კავკასიაში საბოლოოდ ფეხი ვერ მოიკიდა. სადაც ის შევიდა, მხოლოდ ზედაპირულად. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს არ შეეძლოთ საკუთარ ენაზე ქრისტიანული წიგნების წაკითხვა. სხვა მიზეზად კი შეიძლება მთური საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე დავასახელოთ. საბოლოოდ ჩრდილოეთ კავკასიაში ისლამმა გაიმარჯვა, ზოგან საკმაოდ ადრე (დაღესტანში), ზოგან კი საკმაოდ გვიან (ჩაჩნეთსა და ინგუშეთში XVIII საუკუნეში).

ზემოთ ფაქტობრივად ცივილიზაციის კიდევ ერთ ნიშანს – რელიგიას – შევხეთ. *რელიგიას ცივილიზაციების ყველაზე არსებით ნიშნად მიიჩნევდა ა. ტოინბი*²⁷. ის ცივილიზაციათა ამაღლების რეალურ საფუძველს რელიგიაში ხედავს და მის მამოძრავებელ და განმსაზღვრელ ძალადაც რელიგიას მიიჩნევს. ამავე მოსაზრების

²⁶ *История* народов Северного Кавказа с древнейших времен до конца XVIII в. М., 1988, С. 253, 492.

²⁷ *Тойнби А. Дж.* Постигание истории. М., 1991 (эпитема 12-томного соч. Тойнби (Toynbee A. A. Study of History. I, 1934-1961), сделанная в 1972 г.

გახლავთ ს. ჰანტიგტონი²⁸. ასე რომ, რელიგიების როლი ხალხთა კულტურებისა და ცივილიზაციების ფორმირებაში განუსაზღვრელია, განსაკუთრებით კი ეს მონოთეისტურ რელიგიებზე ითქმის. თუმცა მონოთეისტური რელიგიების წარმოქმნამდეც არსებობდა ცივილიზაციები და ისინიც ბევრად განპირობებული იყო რელიგიური სისტემებით. დღევანდელი დასავლეთ ევროპული ცივილიზაციის საფუძველს კათოლიციზმი წარმოადგენს. მართლმადიდებლობა კი დაედო საფუძვლად ბერძნულ-ბიზანტიურ ცივილიზაციას, ქართულ, რუსულ ცივილიზაციებს. არაბული ცივილიზაცია კი ისლამს ეფუძნება, ინდური - ინდუიზმს, ჩინური - ბუდიზმს და ა. შ. რა ვითარება გვექონდა ამ თვალსაზრისით კავკასიაში? - არაერთგვაროვანი და ცვალებადი. ჯერ ისტორიით დავიწყოთ. მონოთეისტური რელიგიების გავრცელებამდე კავკასიის ყველა ხალხს მისთვის დამახასიათებელი ეთნიკური რწმენა-წარმოდგენები ჰქონდა (თუმცა ზოგიერთი მეცნიერი, როგორც ჩანს, საერთო კავკასიური ცივილიზაციის იდეიდან გამომდინარე, რაღაც საერთო კავკასიური წარმართული საკულტო ობიექტების შესახებ საუბრობს). ქართული წყაროებით ცნობილია საქართველოში უცხო რელიგიების გავრცელების ქრონოლოგია. ქართველთა პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანებისას ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოს მეფე ფარნავაზი საერთო გამაერთიანებელ სალოცავს - არმაზს - უწესებს. ერს გამაერთიანებელი რელიგია სჭირდებოდა და ასეთი უცხო ღვთაება აღმოჩნდა, რათა რომელიმე ქართველთა ეთნოგრაფიულ ერთეულს თავი სხვაზე უპირატესად, ან დაჩაგრულად არ ეგრძნო. შემდეგ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ქვეყანა ირანული პოლიტიკური და კულტურული გავლენის არეალში მოექცა. ბუნებრივია, ირანი ცდილობდა ქართველ ხალხში თავისი რელიგიის - მაზდეანობის - დანერგვას. ანალოგიური ვითარება გვექონდა ალბანეთსა და სომხეთში.

საბოლოოდ IV საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში, სომხეთსა და ალბანეთში ქრისტიანობამ გაიმარჯვა. მოგვიანებით,

²⁸საზოგადოება და პოლიტიკა, II, თბ., 1999, გვ. 21.

თურქული ეთნოსის დამკვიდრების შემდეგ, ალბანეთში ისლამმა იმძლავრა, რამაც საბოლოოდ ალბანური ეთნოსის ასიმილაცია-გაქრობა გამოიწვია. ჩრდილოეთ კავკასიაში ჯერ ბიზანტიისა და შემდეგ საქართველოს მიერ ქრისტიანობის გავრცელების მცდელობა საბოლოოდ წარუმატებელი აღმოჩნდა. მიზეზების შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ: მთური საზოგადოებები თავისი განვითარების დონით საამისოდ მზად არ აღმოჩნდნენ. ის მხოლოდ ზედაპირულად გავრცელდა. ქრისტიანობამ შედარებით უკეთ ალან-ოსებში მოიკიდა ფეხი, რადგან ალანებს მაშინ ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი ჰქონდათ; ისინი მაშინ მთიელები არ იყვნენ. თუმცა წყაროები აქაც მის ზედაპირულ გავრცელებაზე მიუთითებენ. საილუსტრაციოდ ვრცელი ამონრიდის მოყვანა დაგჭირდება: *«...следует иметь в виду, что в христианство или в ислам (на Северном Кавказе) было обращено меньшинство населения. В Дагестане в X-XII вв. территория Аварии оставалась в основном языческой. В середине XII в. жители Зирихгерана хоронили своих покойников по зороастрийскому обычаю (Ал-Гарнати). Влияние христианства на население Чечено-Ингушетии также было в целом поверхностным. Многие из адыгских племен в X в. придерживались языческих верований. В частности, Ал-Масуди писал о кашаках: «Этот народ исповедует религию магов», а Ибн-Русте сообщал об аланах, что «царь алан - сам христианин, а большая часть его жителей _ кафиры и поклоняются идолам». Дохристианские языческие верования оставались популярными у алан, а некоторые районы Алании (особенно восточные) были почти полностью языческими. В первой половине XIII в., со слов епископа Федора, «аланы - христиане только по имени». Венгерский миссионер Юлиан (XIII в.) рассказывал, что зихский князь имел 100 жен, хотя сам был христианином, а жители Алании «представляют смесь язычников и христиан»²⁹. ქრისტიანობის მყარად გავრცელებას მტკიცე სოციალური ბაზის არ არსებობა უშლიდა ხელს. მონღოლთა შემოსევებმა და მთებში შეხვეწამ ალან-ოსებს ქრისტიანობაზე უარი ათქმევინა. რაც შეეხება ისლამს, მან უფრო მოიკიდა ფეხი ჯერ დაღესტნის ხალხებში და შემდეგ დაღესტნელთა მეშვეობით - კავკასიის სხვა ეთნოსებში.*

²⁹*История* народов Северного Кавказа с древнейших времен до конца XVIII в. М., 1988. С. 178.

საბოლოოდ აქ გამარჯვებული მაჰმადიანობის ისეთი ფორმა გამოვიდა, როგორცაა “მისტიკური ისლამი”/“სუფიზმი”, რომელშიც მთავარ როლს ძმობა ასრულებდა. დღეს კი ჩრდილოეთ კავკასიაში ფეხს ისლამის რექციული მიმართულება – ვაჰაბიზმი იკიდებს, რომელიც ადგილობრივ ხალხებს საკუთარ ეთნიკურ კულტურაზეც კი ათქმევინებს უარს. ისლამთანაა დაკავშირებული წინადაცვეთის ჩვეულება. სხვათა შორის, ანდიელებში ქალების წინადაცვეთასაც კი ახდენდნენ. ქრისტიანული სამყაროსთვის ხომ წინადაცვეთის ჩვეულება უცხო იყო.

ასე რომ, კავკასია არა მხოლოდ ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოთი და ეთნიკური თვალსაზრისითაა მოზაიკური, არამედ რელიგიური თვალსაზრისითაც და მისგან გამომდინარე წეს-ჩვეულებებით, მსოფლშეგრძნებით, ქცევის სტერეოტიპებით. არსად სხვადასხვა რელიგიებისა და კონფესიების მიმდევარი ხალხები ერთი, საერთო ცივილიზაციის წარმომადგენლები არ არიან. არ არიან კავკასიელებიც ერთი, კავკასიური ცივილიზაციისადმი მიკუთვნებულნი, რადგან რელიგია ღირებულებების ძირითადი შემქმნელია. შეიძლება, ერთი მხრივ, ქრისტიანი ქართველები და სომხები, და, მეორე მხრივ, ისლამის მიმდევარი აზერბაიჯანელები და ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ეთნოსები საერთო “კავკასიური ცივილიზაციის” შემადგენელი ნაწილი იყვნენ? რა თქმა უნდა, – არა.

ყველა მეცნიერი, რომელიც ცივილიზაციის პრობლემებს ეხება, ცივილიზაციის ერთ-ერთ უპირველეს ნიშნად ქალაქების არსებობას აღიარებს. საყოველთად ცნობილია, რომ ქალაქები წარმოიქმნა ისტორიული განვითარების იმ საფეხურზე, როცა საზოგადოებაში მოხდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და სოციალური დიფერენციაცია. ამის გამო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებული მოსახლეობის ძირითად ნაწილს გამოეყო სხვა სოციალური ჯგუფები (ხელოსნები, ვაჭრები), რომელთა კონცენტრაციამ გარკვეულ დასახლებულ პუნქტებში გამოიწვია ქალაქური ტიპის დასახლებების შექმნა. ქალაქების შექმნამ დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოების განვითარებაზე. ისინი იქცნენ სახელმწიფო ხელისუფლების და კულტურის განვითარების

ორგანიზაციულ, კერძოდ, სამშენებლო საქმისა და არქიტექტურის განვითარების ცენტრებად, ხელი შეუწყვეს ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას. ქალაქებში ჩაისახა სავაჭრო და სავაზმო კაპიტალი. ქალაქის ხელოსნობასთან იყო დაკავშირებული ტექნიკის პროგრესი. საქართველოში, სომხეთსა და ალბანეთში ქალაქები ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაშია დადასტურებული. ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში წარმოიქმნილი ქართული ქალაქების მხოლოდ ჩამოთვლით დავკმაყოფილდებით: ანტიკური ხანის საქართველოს ქალაქები იყო: სარკინე, უფლისციხე, ურბნისი, მცხეთა, ვანი, წუნდა, ფასისი, დიოსკურია, ბიჭვინთა, გიენოსი, სამშვილდე, ხუნანი, შორაპანი, დიმნა, თუხარისი და სხვა. ანტიკური ხანის მიწურულს უკვე ახალი ქალაქები დაწინაურდა: უჯარმა, ჟალეთი, თბილისი, რუსთავი, ხორნაბუჯი. ამ ქალაქებზე გადიოდა საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზები. ადრე შუა საუკუნეებიდან დაწინაურდა თბილისი, უჯარმა, ჭერემი, არტანუჯი, რასაც ძირითადად პოლიტიკური და სტრატეგიული ფაქტორები განაპირობებდა. ქალაქები საქართველოში შემდგომ ეპოქებშიც წარმოიქმნებოდა, მაგალითად, IX-XI საუკუნეები საქართველოს ისტორიაში იყო “ახალქალაქებისა” და “ახალციხეების” წარმოქმნის ხანა. გვიან შუა საუკუნეებში, საგარეო ფაქტორთა გამო, საქართველოში ბევრი ნაქალაქარი გაჩნდა, მაგრამ საქალაქო ცხოვრება საქართველოში არასდროს არ ჩამკვდარა.

ძველ სომხეთში უაღრესად განვითარებული იყო საქალაქო ცხოვრება. ელინისტურ ხანაში ქალაქმშენებლობამ ინტენსიური ხასიათი მიიღი, რაც ვაჭრობისა და ხელოსნობის აღმავლობასთან იყო დაკავშირებული. ამ დროინდელი ქალაქები იყო: არტამატი, არმავირი, ერვანდამტი, ტიგრანაკერტი, ვაღარაშაპტი. სომხეთში დიდი ქალაქები შუა საუკუნეებშიც არსებობდა – დვინი, ანისი, ერზინჯი, კარინი, ყარსი, ვანი, არწნი, ხლათი, მანასკერტი. ადრე შუა საუკუნეებში ქალაქები იყო ალბანეთშიც. პტოლემეოსი აქ 29 ქალაქსა და მსხვილი დასახლებული პუნქტის შესახებ საუბრობს.

რა ვითარება გვექონდა ჩრდილოეთ კავკასიაში? რუსეთის აქ შემოსვლის მომენტისათვის არც ერთი ქალაქი არ არსებობდა. აღნიშნული დროისათვის დაბლობი ძირითადად ყაზარდოელებსა

და ნოღაელებს ჰქონდათ დაკავებული. არც დიდ ყაბარდოში და არც მცირე ყაბარდოში არც ერთი, თუნდაც პატარა, ქალაქი არ ყოფილა. ნოღაელები კი მომთაბარეობდნენ და ნომადებს მუდმივი დასახლებული პუნქტები საერთოდ არ გააჩნდათ. მთებში კი არც ერთი ქალაქი არ არსებობდა. თუმცა, საისტორიო საბუთებით, მონღოლთა შემოსევებამდე ჩრდილოეთ კავკასიის სტეპების ზონაში რამდენიმე ქალაქი სახელდება. არქეოლოგების მიერ შესწავლილია ალანთა ნაქალაქარი ქვემო არხიზი მდ. დიდი ზელენჩუკის ხეობაში (თანამედროვე ყაბარდო-ბალყარეთის ტერიტორია). ის იყო ადმინისტრაციული და რელიგიური ცენტრი, ბიზანტიური გავლენის ფორფოსტი X-XII საუკუნეებში. XII საუკუნეში ქვემო არხიზში ცხოვრება ჩაკვდა. ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი იყო მაჯარიც, რომელიც XIII საუკუნის მეორე ნახევარში მდ. ყუმის ნაპირებზე წარმოიქმნა (თანამედროვე ქ. ბუდიონოვკა, სტავროპოლის მხარეში). მის მოსახლეობას ძირითადად ალანები და ყივჩაღები წარმოადგენდნენ. აქვე ბევრ ვაჭარს უცხოვრია ევროპიდან და აზიიდან. დიდი ნაქალაქარებია აგრეთვე ცენტრალურ კავკასიაში ქვემო ჯულატი (თანამედროვე ქ. მაიკოპის ახლოს) და ზემო ჯულატი (ჩრდილოეთ ოსეთში, სოფელ ელხონტოვოს მახლობლად). ეს იყო და ეს. მთებში შესახლების შემდეგ, ოსებს ქალაქები აღარ ჰქონიათ. არქეოლოგებს სხვა არაერთი ნაქალაქარიც აქვთ გათხრილი, მაგრამ უმეტესი მათგანის ფართობი 6-7 ჰექტარს, იშვიათად 10 ჰექტარს არ აჭარბებდა. მთებში, სადაც თანამედროვე ჩრდილოეთ კავკასიური ეთნოსების განსახლების არეალი იყო, არსად ქალაქები არც საისტორიო წყაროებით და არც არქეოლოგიურად დადასტურებული არ არის. მთიელთა საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების დონე მას არ საჭიროებდა.

თითქოსდა საქალაქო ცხოვრება უნდა გამოეცოცხლებინა და განვითარებინა ვენეციელთა და გენუელთა კოლონიებს, რომლებიც ცოტა არ იყო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის შავიზღვისპირეთში. XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე, იტალიური რუკების თანახმად, აქ 30-ზე მეტი კოლონია იყო, სადაც 1260 წლიდან საბოლოოდ გენიუელები გაბატონდნენ. მაგრამ, იტალიელებმა ვაჭრობის ისეთი

სახე წახალისეს, რომელიც საზოგადოების განვითარებას ხელს არ უწყობდა, პირიქით – ამუხრუჭებდა; ესაა ტყვეებით ვაჭრობა. ვაჭრობა ფულის ნიშნებით კი არ ხდებოდა, არამედ გაცვლით. ის ორმხრივ სარგებლიანი არ იყო. ადგილობრივ კავკასიელებს ტყვეებში უცვლიდნენ ქსოვილებს, ვენეციურ სარკეს, საპონს, საკმეველს, მარილს, ბრინჯს, მდოგვს და ზოგიერთ სხვა სანელებელს. ცნობილია, რომ თვით გენუელებიც არ ერიდოდნენ ტყვეების გატაცებას. მოგვიანებით გენუელთა ანალოგიური საქმიანობა კავკასიაში ყირიმელებმა და თურქებმა გააგრძელეს. ამრიგად, ქალაქებთან მიმართებაშიც სამხრეთ კავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიაში რადიკალურად განსხვავებული ვითარება არსებობდა. ამ კომპონენტითაც ზედმეტია საუბარი საერთო კავკასიური ცივილიზაციის არსებობაზე.

ცივილიზაციის ერთ-ერთ ნიშნად *გ. ჩაილდს* მონუმენტური ნაგებობებიც მიაჩნია, თუმცა მთელი რიგი მეცნიერები ამ კრიტერიუმს არ ცნობენ. როგორც ჩანს, ცივილიზაციის განსაზღვრაში ამ ნიშნის შემოტანა ზოგიერთ ძველი ცივილიზაციაში მონუმენტური ნაგებობების არსებობამ განაპირობა. მაგალითად შეიძლება ეგვიპტური, ძველბერძნული, რომაული დავასახელოთ. მიგვაჩნია, რომ მონუმენტური ნაგებობების ნაცვლად უპრიანი იქნებოდა მეცნიერებს ასეთ კრიტერიუმად საქალაქო და საეკლესიო არქიტექტურა ელიარებინათ. სამხრეთ კავკასიაში როგორც საერო, ისე საკულტო მონუმენტური ნაგებობები ნამდვილად არსებობდა. საამისოდ მართლმადიდებლური ძეგლების სიმრავლეც საკმარისია. ბანა, ოშკი, იშხანი, პარხალი, ოთხთა ეკლესია, ტბეთი ტაო-კლარჯეთში ასეთი ძეგლებისადმი ყველა მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. თავისი მასშტაბურობით გამოირჩევიან აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ციხე-სიმაგრები. მაგალითად თორთუმისა და არტანუჯის დასახელებაც საკმარისია. დანარჩენ საქართველოშიც ბევრი იყო ასეთი კომპლექსები: სვეტიცხოველი, ბაგრატის ტაძარი, გელათი, ალავერდი, უფლისციხე, ვარძია, დავით გარეჯი, არქეოპოლისი, გონიოს ციხე, გორის ციხე, ნარიყალა, ხორნაბიჯი, სვანეთის კომპური კულტურა, თაღოვანი ქვის ხიდები, რომელთა მშენებლობასაც საქართველოში თამარ მეფეს მიაწერენ...

ქალაქური ტიპის არქიტექტურა ჯერ კიდევ ახალი და ძველი წელთაღრიცხვების მიჯნაზე მცხეთაში დადასტურებული აქვს სტრაბონს. მდიდარია სასულიერო მონუმენტური ძეგლებით სომხეთიც: ზვარტნოცი, ეჩმიადინი, მამარაშენის ეკლესია, გედარდის მონასტერი... ალბანურმა ძეგლებმა ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. წყაროები მოგვითხრობენ, რომ VII საუკუნეში ალბანეთის დამოუკიდებლობის საბოლოოდ აღდგენის პერიოდში მიჰრანიდების დინასტიის გამორჩეულ წარმომადგენელს - ჯუანშირს მშობლიურ გარდმანში დიდებული გუმბათიანი ტაძარი აუგია, რომელიც შესანიშნავი ფრესკებით ყოფილა დამშვენებული.

არსებობს კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით ასეთი ნაგებობები? ანალოგიური ჩრდილოეთ კავკასიაში არაფერი არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ქართულ ქრისტიანულ ტაძარსა და დაღესტნის, ინგუშეთისა და ჩაჩნეთის თავდასაცავ ნაგებობებს. ადიღური მოდგმის ხალხებს საერთოდ კომპური კულტურაც კი არ გააჩნდათ. მათთვის უცნობი იყო ქვის ნაგებობები. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, ადიღურ ეთნოსფეროში დასახლების თავისებური ტიპი ჰქონდათ შემუშავებული. მათი თავისებურება “სიმსუბუქე” და “მოდრაობითობა” გახლდათ. როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ადიღეელები მსუბუქი ტიპის ნაგებობებს უპირატესობას იმიტომ ანიჭებდნენ, რომ სტეპების მკვიდრთა თარეშების გამო იძულებული იყვნენ ხშირად ეცვალათ ადგილსაცხოვრისი³⁰. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში შემორჩენილი რამდენიმე მონუმენტური არქიტექტურული ძეგლი - ზელენჩუკის, შოანის, სენტინის ტაძრები, რომლებიც X-XI საუკუნეებიდან არსებობდა, ბიზანტიური და ქართული კულტურის ძეგლები იყო. ქართული კულტურის ძეგლი გახლდათ IX საუკუნეში აგებული ტყობა-ერდის ტაძარი ინგუშეთში, მდინარე ასას ხეობაში. იგივე შეიძლება ითქვას თარგიმისა და ალი-ერდის ტაძრებზე და “დათუნას” ბაზილიკაზე დელესტანში. ამ კომპონენტითაც ვერ ვიტყვით, რომ არსებობდა საერთო კავკასიური

³⁰ *Гудяков В. В.* Северо-Западный Кавказ в системе межэтнических отношений с древнейших времен до 60-х годов XIX века, С-П., 2007. С.195.

ცივილიზაცია; ამ მხრივაც სამხრეთ კავკასია და ჩრდილოეთ კავკასია სხვადასხვა სამყარო იყო.

გ. ჩაილდი ცივილიზაციის ნიშნად მეცნიერებისა და ხელოვნების ჩანასახებსაც ასახელებს. მეათე ნიშანს მწერლობაც (ლიტერატურაც) უნდა დაემატოს. ცივილიზაციის ეს ნიშანი ქართველი, სომეხი და ალბანელი ხალხისათვის ადრე შუა საუკუნეებიდანვე იყო დამახასიათებელი³¹.

საქართველოში XI-XII საუკუნეებში არსებობდა მეცნიერებისა და განათლების ცენტრები (გელათისა და იყალთოს აკადემიები). უძველესი ქართული მხატვრული ნაწარმოები V საუკუნით თარიღდება. მთელი ისტორიის მანძილზე საქართველოში არ შეწყვეტილა მხატვრული ლიტერატურის შექმნა. XII საუკუნეში შეიქმნა ქართული ლიტერატურის შედეგური *შოთა რუსთაველის* “ვეფხისტყაოსანი”. X საუკუნის ნაწარმოები “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება” არა მხოლოდ მხატვრული ნაწარმოები, არამედ საისტორიო თხზულებაცაა. პირველი ქართული წიგნის დაბეჭდვის თარიღია 1629 წელი. მდიდარია ქართული საისტორიო მწერლობაც. საქართველოში ფილოსოფიური მეცნიერებაც სათანადოდ ვითარდებოდა (*ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი*). ქართული არქიტექტურის ძეგლებზე ზემოთ ვილაპარაკეთ. მდიდარია ქართული სახვითი ხელოვნებაც. მაღალი დონის იყო ჭედური ხელოვნება. ქართველები შესანიშნავ მინიატურებსაც და რელიეფურ სკულპტურებსაც ქმნიდნენ. საყოფელთაოდ ცნობილია ქართული მოზაიკა და ფრესკული ხელოვნება. მაღალი დონის ფრესკებით დამშვენებულია საქართველოს მთაში (სვანეთი) ორიგინალური და მრავალრიცხოვანი ბაზილიკები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული მუსიკალური კულტურა. ბევრი შედეგური აქვს ქართველ ხალხს შექმნილი სიმღერების სფეროში (ორი-, სამი- და ოთხხმიანი გუნდური სიმღერები). მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს ქართულ ხალხურ მრავალფეროვან ქორეოგრაფიას. მისი განვითარების პროცესში შეიქმნა თეატრალიზებული ქართული ცეკვებიც.

³¹ იხ. ზემოთ.

სომხებს V საუკუნიდან გააჩნიათ ორიგინალური და ნათარგმნი ლიტერატურა. მათ გააჩნიათ მდიდარი ისტორიოგრაფიული წიგნები, პროზაული და პოეტური ნაწარმოებები. პირველი სომხური წიგნი მართალია სომხეთს გარეთ, მაგრამ მაინც ძალიან ადრე – XVI საუკუნეში დაისტამბა. მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს სომხურ მუსიკასაც, თუმცა ხალხური სიმღერები მხოლოდ ერთხმიანი ჰქონდათ. VIII-IX საუკუნეებში სომხებმა შექმნეს დღემდე გაუშიფრავი სანოტო დამწერლობის ორიგინალური სისტემა. სომხური თეატრის საწყისები ცნობილია უძველესი დროიდან. თეატრალური დასები არსებობდა სომხეთის სამეფო კარზე, სადაც იდგმებოდა ბერძნულიდან თარგმნილი და ორიგინალური პიესები.

მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის სფეროში ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს სომეხთა და ქართველთა მსგავსი არაფერი აქვთ შექმნილი. ამ ნიშნითაც არ დასტურდება კავკასიური ცივილიზაციური ერთობის არსებობა.

განსხვავებული ვითარება გვქონდა სამართლის სფეროშიც. ქართველებსა და სომხებს დაწერილი სახელმწიფო სამართალი გააჩნდათ. საამისოდ *ბაგრატ კურაპალატის, ბექა-აღბუღას* და *ვახტანგ VI-ის* სამართლის ძეგლები შეიძლება დავასახელოთ. სომხებს *მხითარ გოშის* სამართალი ჰქონდათ. ჩრდილოეთ კავკასიის თითქმის ყველა ხალხში მხოლოდ ჩვეულებითი, ადათობრივი სამართალი მოქმედებდა. გვიან შუა საუკუნეებიდან ჩრდილოეთ კავკასიის მთელ რიგ ხალხებში ადათს მუსლიმური სამართალი – შარიათი ჩაენაცვლა. სახელმწიფო სამართლის მქონე და ადათისა და შარიათის მატარებელი ხალხების ერთ ცივილიზაციურ სისტემაში ჩართვა არავითარ ლოგიკას არ ექვემდებარება.

ხელთ არა გვაქვს მონაცემები სომხეთში სახელმწიფო აღრიცხვიანობის შესახებ. სახელმწიფოებრიობის დროს, ბუნებრივია, ცივილიზაციურობისათვის დამახასიათებელი ეს ნიშანიც ექნებოდათ. საქართველოში არსებობდა აღრიცხვიანობის სისტემა: შვიდ წელიწადში ერთხელ სამეფო კარი მოსახლეობის აღწერას ატარებდა. ჩრდილოეთ კავკასიისათვის ასეთი რამ დამახასიათებელი არ იყო.

ზოგადად კავკასიის ხალხების ეთნიკურ კულტურასაც, ეთნოგრაფიულ ყოფასაც უნდა შევხვით.

ე. ებერჰარდი მარცვლეული კულტურების მოყვანაზე აქცენტირებულ მიწათმოქმედებასა და მოშინაურებული საქონლის გამოყენებას ცივილიზაციის ნიშნებად მიიჩნევდა. მოშინაურებული საქონელი მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხს ჰყავდა და ამიტომაც მას ცივილიზაციის ნიშნად ვერ მივიჩნევთ, თუმცა სხვადასხვა ცხოველების მოშინაურება ადამიანთა საზოგადოების მიერ ცივილიზაციისაკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი იყო. რაც შეეხება მიწათმოქმედებას, მას კავკასიის ყველა ხალხი მისდევდა, გარდა მომთაბარე ნოღაელებისა. კავკასიაში მოსული ირანული და თურქული მოდგმის ხალხებიც მეურნეობის ამ სფეროს აქ დასახლკარებისთანავე ეზიარნენ. სამხრეთ კავკასიაში მიწათმოქმედება ირიგაციას ეფუძნებოდა. არსებობდა დიდი სარწყავი სისტემები, რომელთა მოწყობა დიდ კოლექტიურ შრომასა და სახელმწიფო ღონისძიებების, ფინანსური დახმარების გარეშე წარმოუდგენელი იყო. ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა თუ სტეპების ზოლში არქეოლოგებს ანალოგიური სარწყავი სისტემები დაფიქსირებული არა აქვთ. მიწათმოქმედების მაღალი კულტურის მაჩვენებელია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ტერასეული მიწათმოქმედების მაღალი დონე. მართალია, ტერასები ჩრდილოეთ კავკასიაშიც არსებობდა, მაგრამ მასშტაბებში დიდი სხვაობაა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 25-დან 40-მდე საფეხურიანი ტერასები ფიქსირდება. საქართველოში მაღალი დონის მევენახეობა-მელვინეობა არსებობდა. აქ 500-ზე მეტი ვაზის ჯიში ჰქონდათ გამოყვანილი, რაც ქართველი გლეხების საუკუნეობრივი შემოქმედების შედეგი იყო. ღვინო თითქმის ყოველდღიური მოხმარების პროდუქტი იყო; მას რიტუალური დანიშნულებაც ჰქონდა. სომხეთში, მიუხედავად არარატის ველის მკაცრი კლიმატური პირობებისა, მევენახეობა მაინც სათანადოდ იყო განვითარებული – ზამთარში ვაზს მიწაში მარხავდნენ. ჩრდილოეთ კავკასიისათვის ანალოგიური რამ დამახასიათებელი არ ყოფილა.

ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო მიწათმოქმედების ფართოდ განვითარების საშუალებას არ

იძლეოდა. ამიტომ მეურნეობის სფეროში პრიმატი მეცხოველეობას ენიჭებოდა. ყაზარდოში წამყვანი დარგი მეცხენოება გახლდათ. გვიან შუა საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთმა ხალხმა საერთოდ უარი თქვა მიწათმოქმედებაზე, რადგან ძირითად შემოსავალს თარეშები აძლევდა. მაგალითად შეიძლება ხუნძები დავასახელოთ.

XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის ჩერქეზების შესახებ ერთ-ერთი ისტორიკოსი წერდა: *“ჩერქეზებს არავითარ ჩემთხვევაში არ შეიძლება მიწათმოქმედი ხალხი ვუწოდოთ. ისინი ხელებს ომისათვის უფროთხილდებიან”*. ნ. დუბროვინი მათ მთავარ სიმდიდრედ ცხენების ძალიან დიდ ჯოგებსა და ცხვრის ფარებს თვლიდა. იტალიელი *ქსავერიო გლავეანი* კი ხაზს უსვამდა, რომ დასავლეთ ადიღეელები *“საჭმელად ბევრ ხორცს და ცოტა პურს გამოიყენებენ, რომელსაც ფეტვის ფქვილისაგან აცხობენ (ლომი – რ. თ.)”*. 1821 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში იმყოფებოდა შოტლანდიელი მოგზაური *რობერტ ლაილა*, რომელიც აღნიშნავდა, რომ *“კავკასიის მთიელ ტომებს ძალიან ბევრი საერთო აქვთ და ცდილობენ გააგრძელონ ცხოვრების ის გზა, რომელსაც მათი წინაპრები მისდევდნენ. მიწათმოქმედებას მისდევენ მცირედ. მათი ძირითადი საქმიანობა ნადირობა, მესაქონლეობა და ძარცვაა”*. ყაზარდოელებში მიწათმოქმედებას ინტენსიური ხასიათი არ ჰქონია. ყაზარდოული კაბაკების ხშირი ადგილმონაცვლეობის მიზეზი მიწების გამოფიტვაც იყო. ევლია ჩელების სიტყვებით, დასავლეთ ადიღეელები ხშირად გადადიოდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე და *“ამის გამო ჩერქეზთა ამ ქვეყანაში არაა არც ბაღები, არც ვენახები და არც მუდმივი საცხოვრებლები”*. მოყვანილი საისტორიო და ეთნოგრაფიული მასალა ცხადყოფს, თუ რაოდენ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან სამხრეთ კავკასიური და ჩრდილოეთ კავკასიური მეურნეობის ფორმები. ეს სხვაობაც არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ისინი ერთიანი კავკასიური ცივილიზაციის წარმომადგენლებად მივიჩნიოთ.

სამხრეთ კავკასიელებისათვის თუ ძირითად საკვებს პური წარმოადგენდა, ჩრდილოეთ კავკასიელებისათვის - არა. ყაზარდოელებმა/ადიღეელებმა პურის კულტურა არ იცოდნენ. ის რუსებისაგან

შეითვისეს. მათი ძირითადი საჭმელი იყო “პასტა” – ფეტვის ბურღულის უმარილო სქელი ფაფა (დომი – რ. თ.). სქელ გაციებულ ფაფას ნაჭრებად შეექცეოდნენ. ცნობილია, რომ საკვები, და, რა თქმა უნდა, სასმელიც წარმოადგენს ეთნიკური სტერეოტიპის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს და მკაცრად დაკავშირებული ეთნოსის მეურნეობასა და შესაბამისად მისი ბინადრობის გარემოსთან. კულტურის ამ სფეროშიც განსხვავება აშკარაა.

ახლა სოციალური ურთიერთობებზე უნდა შევჩერდეთ. როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისათვის ტრადიციული იყო დიდ და პატარა ოჯახებად ცხოვრება. ამ სფეროში მსგავსება დიდი იყო, მაგრამ საქორწინო ურთიერთობებზე ამას ვერ ვიტყვით. ცნობილია, რომ ქართველებსა და ჩრდილოეთ კავკასიელებს, დაღესტნელების გამოკლებით, გვარი ჰქონდათ. გვარი ეგზოგამიური იყო, ე. ი. ერთი გვარის წევრები ერთმანეთზე არ ქორწინდებოდნენ (ქართული მართლმადიდებელი ეკლესია შვიდი თაობის გასვლის შემდეგ რთავდა დაქორწინების უფლებას). დაღესტანის ოცდაექვსივე ხალხს და მათი მონათესავე აზერბაიჯანში მცხოვრებ ხინალულებს, კრიწებს და ბუდუხებს, აგრეთვე აზერბაიჯანელებს, გვარები არ ჰქონდათ და ამ ხალხებში ქორწინება ენდოგამიური გახლდათ, ე. ი. ერთმანეთზე ქორწინდებოდნენ ახლო ნათესავები, აკრძალვა მხოლოდ და-ძმას ეხებოდა. დაღესტნელები მეზობელი სოფლების მკვიდრებზეც კი არ ქორწინდებოდნენ. სხვადასხვანაირი საქორწინო ტრადიციების მქონე ხალხები შეიძლება ერთ ცივილიზაციაში შედიოდნენ? რა თქმა უნდა – არა. განსხვავება იმაშიცაა, რომ ქრისტიანი ხალხებისათვის ქორწინება კანონიერად ითვლებოდა საეკლესიო ჯვრიწერის შემდეგ, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში ქორწინების კანონიერების დამდგენი საქორწინო რიტუალი იყო. სამხრეთ კავკასიის ხალხების ქორწინებაში დაქორწინებულები – ნეფე და პატარძალი – ქორწილის მთავარი პერსონაჟები იყვნენ, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიის უმეტეს ხალხებში ქორწილს ნეფე-პატარძალი საერთოდ არ ესწრებოდა. მაგალითად, ჩაჩნეთში. აქ ნეფე მეგობრის ან ნათესავის სახლში იმალებოდა, ანდა ზოგჯერ ტყეში მიდიოდა. ქორწილის შემდეგ,

პირველ ხანებში, ქმარი გარეშეთ, თავის მშობლებსაც კი თავს არიდებდა, ცოლს კი საიდუმლოდ – მხოლოდ ღამით ხვდებოდა.

რელიგიიდან გამომდინარე ჩრდილოეთ კავკასიელ მუსლიმებსა და სამხრეთ კავკასიელ აზერბაიჯანელებში ვაჟი ქალს ურვადის (გადასახადის) გარეშე ვერ შეირთავდა, ქრისტიანი ქართველებისა და სომხებისათვის ანალოგიური რამ უცნობი იყო. ქორწინება ხდებოდა ან ქალის და ვაჟის ურთიერთმოწონებით, ან გარიგებით. ლეზგიებს შორის გაცვლითი ქორწინება არსებობდა, რომლის დროსაც მხარეები ერთმანეთში გოგონებს (ქალიშვილებს, დებს) ცვლიდნენ. მუსლიმური სამყაროსათვის ლევირატი და სორორატი იყო დამახასიათებელი. ასეთი ჩვეულება სამხრეთ კავკასიის ქრისტიანი ხალხებისათვის უცნობი იყო. ეს მონაცემებიც არ გვამღვეს იმის საფუძველს, რომ კავკასიურ ცივილიზაციაზე ვისაუბროთ.

განსხვავებული იყო ქალის უფლებრივი მდგომარეობაც. შუა საუკუნეების ქართული აზროვნება ქალსა და მამაკაცს თანაბარ დონეზე განიხილავდა. საკმარისია შოთა რუსთაველის აფორიზმი გავიხსენოთ: “ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდაც ხვადია”. ქართველი ქალისადმი კლდემაძოცილება, მოწიწება ჩანს ხალხური ცეკვის მწვერვალში “ქართული”, რომელიც რაინდულ-რომანტიკული სულისკვეთებით აღსავსე ცეკვაა. ამ თვალსაზრისით ხევსურული სწორფრობისა და ფშაური წაწლობის წეს-ჩვეულების დავიწყებაც არ შეიძლება. ქართული ოჯახი თუ მტკიცე იყო, ამას ვერ ვიტყვით ჩაჩნური ოჯახის შესახებ. ქმარს შეეძლო ცოლი ყოველგვარი არგუმენტების გარეშე სახლიდან დაეთხოვა. ასეთ შემთხვევაში ბავშვები მამასთან რჩებოდნენ და დედას საერთოდ ვეღარც ნახულობდნენ. ასე რომ, კაცი შეიძლება სამ-ოთხჯერ დაქორწინებულიყო და ქალიც ხელახლა გათხოვილიყო. ოჯახების დაშლა და ხელახლა დაქორწინება ხშირად ხდებოდა. ასეთი სხვადასხვა ტრადიციების მატარებელი ეთნოსების ერთ, საერთო ცივილიზაციაში ყოფნა წარმოუდგენელია.

დაღესტნის ხალხები ფაქტობრივად იზოლატი ეთნოსები იყვნენ. ამას მათი ენდოგამიური ქორწინებაც განაპირობებდა. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ერთ ენობრივ-ეთნიკურ ერთეულს საერთო

ეთნიკური თვითშეგნება არ ჰქონდა; არ ჰქონდათ საერთო ეთნონიმი და ისინი სოფლის სახელწოდებით იწოდებოდნენ. იგივე შეიძლება ითქვას ბალყარელების შესახებ, რომელთა ეთნონიმებს ხეობათა სახელები წარმოადგენდა. კავკასიის სხვა ეთნოსებისათვის ასეთი სახელდება უცნობი იყო. ამ სფეროშიც სხვადასხვაობა გვაქვს. საერთო წარმომავლობის ჩრდილო კავკასიურმა ეთნოსებმა კონსოლიდაციაც კი ვერ მოახერხეს, მაგალითად, ოსები ორ ერთეულად იყოფოდნენ: ირონელებად (აღმოსავლეთ ოსები) და დიგორელებად (დასავლეთელი ოსები). მათი ეთნიკური კონსოლიდაციის ხელის შემშლელი რელიგიური ფაქტორიც იყო. უკანასკნელნი მაჰმადიანები იყვნენ. ერთ ენაზე მოლაპარაკე ყარაჩაელები და ბალყარელები ცალცალკე ეთნოსებად დარჩნენ, რომელთა კონსოლიდაციასაც ტერიტორიული ფაქტორი უშლიდა ხელს. იგივე შეიძლება ითქვას ადიღეური მოდგმის ხალხებზე. XIV საუკუნეში ადიღეელთა ერთი ნაწილის აღმოსავლეთით გადანაცვლებამ მათგან ფაქტობრივად ყაზარდოული ეთნოსის ფორმირებას დაუდო სათავე. ბევრი წვრილ-წვრილი ეთნოსი დარჩა დაღესტანში. დაღესტნელების დიდ ეთნოსებად გაერთიანებას ენდოგამიური ქორწინება აბრკოლებდა.

ორიოდე სიტყვით დაკრძალვის წეს-ჩვეულებების შესახებაც. ქართველები მიცვალებულს მართლმადიდებლური წესის მიხედვით მესამე დღეს კრძალავდნენ, ჩრდილოეთ კავკასიელი მუსლიმები – იმავე დღეს, მზის ჩასვლამდე. ჩრდილოეთ კავკასიელი ჩაჩნები, ინგუშები, ოსები, ყარაჩაელები, ბალყარელები მიცვალებულს არა მიწაში, არამედ მიწისზედა აკლდამაში კრძალავდნენ.

საერთო კავკასიური ცივილიზაციის არსებობა არც მუსიკალური ფოლკლორის შედარებით დასტურდება. ამჯერად ამ თვალსაზრისით ჩრდილოეთ კავკასიელი და სამხრეთ კავკასიელი ხალხების შედარებას არ შევუდგებით. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ქართული გუნდური და მრავალხმიანი მუსიკალური ფოლკლორი ჟანრობრივად მდიდარია. ის მოიცავს შრომით, საყოფაცხოვრებო, საწესჩვეულებო, საქორწილო, ისტორიულ, საგმირო, სასიყვარულო, სახუმარო, საფერხულო სიმღერებს, შაირებს, მოთქმა-ტირილს. ჩრდილოეთ კავკასიელი ადიღეელებისა და დაღესტნელთა ზეპირ-პოეტურ შემოქმედებაში კი მნიშვნელოვანი

ადგილი ეკავა სიმღერებს თარეშების შესახებ. ასეთი სახის სიმღერებში პროპაგანდა ეწევა თარეშებს, რომელიც მიმართული იყო სხვათა სამარცხვად და ტყვეების ხელში ჩასაგდებად, ხოტბას ასხამდნენ თარეშების ორგანიზატორებს, რომელიც თანამეინახებთან ერთად კლავდა და ატყვევებდა სხვა რჯულის ადამიანს. ხუნძთა სიმღერებში დაწვრილებითაა გადმოცემული თარეშებისათვის მზადება, აღწერენ იმ იარაღს, რომელიც ლაშქრობისას თან მიჰქონდათ. ერთ-ერთი სიმღერის ტექსტი კი ასე ჟღერს: *“სადაც ჩვენი ხელი შეეხო, იქ ტირილი გაისმა, სადაც მივიდა ფეხი ჩვენი, იქ ალი აგიზგიზდა. ტყვედ ჩაგდებულ იქნენ ხელებლამაზი და თვალლამაზი ქალიშვილები; შევიპყარით ჯანმრთელი ბიჭები...”* როგორც წესი, თარეშების შესახებ შექმნილი სიმღერები ასეთი სურვილით მთავრდება: *“დაე, დაეზადოს ყველა დედამას მსგავსი შვილები”*. რომელი ცივილიზაციის ჩარჩოებში შეიძლება მოთავსდეს ასეთი მუსიკალური ფოლკლორი? ჩრდილოეთ კავკასიაში ადამიანთა მოტაცება და მონებად გაყიდვა დანაშაულად არ ითვლებოდა, ე. ი. მათ სამხრეთ კავკასიელთაგან განსხვავებული სტერეოტიპები და ეთნოფსიქოლოგიური განწყობა გააჩნდათ. ქართველები რამდენიმე საუკუნის განმავლობაში თვითონ განიცდიდნენ თარეშების უარყოფით შედეგებს, რასაც საბოლოოდ ქვეყნის ჩრდილოეთი საზღვრის თითქმის მთელ მონაკვეთზე ეთნიკური სიტუაციის შეცვლა და ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელთა ჩამოწოლა მოჰყვა.

ხალხური კულტურის არაერთი სხვა მაგალითი შეიძლება კიდევ მოვიყვანოთ. კავკასიის ხალხებს ბევრი კულტურის ელემენტი საერთო ჰქონდათ: სტუმართმოყვარეობის ტრადიციები, მსგავსი ადათობრივი სამართალი, სისხლის აღების წეს-ჩვეულება, სამოსის თითქმის ერთგვაროვნება (ჩოხა გვიან გახდა საერთო კავკასიური. მამაკაცის ამ სამოსს ჩრდილოეთ კავკასიაშიც და ქართველებშიც ძირითადად დაწინაურებული ფენა ატარებდა, ხოლო გლეხობაში ის სადღესასწაულო სამოსი იყო - დიდ სოფლებში ისინი ჩოხას ძირითადად ქორწილში იცვამდნენ), გაძიძავება, კომპური კულტურა (ადილეური მოდგმის ხალხებისათვის კომპური კულტურა დამახასიათებელი არ იყო), დასახლების შეჯგუფული ფორმა და

სხვა. ეთნიკური კულტურის ზოგიერთი მსგავსი ელემენტი არავითარ საფუძველს არ იძლევა იმისათვის, რომ “კავკასიურ ცივილიზაციაზე” ვილაპარაკოთ. კავკასიის ხალხებს უფრო მეტი განმასხვავებელი რამ ჰქონდათ, ვიდრე საერთო. განსაკუთრებით ეს სამხრეთ კავკასიელებისა და ჩრდილოეთ კავკასიელების კულტურაზე შეიძლება ითქვას. კავკასიური ცივილიზაციის წარმოქმნაზე ვერც მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების მიგრაციამ მოახდინა რაიმე გავლენა. ჩრდილოეთ კავკასიურ ეთნოსებში ბევრია ქართული წარმომავლობის, ქართველთა შორის - ჩრდილოკავკასიური წარმომავლობისანი, მაგრამ ასეთი გადასახლებანი რაიმე სიმპტომსაც კი არ ქმნიდა კულტურათა დასაახლოვებლად, მსგავსი პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური სტრუქტურების შესაქმნელად. რასობრივად კავკასიელები ახლოს დგანან ერთმანეთთან. ანთროპოლოგიური მსგავსება კი სულ სხვა მოვლენაა; ის ბუნებრივი კატეგორიაა. ანთროპოლოგიურ ტიპსა და ფენოტიპის მსგავსებას კულტურულსა და ცივილიზაციურ მოვლენებთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ვფიქრობთ, საარგუმენტაციო მასალის მოტანა ე. წ. “კავკასიური ცივილიზაციის” შესახებ საკმარისია. დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ “კავკასიური ცივილიზაციის” მომხრე ქართველებს არ დავასახელებდი, მაგრამ სტატიის ქართულ ენაზე გამოქვეყნების შემდეგ, ეს დანაპირები უნდა დავარღვიო. ორიოდე ციტატას შემოგთავაზებთ. ციტატა პირველი: “...საქართველი და კავკასია, როგორც ერთიანი გეოგრაფიული, ეკონომიკური, კულტურული სივრცე მსგავსი ისტორიული წარსულით, გვევლინება ლოკალურ-ცივილიზაციურ მოცემულობად”; ციტატა მეორე: “კავკასიის რეგიონში საქართველოს თავისი “გეო”, “Heartland”-ური (“შუაგული მიწა”) მდგომარეობიდან გამომდინარე, კავკასიური ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში ისტორიული როლი ეკუთვნის, რაც არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ლინგვისტური, ფოლკლორული და სხვა მასალებით დასტურდება”; ციტატა მესამე: “კავკასიური ცივილიზაციის აღიარება და შესაბამისი სოციულურ-კულტურული პრაქტიკის გატარება შესაძლოა გახდეს რეგიონში არსებული დეზინტეგრაციის, კონფლიქტების დამღევისა და დემოკრატიული

აღმშენებლობის იდეოლოგიურ ბაზად.”³² დაწვრილებითი კომენტარის გაკეთება, ალბათ, საჭირო არცაა, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოთ: ა) კავკასია მხოლოდ გეოგრაფიულადაა “ერთიანი მოცემულობა”. მას არასდროს ჰქონია ეკონომიკური ერთობა (თუმცა სასურველი კი იყო; შუა საუკუნეებში ნატურალური მეურნეობის პირობებში ამის საჭიროება არც იყო). კავკასია არც ერთიანი კულტურული სივრცის მომცველი იყო და არც “მსგავსი ისტორიული წარსულის” მქონე (კავკასიის ხალხები ერთმანეთს რომ ისტორიას სტაცებენ, ესაა “მსგავსი ისტორიული წარსული”? მაგალითად, ოსი ისტორიკოსების მითოლოგიები და სომხეთში გავრცელებული ისტორიული რუკები შეიძლება გავიხსენოთ. ბაქოში გამოცემულ ენციკლოპედიაში კი ვკითხულობთ: «Ереван - древний азербайджанский город, ныне столица Республики Армения».³³ მსგავსი მაგალითები არაერთი შეიძლება მოვიყვანოთ); ბ) კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ანთროპოლოგიური, ლინგვისტური და ფოლკლორული ერთობა ცივილიზაციურ ერთობას არ ქმნიდა. ზემოთ მოკლედ ნათქვამი იყო იმის შესახებ, რომ კავკასიელებს მსგავსი ფოლკლორი არ ჰქონიათ; არც ლინგვისტური ერთობა ქმნის ცივილიზაციურ ერთობას; რა ვუყოთ იმას, რომ კავკასია ისტორიულადაც და დღესაც მხოლოდ ერთ ენათა ოჯახზე მოლაპარაკე ეთნოსებით არ იყო დასახლებული? გ) რაც შეეხება მესამე ციტატას, ვეჭვობთ, რომ მას მეცნიერებასთან საერთო რამ ჰქონდეს. როგორც ჩანს, იმდენად მომხიბვლელია კავკასიური ცივილიზაციის იდეა, რომ ის რეგიონში არსებულ ისტორიულ და ახლანდელ კონფლიქტებს უმალ გადაჭრის და ყველა კავკასიელი ერთად დემოკრატიზაციის გზასაც დაადგება. უფრო სერიოზულად რომ ვთქვათ, ავტორს კავკასიის ყველა ეთნოსის ყველა სოციალურ ფენაში კონკრეტულ სოციოლოგიური გამოკვლევა უნდა ჩაეტარებინა და დადებითი პასუხების შემთხვევაში შემოეთავაზებინა აღნიშნული რეკომენდაცია. დღეს მსოფლიოში 70-მდე მოქმედი ეთნიკური კონფლიქტია და ამ კონფლიქტების მხარეებს

³² *კვიციანი ჯ.* საქართველო და კავკასიური ცივილიზაცია. – კავკასიოლოგთა პირველი საერთაშორისო კონგრესის მასალები, თბ., 2007, გვ. 84, 85.

³³ *Гусейнова И.* Историческая энциклопедия Кавказа, Баку, 2010. С. 274.

თუ ერთი ცივილიზაციის წარმომადგენლებად გამოვაცხადებთ, ყველა მათგანის გადაჭრასა და დემოკრატიზაციას წინ აღარაფერი დაუდგება? ერთ ენაზე ლაპარაკობენ და კულტურის ბევრი საერთო ელემენტი გააჩნიათ სამხრეთ სლავებს – სერბებს, ხორვატებს, ბოსნიელებს. მაგრამ ისტორიულმა ჟამთაგულამ ისინი სხვადასხვა ეთნოსებად, უფრო მეტიც, სხვადასხვა ცივილიზაციების მატარებლებად ჩამოაყალიბა. ამ შემთხვევაში გადაწყვეტი რილი რელიგიამ ითამაშა. საინტერესოა, კავკასიის შემთხვევაში რელიგიური ფაქტორი კავკასიელი ხალხების საერთო კავკასიური ცივილიზაციის წარმომადგენლებად გამოცხადებას ხელს არ უშლის? ენა მხოლოდ ეთნიკურობის ერთ-ერთი ნიშანია და არა ცივილიზაციისა, დამწერლობის მქონე ხალხები კი ცივილიზაციის მატარებელნი არიან.³⁴

³⁴ზოგიერთს ქართველთა ეთნოგენეზი მხოლოდ ენათმეცნიერთა გადასაწყვეტი საქმე ჰგონია: *“XXI საუკუნის დასაწყისში კი კავკასიოლოგიამ საბოლოოდ გადაჭრა (მ. ჩუხუა, მ. ქურდიანი) მკაცრი და ვერყფიერებადი მეთოდებით ქართველთა ეთნოგენეზის საკითხი”* (ც. ბარამიძე, ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობა ქართველთა ეთნოგენეზის საკითხში და კომპარასტივისტიკის თანამედროვე კვაზიმეცნიერული ოპუსები. - ივანე ჯავახიშვილის 135-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2011, გვ. 35). დღემდე ანალოგიური რამ არავის დაუწერია, იმიტომ, რომ ამ პრობლემით დაინტერესებულმა მკვლევარებმა კარგად უწყოდნენ, რომ ეთნოგენეზი უაღრესად რთული მოვლენაა და ასეთი პროცესების შესასწავლად მიმართულია სხვადასხვა მეცნიერებათა (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ანთროპოლოგია და, რა თქმა უნდა, ენათმეცნიერება) ძალისხმევა. ჩამოთვლილ მეცნიერებათა მონაცემების კომპლექსში გამოყენება ისტორიის სიღრმეში ჩამოყალიბებულ ეთნოსების ეთნოგენეზს ეხება, ადრე შუა საუკუნეებში ფორმირებული ხალხების ეთნოგენეზის საკვლევად მხოლოდ ისტორიკოსთა ძალისხმევაც საკმარისია (მაგალითად, ფრანგებისა და ბულგარელების, ინგლისელების და უნგრელების ეთნოგენეზი). მეცნიერთაგან იმის დადასტურება, რომ ჩრდილოეთკავკასიური და ქართველური ენები ერთი ენობრივი ოჯახის ენებია და რომ ისინი საერთო ძირიდან მომდინარეობენ, არც ქართველთა და არც ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების ეთნოგენეზის საკითხის გადაწყვეტას არ ნიშნავს. ინდოევროპული წინარეენის დაშლის შემდეგ, ამ ენათა ოჯახის შემადგენლობაში შემავალმა ხალხებმა განვითარების - ეთნოგენეზის და ეთნიკური ისტორიის - სრულიად განსხვავებული გზა გაიარეს. ენათა ნათესაობა ეთნიკურ მონათესაობას და ეთნოგენეზის საკითხის გადაწყვეტას არ ნიშნავს. ინგლისური და ქურთული, იტალიური და ფარსი ენები ერთ ენათა ოჯახში

საერთო “კავკასიური ცივილიზაციის” შესახებ თანამედროვე მდგომარეობიდან გამომდინარეც არ შეიძლება ვისაუბროთ: წინააღმდეგობები კავკასიელ ხალხთა შორის განუზომლად დიდია. ერთი ცივილიზაციის ფარგლებში ამდენი დაპირისპირება, კონფლიქტი არ ხდება. მხედველობაში გვაქვს სომხურ-აზერბაიჯანული ომი, “ქართულ-აფხაზური” და “ქართულ-ოსური ომები”, ინგუშურ-ოსური დაპირისპირება. საერთო კავკასიური ცივილიზაცია რომ ნონსენსია, ამას ჩრდილოეთ კავკასელთა შორის ისლამის რეაქციული მიმართულების – ვაჰაბიზმის ფართოდ გავრცელებაც უშლის ხელს, და, რაც ყველაზე მთავარია, გავრცელებული ტერორიზმი. ტერორიზმი (და ისტორიულ წარსულში არსებული თარეშები), საერთოდ, როგორ შეიძლება ცივილიზაციურ მოვლენად ჩაითვალოს? განსაკუთრებით უცხოა ეს მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანობის მიმდევარი ქართველებისა და სომხებისათვის, აზერბაიჯანელებისათვის. დღესაც კი წარმოუდგენელია ჩაჩანი ქალი სხვა ეთნოსის წარმომადგენელ ვაჟზე დაქორწინდეს. ჩაჩნებს კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებთ – რუსეთის ნებისმიერ ოლქში გარდაცვლილი ჩაჩნის ჩაჩნეთში დაკრძალვა ყველა ახლოს მყოფი ჩაჩნის მოვალეობაა.

შედის, მაგრამ მათი მატარებელი ხალხები მონათესავე ეთნოსები არ არიან, იმიტომ, რომ ინგლისელების და ქურთების, იტალიელების და სპარსელების ეთნოგენეზი სხვადასხვაგვარად წარიმართა; ისინი სხვადასხვა ეთნიკური ელემენტების შერევის შედეგად წარმოიქმნენ. იგივე შეიძლება ითქვას ალთაურ ენათა ოჯახის თურქული ჯგუფის ენებზე. ამ ჯგუფში არის გაერთიანებული, ერთი მხრივ, თურქული და, მეორე მხრივ, უიდურული ენები. მაგრამ ეს ეთნოსები მონათესავენი არ არიან, რადგან მათი ეთნოგენეზი სხვადასხვა კომპონენტთა შერევით განხორციელდა, რასაც ამ ხალხების ანთროპოლოგიური ტიპიც და ფენოტიპიც ადასტურებს.

კიდევ ერთი რამის შესახებ: დღეს ჰუმანიტარულ მეცნიერებაში კატეგორიული მსჯელობა და მეცნიერებისათვის უცხო და მიუღებელი ტერმინების გამოყენება, როგორც ზემოხსენებულ მასალების სათაურში გვაქვს (“კვაზიმეცნიერული ოპუსები”) ერთობ უხერხულია. ვფიქრობთ, საბჭოთა მეცნიერებისათვის დამახასიათებელი ეს სტილი, ამა თუ იმ მეცნიერული შეხედულების აქსიომად გამოცხადება, განსხვავებული, თუნდაც მიუღებელი აზრისადმი შეუგუებლობა და ბელადომანია წარსულს უნდა ჩაბარდეს.

არა მხოლოდ კავკასიური ცივილიზაციის, არამედ ერთიანი კავკასიური კულტურის მიმართაც სრულიად სამართლიანი ნეგატიური დამოკიდებულებაა გამოთქმული: *“კავკასიური იდენტურობის არსებობა არ ნიშნავს ერთიანი კავკასიური კულტურის არსებობას ისევე, როგორც, ვთქვათ, ევროპული იდენტურობისა – ერთიანი ევროპული კულტურის არსებობას”*³⁵. გამოთქმულ შეხედულებას ზემოთ ჩვენს მიერ მოხმობილი ყოფილი კულტურის მონაცემების მოხმობაც ადასტურებს. უფრო მეტიც: არ არსებობს საერთო ჩრდილოკავკასიური კულტურაც; დაღესტნის ხალხებისა და ადიღეელთა კულტურის კომპონენტები სრულიად განსხვავებულია და ერთ საერთო ჩარჩოში არ თავსდება.

ფრიად საყურადღებოა, ევროპელთა დამოკიდებულება კავკასიის მიმართ ისტორიის სხვადასხვა ეპოქაში. ამ თვალსაზრისით მხოლოდ ციტატებს დავჯერდები კომენტარის გარეშე: ძველი საბერძნეთისა და რომის ეპოქაში *“გამოიკვეთება საქართველოს ადგილი, როგორც ევროპული კულტურული ლანდშაფტის ნაწილისა, რომელიც მეტწილად წარმოადგენს რომის მოკავშირეს ირანის წინააღმდეგ და თანაც დამცველს ევროპული საზღვრისა, სადაც არ შედიოდა მაშინდელი ჩრდილოეთ კავკასია*. დარიალის კარების დაცვით საქართველო იცავდა ანტიკურ სივრცეს. იგი ადრე შუა საუკუნეებშიც ასრულებდა თავის პოლიტიკურ ფუნქციას – დაეცვა რომაული (ქრისტიანული) სივრცე ბარბაროსებისაგან. *ადრე შუა საუკუნეებში საქართველო ჩრდილოეთ კავკასიის გარეშე წარმოიდგენდა თავს ერთიან ევროპულ სივრცეში”*.

“XI-XII საუკუნეებში “ღვთივ კურთხეული” სამეფო გვირგვინის მატარებელი საქართველო თავის სივრცეში მოიაზრებს მთელს კავკასიას, სადაც ქართული ენა ასრულებს ქრისტიანული კულტურის გამავრცელებლის ფუნქციას. საქართველოს მეშვეობით ხდება ქრისტიანობის გავრცელება ჩრდილოეთ კავკასიაში და, ამდენად, კავკასიური სივრცე მოიაზრება ევროპულ კულტურულ ლანდშაფტში. მაგრამ, მალევე, მონღოლთა გამოჩენისთანავე, საქართველო კარგავს კავკასიის გამაერთიანებლის ფუნქციას და

³⁵ *ჩიქოვანი ნ.* საქართველოს კულტურული რაობა და ცივილიზაციური კუთვნილება ცივილიზაციათა თეორიის კონტექსტში, თბ., 2005, გვ. 163.

ერთიანი კავკასია ნაკლებად არის წარმოდგენილი საისტორიო წყაროებში. პირიქით, კვლავ *ადრე შუა საუკუნეების მსგავსად, კავკასიის მთების გადაღმა მცხოვრებნი ქრისტიანული სამყაროსათვის უცხო ელემენტებად აღიქმება*, რისი დასტურიცაა ამ ეპოქის ევროპულ მოგზაურთა და ფრანცისკანული და დომინიკანური სასულიერო ორდენის წევრთა ნაწერებში დაცული ცნობები, რომლებიც კავკასიის მთებს გადაღმა მოიხსენიებენ გოგისა და მაგოგის ადგილსამყოფელს”.³⁶

ნორბერტ ელიასის სიტყვებით, “ცივილიზაცია” იმას გამოხატავს, რაც ყველა ხალხისათვის საერთოა, “კულტურა” კი – ეროვნულ ფენომენს. მართლაც კავკასიის ყველა ხალხს მისთვის დამახასიათებელი ეთნიკური კულტურა გააჩნია, მაგრამ ეს კულტურის ელემენტები მათ საერთო არა აქვთ, არა აქვთ საერთო “ცივილიზაციის” ნიშნები. ჩრდილოეთ კავკასიელების კულტურა ცივილიზაციაში ვერ გადაიზარდა. იმ დროს, როდესაც ქართველებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს ცივილიზაციის ყველა ნიშანი გააჩნიათ და ისინი საუკუნეების წინ წარმოიქმნა, ასეთსა ჩრდილოეთ კავკასიაში ვერ ვხედავთ. როდესაც რომელიმე ავტორი საერთო რასას, ფენოტიპს ცივილიზაციის ნიშნად განიხილავს, აშკარაა, რომ ასეთი მოსაზრების ავტორებს, ფაქტობრივად, მეცნიერული საარგუმენტაციო მონაცემები არ გააჩნიათ. რეალურად ჩვენ საქმე გვაქვს ორ, სრულიად სხვადასხვა, სამყაროსთან, რომელიც გაყოფილია კავკასიის დიდი წყალგამყოფი ქედით. ქედის ჩრდილოეთით მთებში მცხოვრები ეთნოსების საკონტაქტო ზოლი ევრაზიის სამომთაბარეო სივრცე იყო, ხოლო სამხრეთ კავკასიელებს ურთიერთობა ჰქონდათ სპარსულ, ანტიკურ, არაბულ, მართლმადიდებლურ-ბიზანტიურ ცივილიზაციებთან.

სამხრეთ კავკასიელთა საერთო ცივილიზაციაზედაც ვერ ვისაუბრებთ. ადრე შუა საუკუნეებში თითქოს ისინი (ქართველები, სომხები, ალბანელები) სპარსული ცივილიზაციის რაღაც ნაწილს

³⁶*ჯავახია ბ.* კავკასია შუა საუკუნეების ევროპის კულტურულ ლანდშაფტში. – კავკასიოლოგთა პირველი საერთაშორისო კონგრესის მასალები, თბ., 2007, გვ. 233, 234.

წარმოადგენდნენ, ყოველ შემთხვევაში, მის დიდ გავლენას განიცდიდნენ, მაგრამ ამ ხალხებში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ცივილიზაციის ვექტორი სხვა მხარეზე გადაიხარა. ცალ-ცალკე განვითარდა ქართული და სომხური ცივილიზაცია. საერთო ქრისტიანული რელიგიის მიუხედავად, სომხებმა და ქართველებმაც თავისთავადი ეთნიკური ცივილიზაციები შექმნეს. ქართველთა დიოფიზიტობა და სომეხთა მონოფიზიტობა ერთი ცივილიზაციის შექმნის საფუძველს არ იძლეოდა. სომხებს XI საუკუნიდან სახელმწიფოებრიობა მოეშალათ და მათ ძირითად საქმიანობად, განსაკუთრებით სხვა ქვეყნებში გადასახლებულთათვის, ვაჭრობა და ხელოსნობა იქცა, ხოლო ქართველთათვის ვაჭრობა საყოველთაო მოვლენა არ ყოფილა; ისინი მიწას იშვიათად წყდებოდნენ. დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან ქართული და სომხური ხასიათიც. ქართული ცივილიზაცია შედეგია სპარსული, ძველბერძნული, ბიზანტიური და თვით ქართული კულტურების შერწყმან-განვითარებისა. მის საფუძველს კი მართლადიდებლობა წარმოადგენს. ზოგიერთთა შეხედულებით, ქართული ცივილიზაცია ევროპული ცივილიზაციის ნაწილია.

ამრიგად, **კავკასიური ცივილიზაცია არ არსებობდა და არ არსებობს. კავკასიელებს (სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიელებს არ ჰქონიათ კულ-ტურული ფენომენების, სოციალ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურების საერთო კომპლექსები და სტრუქტურები, რელიგიური ერთობა.** საერთო კავკასიური კულტურული და ცივილიზაციური ერთობის წარმოქმნას ხელი შეუშალა რეგიონის ბუნებრივ-გეოგრაფიულმა და კლიმატურმა მრავალფეროვნებამ, ევროპისა და აზიის დამაკავშირებელმა გზებმა და ამ გზებზე სხვადასხვა დამპყრობლის მიგრაციამ და აქ დამკვიდრების სურვილმა. განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდში ბიზანტიელთა და ქართველთა ცდა კავკასიელების ქრისტიანული იდეოლოგიის ქვეშ გაერთიანებისა წარუმატებელი აღმოჩნდა. კავკასიის სამხრეთმა და ჩრდილოეთმა ნაწილებმა განვითარების სხვადასხვა გზა გაიარეს. აქ მცხოვრებ სხვადასხვა ხალხებს ერთი ისტორიული მარშრუტი არ გაუვლიათ.

“კავკასიური ცივილიზაცია” მხოლოდ ცივილიზაციის თეორიებში, ისტორიასა და ეთნოლოგიაში ჩაუხედავი მეცნიერების მოგონილი სიტყვებია: ა) ცნება “კავკასიური ცივილიზაცია” ბოლო დროს რუსულ სამეცნიერო წრეებში შემოდებული ტერმინია, რომელიც საქართველოშიც აიტაცეს. ის პირველად მეცნიერებაში რუსეთის დუმის დეპუტატმა აბდულა-ტიპოვმა შემოიტანა. რატომღაც გვგონია, რომ “კავკასიური ცივილიზაცია” და “ლიცო კავკასკოე ნაციონალნოსტი” ერთ თავში გადახარშული ტერმინებია. ის ერთგვარი სატყუარაცაა. საბჭოთა პერიოდში “ცივილიზაციის” სინონიმური ტერმინი გახლდათ “ისტორიულ-კულტურული/ეთნოგრაფიული ოლქი”, რომლის შემოტანაც ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში დაკავშირებულია ნ. და ი. ჩეხოქსაროვების სახელთან³⁷. ასე რომ, ამ სქემაში “კავკასიის ისტორიულ-კულტურული” ცნებას “კავკასიური ცივილიზაციის” ცნება ჩაენაცვლა. თუმცა, კავკასიის მიმართ რეალურ ვითარებას ზემოთ აღნიშნული ავტორებიც უწყვედნენ ანგარიშს და კავკასიაში ორ ქვეოლქს – ჩრდილოკავკასიურს და სამხრეთკავკასიურს გამოყოფდნენ;

ბ) უკვე დიდი ხანია (თუ თავიდანვე არა!) ჩრდილოეთ კავკასია და სამხრეთ კავკასია, ფაქტობრივად, სხვადასხვა გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური სისტემების ნაწილად იქცა. გარკვეული წრეები ამ რეალობის წინააღმდეგ გამოდიან და ცდილობენ თანამედროვეობის არაერთი მოვლენა ისტორიით შეამაგრონ. ხომ არაა ახალი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ვითარების საწინააღმდეგოდ მოფიქრებული “კავკასიური ცივილიზაციის” ლამაზი ცნება? მავანთა ვარაუდით, რადგან კავკასიას საერთო კულტურული (გეოკულტურული), საერთო ისტორიული (გეოისტორიული), საერთო ენობრივი საფუძვლები ჰქონდა და აქვს, ამიტომ კავკასიის ორი – გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური – სისტემების არსებობას პერსპექტივა არა აქვს; ე. ი. ის ძველებურად, როგორც უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში, ერთი და

³⁷ Чебоксаров Н. Н., Чебоксарова И. А. Народы, расы, культуры. М., 1985.

ერთანი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური სისტემა უნდა იყოს(?!);

გ) ნაშრომში წამოყენებული დასკვნები ეყრდნობა მეცნიერებაში მიღებულ ცივილიზაციის ნიშნებს. ავტორის უარყოფითი დამოკიდებულება “კავკასიური ცივილიზაციის” მიმართ სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ კავკასიის ხალხები ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდნენ, რომ მათ არ ჰქონდათ ერთმანეთში ურთიერთობა, არ იღებდნენ ერთმანეთისგან კულტურის ელემენტებს: განსაკუთრებული ურთიერთობა გააჩნდათ ქართველ მთიელებს ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ხალხებთან, ხშირი იყო ორმხრივი მიგრაციული პროცესებიც, მსგავსი ჰქონდათ სტუმარმასპინძლობის ტრადიციები. კავკასიელები ანთროპოლოგიურად ახლოს დგანან ერთმანეთთან, მაგრამ ეს არ გვადლევს უფლებას მეცნიერებაში ხელოვნური ცნებები და ტერმინები შევქმნათ და არარსებული არსებულად გამოვაცხადოთ. ამით მხოლოდ თავს მოვიტყუებთ და გარეშეთ განქიქების საბაზს მივცემთ;

დ) გარეშე ფაქტორთა გამოისობით კავკასიის ხალხებმა მძიმე ისტორია გაიარეს. ისინი სხვადასხვა იმპერიების მარჯულებში იყვნენ მოქცეულნი; ბევრმა მათგანმა განსახლების არეალიც (ეთნოსფერო) დაკარგა, ზოგიერთი საერთოდ გაქრა, ათეულობით სოფელი გადაიწვა. ეს იყო დიდი ტრაგედია. გმირულმა თავგანწირვამ ამაოდ ჩაიარა. ისტორიას ახსოვს კავკასიელებს შორის დაპირისპირებანიც. ეს დაპირისპირება, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება. კავკასიელი ხალხების მომავალი განვითარება ურთიერთპატივისცემასა და სიმპატიებს უნდა ეფუძნებოდეს, იმის მიუხედავად, თუ პოლიტიკურად სად იქნებიან ისინი. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ კავკასია კონფლიქტებმა მოიცვა, ხალხები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ინსპირირებული ომების შემდეგაც, ქართველ ხალხს არც აფხაზებისა და არც ოსების მიმართ სიმულვილის გრძნობა არ გასჩენია. ამასვე ვუსურვებდი აფხაზებსა და ოსებსაც, სომხებსაც და აზერბაიჯანელებსაც. მშვიდობიან კავკასიას, ურთიერთპატივისცემას ალტერნატივა არ გააჩნია.

ნაწილი მეორე

პირველი ნაწილს, რომელიც თსუ “საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების” 2011 წელის II ტომში დაიბეჭდა, ერთ-ერთმა ქართველმა მეცნიერმა “კრიტიკული” წერილით უპასუხა, რომლის საპასუხოდ იმავე კრებულის 2012 წლის V ტომში კი ჩვენი პუბლიკაციაც განთავსდა. კონკრეტულად მივმართე “საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების” რედაქტორებს – თედო დუნდუას, მარიამ ჩხარტიშვილსა და ალექსანდრე ბოშიშვილს. აღნიშნული კი წიგნში მეორე ნაწილის სახითაა წარმოდგენილი. თუმცა მას შემდეგ მეორე ნაწილმა გარკვეული ცვლილება განიცადა და მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

“საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების” 2011 წელის IV ტომში გამოქვეყნდა თსუ კავკასიოლოგიის ინსტიტუტის პროფესორის, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების (რომლის გამგეც მე გახლავართ უმცროსი მეცნიერი-თანამშრომლის *ჯორჯ კვიციანი*ს წერილი, სათაურით “კავკასიაში ეთნიკური ვითარებისა და ცივილიზაციური კუთვნილების შესახებ (პასუხი რ. თოფჩიშვილის ინტერპრეტაციებს)”. შეგახსენებთ: ავტორი აკრიტიკებს ჩემს სამეცნიერო შეხედულებებს ე. წ. “კავკასიური ცივილიზაციისა” და კავკასიაში ეთნიკური ვითარების ცვლილებების შესახებ. გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ არა ვარ მომხრე მეცნიერმა დრო დაკარგოს და პასუხის ღირსად მიიჩნიოს მსგავს “კრიტიკოსთა ნააზრევი”. როგორც მოგეხსენებათ, ყველა მკვლევარს აქვს შესაძლებლობა საკუთარი ნაფიქრ-ნააზრევი სამეცნიერო ნაშრომში ჩამოაყალიბოს. სხვათა შორის, განსხვავებულ მოსაზრებათა შესახებაც არ შეიძლება მეცნიერს მკვეთრი რეაქცია ჰქონდეს. როგორც ცნობილია, მეცნიერება და, მათ შორის, ჰუმანიტარულიც კატეგორიულობას ვერ იტანს. კატეგორიული იყო ჰუმანიტარული მეცნიერება საბჭოთა პერიოდში. საბჭოთა მეცნიერება კატეგორიული იმიტომ იყო, რომ ის **გარკვეულ ჩარჩოებში იყო მოქცეული** – ისტორიული მატერიალიზმი იყო

ყველაფრის მიმართულების მიმცემი; დებულებები ზემოდან მოდიოდა. აქედან გამომდინარე, მეცნიერებიც იძულებულნი იყვნენ სქემებისათვის მოერგოთ თავიანთი ნააზრევი. ხშირად გაიგონებდით, ან წაიკითხავდით: “ეს საკითხი საბოლოოდ დადგენილია”, “საბოლოოდ გადაწყვეტილია”, “ჭეშმარიტებაა”, “ამ სფეროში საკვლევი აღარაფერია”. ფაქტობრივად, არავის შეეძლო “მეცნიერების ლიდერთაგან” განსხვავებული აზრის გამოთქმა. იყო მეცნიერთა გარკვეული ერთგვარი კულტიც შექმნილი – მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები აბსოლუტურ ჭეშმარიტებად ცხადდებოდა და სხვას განსხვავებული აზრი არ უნდა გამოეთქვა, იმავე საკითხებზე წერა არ შეიძლებოდა. ერთი სიტყვით, მეცნიერებაშიც ცეკას მსგავსი სტრუქტურა არსებობდა; უფრო მეტიც, კომუნისტური პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი ერეოდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საქმეებში. მაგალითად, შეიძლება აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის პრობლემები მოვიყვანოთ, ზემოდან მოცემული ჩარჩოებით ხდებოდა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა ისტორიის შესწავლა (აქ შეიძლება გავიხსენოთ ცეკას მითითებით ბატონ *უშანგ სიდამონიძის*ათვის მინიჭებული დოქტორის სამეცნიერო ხარისხის ჩამორთმევა).

საისტორიო და ეთნოლოგიურ მეცნიერებაში არსებული ბევრ წყაროსა და მონაცემის სანდოობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. მონაცემები ზედაპირზე დევს და ყველაფერი ნათელია. წარსულში და დღესაც მკვლევარები ასეთ მასალებსა და წყაროებს სათანადო, ხშირად სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას აძლევდნენ. მეცნიერებს დასკვნების გაკეთების საშუალებას არსებული წყაროსა და მასალის ანალიზი აძლევს, მაგრამ წინასწარ აკვიატებული დასკვნისათვის მასალის მორგება უკვე მეცნიერება აღარაა.

ამრიგად, მეცნიერს შეიძლება განსხვავებული შეხედულება გააჩნდეს, მაგრამ ის აუცილებლად სათანადო მონაცემებს უნდა ეყრდნობოდეს არგუმენტირებული მსჯელობისთვის. კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას უნდა მივაპყრო თქვენი ყურადღება: მართალია, საისტორიო მეცნიერება ფაქტების საშუალებით მიახლოებითი სინამდვილის დადგენაა, მაგრამ ქართველოლოგიას ჩვენს შემთხვევაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაც გააჩნია –

ის საკუთარი ხალხის კულტურის წარმოჩინებას ემსახურება და ეთნიკური/ეროვნული ცნობიერების შენარჩუნების სამსახურშია. ერთი სიტყვით, მეცნიერი ნებისთი თუ უნებლიეთ არ უნდა აკნინებდეს და ჩქმალავდეს იმ კულტურულ მიღწევებს, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში თაობების მიერ იყო შექმნილი. თუმცა ის მითოლოგიებსაც არ უნდა ქმნიდეს და ისტორიისა და კულტურის მიღწევების ფალსიფიცირებასა და ზეადმატებულ ხარისხში წარმოდგენას არ უნდა ცდილობდეს. სამწუხაროდ, ასეთი ტენდეციები დღეს ფრიად დამახასიათებელი რამაა სხვადასხვა ხალხების მეცნიერთა წრეებისათვის, რაც განსაკუთრებით ჩვენ ირგვლივ მკვიდრ, მეზობლად მცხოვრებ ეთნოსებს ეხებათ.

ჩემი სტატია “კავკასიური ცივილიზაციის შესახებ” ზემოხსენებული “კრიტიკოსისაგან” განსხვავებული შეხედულებების შემცველია. ეს განსხვავებული შეხედულებები მავანთა მიერ ერთგვარ შეურაცხყოფად იქნა აღქმული. ჩემი სამეცნიერო ნაშრომი ძირითადად მიემართებოდა რამდენიმე “რუსეთელ” მეცნიერს, რომლებიც “კავკასიურ ცივილიზაციაში”/“მთურ კავკასიურ ცივილიზაციაში” ქართულსაც ათავსებენ. მე მხოლოდ იმ ფაქტის აღნიშვნით დავკმაყოფილდი, რომ ერთ-ერთი ქართველი ავტორიც ამ მოსაზრებას იზიარებს. ეს ქართველი ავტორი კი შეეცადა ჩემი მეცნიერული შეხედულებების “განქიქებას”. არ ვაპირებდი “კრიტიკოსისათვის” პასუხის გაცემას, რომ არა ერთი ფაქტი: მას შეცდომაში შეჰყავს მკითხველი და ისეთ რამეს მომაწერს, რაც არასოდეს და არსად დამიწერია და ჩემთვის, როგორც მოქალაქისათვისაც, მიუღებელია. საქმე ის გახლავთ, რომ მე **თითქოს კავკასიის ხალხებს სტუმრებად და მასპინძლებად ვყოფ**. ციტატას ქვემოთ შემოგთავაზებთ, ამჯერად კი მოვლენებს გავუსწრებ და კითხვას დავსვამ და პასუხსაც აქვე გავცემ: ჩემს ნაშრომს - კავკასიაში ეთნიკური ვითარების ცვლილებების შესახებ - რატომ “განაქიქებს” კრიტიკოსი? მას ხომ უშუალოდ “კავკასიური ცივილიზაცია” ეხებოდა, რომლის “აღიარებულ” სპეციალისტადაც მიიჩნევს თავს? მიზანი ნათელია: მკითხველი უნდა დარწმუნდეს, რომ რ. თოფჩიშვილი “კავკასიური ცივილიზაციის” პრობლემას არ უნდა ეხებოდეს, რადგან კავკასიის ისტორიასა და ეთნოლოგიაში მას

ფაქტობრივი მასალის ცოდნა არ გააჩნია. ამის დამადასტურებელია ციტატაც: *“სამწუხაროდ, პროფესორ რ. თოფჩიშვილს ამ ბოლო დროს კავკასიის ხალხების ისტორიასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ თავის შრომებში (1. Этническая обстановка на историческом и современном Кавказе // კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XII, 2010 და 2. კავკასიური ცივილიზაციის” შესახებ // თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, II, 2011) ცალსახად ნეგატიური შეფასებები აქვს წარმოდგენილი მათი თანაცხოვრებისა და კულტურის შესახებ, უარყოფილია რეგიონის ხალხთა ერთიანი ცივილიზაციური კუთვნილება”³⁸. ახლა დაპირებული ციტატა: **“პირველ ნაშრომში კავკასიის ხალხები ძველებურად დაყოფილია “სტუმრებად და მასპინძლებად”, “კულტურულებად და ნაკლებ კულტურულებად” და ა. შ. შესავალში, სადაც საუბარია კავკასიის პოლიეთნიკურობაზე, აქ მცხოვრებ ხალხებს (ადილები, აფხაზები, ვაინახები, დაღესტნელები, ქართველები და ა. შ.) ავტორი კავკასიურ ენათა ჯგუფს მიაკუთვნებს. მაგრამ იქვე რატომღაც დასძენს, რომ “რაც მთავარია, მარტო ქართველები არიან ერთადერთი ხალხი კავკასიური წარმომავლობის” და რომელთაც “გააჩნიათ თავისი ორიგინალური დამწერლობა (თოფჩიშვილი, 2010, გვ. 59). მისი აზრით, ოსები, ბალყარელები და ყარაჩაელები შედარებით ახლახან დასახლებულან კავკასიაში. გაუგებარია ბალყარელთა და ყარაჩაელთა წარმომობის რომელ ვერსიას ემხრობა ავტორი, რადგან ერთ შემთხვევაში ის ამტკიცებს, სავიარებიდან (ჰუნების ერთ-ერთი ტომი) წარმოიქმნენო და მეორე შემთხვევაში მათ ყივჩაღურ წარმომავლობაზე ლაპარაკობს (თოფჩიშვილი, 2010, გვ. 59)”***

ბატონო რედაქტორებო! მინდა მოგახსენოთ, რომ “კრიტიკოსი” ამახინჯებს ჩემ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და თავისებური

³⁸ **კვიციანი ჯ.** კავკასიაში ეთნიკური ვითარებისა და ცივილიზაციური კუთვნილების შესახებ: პასუხი რ. თოფჩიშვილის ინტერპრეტაციებს // ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IV, თბ., 2011, გვ. 458 (დასახელებული ავტორის ამ და სხვა პუბლიკაციებიდან ყველა დანარჩენი მითითება იხილეთ ტექსტში).

ინტერპრეტაციებით თარგმნის რუსული ენიდან. პირველ რიგში, **შეურაცხყოფილი გახლავარ იმით, რომ, თურმე, კავკასიის ხალხებს სტუმრებად და მასპინძლებად ვყოფ. ასეთი რამ არსად მიწერია.** ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟზე ხანდახან გაიგონებდით საქართველოში მცხოვრები ზოგიერთი ხალხის სტუმრებად გამოცხადების შესახებ. ვინც ეთნოსის თეორია იცის (მე კი ეთნოსის თეორიის მცოდნედ მივიჩნევ თავს) და საერთაშორისო სამართალი, კარგად მოეხსენება, რომ ქვეყანასა თუ გეოგრაფიულ რეგიონში მცხოვრები ხალხების სტუმრებად და მასპინძლებად დაყოფა, რა თქმა უნდა, უვიცობა, არაპუნდირება და, უფრო მეტიც, მკრეხელობაა. ეთნიკური ერთობა, რომელიც გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულზე, ტიტულოვანი ეთნოსის გვერდით ცხოვრობს, სამი თაობის შემდეგ უკვე მკვიდრად მიიჩნევა. საერთოდ, ხალხების “სტუმრებად” და “მასპინძლებად” დაყოფა მეცნიერების საქმე არაა. სტუმარი იმას ნიშნავს, რომ დროებით ცხოვრობს და ოდესმე - ახლო თუ შორეულ მომავალში - უნდა აიკრას გულანაბადი და ისტორიულ სამშობლოში, ან სადაც უნდა იქ, გადასახლდეს. ასეთი აზროვნება ხომ ჩვეულებრივ ფაშიზმად კვალიფიცირდება. **“კრიტიკოსის” ნართაული დასკვნა ასეთია: თსუ პროფესორი როლანდ თოფჩიშვილი ფაშისტია.** არ მინდოდა ჩემს თავზე მესაუბრა, მაგრამ იძულებული ვარ ვთქვა, რომ ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟზე ე. წ. სტუმრებს თუ ვინმე იცავდა (პარლამენტარებთან პირადი შეხვედრებითა და საუბრებით და პრეზიდენტებთან პირადი მიმოწერით, საგაზეთო პუბლიკაციებით), ერთ-ერთი მე გახლდით. *ზ. გამსახურდიასა და ე. შევარდნაძის სახელებზე გაგზავნილი წერილები შენახული მაქვს და მომავალში, თუ საჭირო გახდა, არც მათ გამოქვეყნებას მოვერიდები.*

“კრიტიკოსის” მიერ მითითებულ 59-ე გვერდზე ჩამოვთვლი მაქვს ყველა კავკასიელი ხალხი, როგორც საკუთრივ კავკასიური წარმომავლობისა, ისე სხვადასხვა დროს მიგრირებული თურქულენოვანი და ირანულენოვანი ხალხები. ამ ხალხების შესახებ არსად მიწერია, რომ ისინი ახლახან დასახლდნენ კავკასიაში. ვრცელი ციტატა მომყავს ნაშრომიდან, რომლის დამახინჯებულ ციტირებასა და ასევე დამახინჯებულ თარგმანს სთავაზობს

მკითხველს “კრიტიკოსი”: «Из ираноязычных народов Кавказа следует назвать осетин, предки которых – аланы – поселились на Кавказе в исторически обозримом прошлом. Что касается ираноязычных народов тат и тальшей, они являются одними из древнейших коренных жителей Кавказа. Тюркоязычные народы поселились на Северном и Южном Кавказе в разные периоды истории. **Азербайджанцы если являются Коренными жителями Южного Кавказа, то кумыки, ногайцы, балкарцы и карачаи – жителями Северного Кавказа.** Индоевропейцами по происхождению являются армяне. С испокон веков на Кавказе также проживают как горские и грузинские еврей. **Родной всех вышеперечисленных этносов является Кавказ»³⁹.** სად მიწერია, რომ არაკავკასიური წარმომავლობის ხალხები ახლახან დასახლდნენ კავკასიაში? სად მიწერია, რომ არაკავკასიური წარმოშობის ირანულენოვანი და თურქულენოვანი კავკასიელი ხალხები კავკასიის მკვიდრნი არ არიან? შავად გამოყოფილ სტრიქონებს თუ კიდევ ერთხელ გაადევნებთ თვალს, ნახავთ, რომ ამ ეთნოსების შესახებ ხაზგასმით ვწერ: მათი სამშობლო კავკასიაა და რომ ისინი სხვებთან ერთად კავკასიის ადგილობრივი მკვიდრნი არიან. ყოველივე ამის შემდეგ, რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ? ჩემი პასუხი ასეთი გახლავთ: აზრი და დამოკიდებულება ან მიზანმიმართულად დამახინჯებითაა გადმოცემული, ან კიდევ წაკითხულის გაგების პრობლემასთან გვაქვს საქმე.

რაც შეეხება კულტურას, ზემოთ მოყვანილ ციტატაში “კრიტიკოსი” წერს, რომ პირველ ნაშრომში (რომელიც კავკასიის ეთნიკური ვითარების დინამიკას ეხება), გარდა იმისა, რომ კავკასიის ხალხები “სტუმრებად და მასპინძლებად” დავყავი, მათ “კულტურულებად და ნაკლებ კულტურულებადაც” ვყოფ თურმე. ნაშრომი ხელახლა სამჯერ წავიკითხე, მაგრამ მსგავს რამეს ვერ მივაკვლიე. თუმცა რაა იმაში განსაცვიფრებელი, რომ ხალხები კულტურის დონით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ეთნოლოგიის კვლევის ერთ-ერთი ძირითადი სფერო კულტურის, უფრო სწორედ, ეთნიკური კულტურაა. იგია ხალხების ერთმანეთისგან ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი. პირველი, რასაც სტუდენტებს ვეუბნებით

³⁹ **Топчишвили Р.** Этническая обстановка на историческом и современном Кавказе // *კავკასიის ეთნოლოგიური კრებული*, XII, 2010: 59.

ისაა, რომ უკულტურო ხალხი არ არსებობს. ამას გვასწავლიდა აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია. კულტურის საკითხს ვრცელი ადგილი ეთმობა ჩვენს სახელმძღვანელოში “თეორიული ეთნოლოგია” (თანაავტორები ქ. ხუციშვილი და რ. გუჯეჯიანი). ზოგიერთმა ხალხმა კულტურის მაღალ საფეხურებს მიაღწია, ზოგიერთი კი კულტურის პრიმიტიულ დონეზე დარჩა. განა კულტურის თვალსაზრისით არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან ევროპელები და ტროპიკულ აფრიკაში მცხოვრებნი? კულტურის დონის მიხედვით განსხვავება იყო კავკასიის ხალხებს შორისაც. კავკასიის ხალხებს არ ჰქონიათ საერთო და ერთი დონის კულტურა. ქართველები და სომეხები ამ თვალსაზრისით თუ ჩრდილოეთ კავკასიელებზე დაწინაურებულნი იყვნენ, რა არის ამაში გასა-კვირი? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო მონუმენტური საეკლესიო არქიტექტურა არ განასხვავებდა, ერთი მხრივ, ქართველებსა და სომეხებს, და, მეორე მხრივ, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს ერთმანეთისაგან?! ჰქონდა ვინმეს ჩრდილოეთ კავკასიაში კლდეში ნაკვეთი ისეთი კომპლექსები, როგორებიცაა ვარძია, უფლისციხე და დავით-გარეჯი?! ახლა დამწერლობასა და მრავალსაუკუნოვან მწერლობას მივმართოთ, რაც ასევე სომეხებისა და ქართველებისთვის იყო დამახასიათებელი და ანალოგიური რამ ქედის ჩრდილოეთით მცხოვრებლებს არ ჰქონიათ. ადრე შუა საუკუნეებიდან სამხრეთ კავკასიელები სამართლის ძეგლებს ქმნიდნენ. ეს ასე იყო საქართველოს ისტორიის ხანგრძლივ პერიოდში. ბუნებრივია, ჩრდილოეთ კავკასიელებისათვის ანალოგიური რამ უცნობი იყო. ყველანაირი ურთიერთობა და გარიგება ადამიანებს შორის აქ სიტყვიერად, ადათით ხდებოდა, არავითარი წერილობითი აქტი მათთან არ დგებოდა. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში დოკუმენტის ძალა ხშირად ლექსსა და სიმღერას (ზეპირ გადმოცემას) ჰქონდა. ანალოგიური სიტუაცია საქართველოს მაღალ-მთიანეთის მხოლოდ ერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში - ხევსურეთში - არსებობდა. სვანეთში შექმნილი ჩვენამდე მოღწეული პირველი სამართლებრივი დოკუმენტები კი XIII საუკუნით თარიღდება.

ქართული ერდოიან-გვირგვინიანი დარბაზული
საცხოვრებელი სახლი (8-, 12-კუთხოვანი საფეხუროვანი

გვირგვინით, ორიგინალური ბომ-ბალავარით, მდიდრულად მოჩუქურთმებული დედაბოძითა და ბალიშით), სომხური გლახატუნი და აზერბაიჯანული ყარდამი არ განსხვავდებოდა ადიღელთა მოწული საცხოვრებლისაგან? აქ შეუძლებელია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გავრცელებული მიწისქვეშა სამალავი-ნაგებობაც – დარანი დავივიწყოთ, რომელშიც მთელი სოფელი აფარებდა თავს. მოწულ, ფუნდამენტის გარეშე აგებულ საცხოვრებელს ადიღელები იმიტომ შლიდნენ, რომ მისი ძირითადი ნაწილები სხვაგან, ახალ ადგილზე გადაჰქონდათ, რადგან ისინი ნახევრად მომთაბარენი/ნახევრად ბინადარნი იყვნენ. სხვათა შორის, სამეცნიერო ლიტერატურაში ადიღელთა საცხოვრებელის ტიპი და დასახლების ფორმა მათი მომთაბარეებთან ისტორიული კონტაქტებითა და სესხებითაა ახსნილი⁴⁰. სტეპების მომთაბარე სამყაროსთან ადიღელების ისტორიულ-კულტურული კონტაქტების შესახებ საყოველთაოდაა ცნობილი, თავადაც ნახევრადმომთაბარენი იყვნენ. დასახლების ადგილი ადიღელებს მუდმივი რომ არ ჰქონდათ, ეს ძველი ტრადიციის გახანგრძლივების შედეგაცაა და ნომადებთან ურთიერთობისაც – მომთაბარეთა თარეშები მათ მუდმივად ერთ ადგილზე ცხოვრების საშუალებას არ აძლევდა და უცვლელად გადაადგილდებოდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე. ეთნოსთაშორისი კონტაქტების ეს ფორმა კი ადიღელთა ქცევის განსხვავებულ სტერეოტიპს ქმნიდა. ეს სტერეოტიპი კი მეცნიერებაში დახასიათებულია როგორც “დროებით ბინადარი ანუ ცხოვრების პრიმიტიულ-მომთაბარული ხასიათი” და “მხედარი-ცხენის” ეთნოკულტურული კომპლექსი⁴¹. რადგანაც ზემოთ ადიღელთა დასახლების ტიპზე ვისაუბრეთ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ XIX საუკუნის მეორე მეოთხედის ავტორის ფ. დიუბუა დე მონპერეს ცნობით, შავიზღვისპირეთის ადიღელებს სოფლის აღმნიშვნელი განსაკუთრებული ტერმინი არ გააჩნდათ;

⁴⁰ *Дмитриев В. А.* Эволюция традиции формирования пространства жилища у западных адыгов (черноморских шапсугов) и источники по ее изучению. – Традиции народов Кавказа в меняющемся мире: преемственность и разрывы в социокультурных практиках. – СПб, 2010. С. 210.

⁴¹ *Панеш Э. Х.* Этническая психология и межнациональные отношения. Взаимодействие и особенности эволюции (На примере Западного Кавказа). – СПб, 1996. С. 92, 110.

ისინი სოფელსაც *სახლს* უწოდებდნენ⁴². ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელებისათვის დამახასიათებელი დასახლების ტიპი (მოძრაობითობა), ბუნებრივია, მათი მეურნეობის ხასიათსაც განაპირობებდა. ასე, მაგალითად, *ევლია ჩელები* აღნიშნავდა რა ადიღური მოდგმის ტომების ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე ხშირ გადასვლას, ასკვნიდა: “ამიტომ ჩერქეზთა ამ ქვეყანაში არაა არც ბაღები, არც ვენახები, არც მუდმივი დასახლებები”. დასახლების ეს ტიპი, მეურნეობის აღნიშნული ფორმა კი სამხრეთ კავკასიელებისაგან (და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებისაგანაც) განსხვავებულ ქცევის ეთნიკურ სტერეოტიპს ქმნიდა. დავბუჭოთ ამაზე თვალი და ვიძახოთ, რომ სამხრეთ კავკასიელები და ჩრდილოეთ კავკასიელები კულტურით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან? ქართველები და სომხები ჩრდილოეთ კავკასიელებისაგან განს-ხვავებით, უფრო მაღალი კულტურის შემქმნელნი იყვნენ, რაც იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ პირველნი ჩრდილოეთ კავკასიელებისგან გენეტიკურად განსხვავებულნი და მათზე მაღლა მდგომნი, ან უფრო ნიჭიერნი იყვნენ. არა! მიზეზი სხვა რამ გახლავთ. ქართველებისა და სომხების ეთნიკური ნიშა ჩრდილოეთ კავკასიის ლანდშაფტი რომ ყოფილიყო და, პირიქით, ჩრდილოეთ კავკასიელების ეთნიკური ნიშა – სამხრეთ კავკასია, როლები გაიცვლებოდა. არ უნდა დავივიწყოთ მეზობლური გარემოცვაც. ჩრდილოეთ კავკასიელთა საკონტაქტო ეთნოსები საუკუნეების განმავლობაში ნომადები იყვნენ, სამხრეთ კავკასიელები კი მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზაციების გავლენის სფეროში იყვნენ მოქცეულნი. მომთაბარულ სამყაროსთან ჩრდილოეთ კავკასიელთა კონტაქტები და ურთი-ერთობა მუდმივი იყო, ხოლო სხვადასხვა ცივილიზაციებთან კი – ცვლადი. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს “კულტურული მასწავლებლის” ცნება. ევროპისათვის ასეთი “კულტურული მასწავლებლის” როლს ყოველთვის ხმელთაშუაზღვისპირეთი ასრულებდა⁴³. საქართველოსათვის

⁴² *Джуба де монпере Ф.* Путешествие вокруг Кавказа, у черкесов и абхазов, в Колхиде, Грузии, Армении и Крыму. – Адыги, балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв. – Нальчик, 1974. С. 438.

⁴³ *Коломыйцев И.* Тайны великой Скифии. – М. 2005. С. 81.

ასეთი “კულტურული მასწავლებელი” მახლობელი აღმოსავლეთი და ბერძნულ-რომაული, შემდეგ ბიზანტიური სამყარო იყო. ჩრდილოეთ კავკასიელებამდე ეს “კულტურული მასწავლებელი”, ფაქტობრივად, ვერ აღწევდა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი რელიგიაც იყო. ადრე შუა საუკუნეებიდან ქრისტიანობა და ისლამი ცდილობდა კავკასიაში ფეხის მოკიდებას: პირველი მათგანი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ბიზანტიიდან და საქართველოდან ვრცელდებოდა, მეორე ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში – არაბული სამყაროდან. ისლამი დადესტნის ზოგიერთ ხალხში მაშინვე მთელი სიღრმით გავრცელდა, ქრისტიანობა კი – მხოლოდ ზედაპირულად. მართალია ჩრდილოეთ კავკასიის ეთნოსების უმეტესობამ მონოთეისტური რელიგია – ისლამი გვიან მიიღო, მაგრამ ის აღმოჩნდა საბოლოოდ გამარჯვებული. იქამდე კი ისინი ძირითადად წარმართული რწმენა-წარმოდგენების მიმდევარნი იყვნენ. სამხრეთ კავკასიაში კი IV საუკუნის დასაწყისიდან გავრცელდა ქრისტიანობა. რელიგია კი განსხვავებულ კულტურებს ქმნიდა. სხვადასხვა კულტურული სამყაროს მახასიათებლებია ქრისტიანული ნათლობა და მუსლიმური წინდაცვეთა, რაც, ბუნებრივია, განსხვავებულ კულტურულ და ეთნიკურ სტერეოტიპებს ქმნიდა. უფრო მეტიც: დადესტნის ერთ-ერთ ხალხში – ანდილელებში ქალის წინდაცვეთის ტრადიციაც კი იყო.

“კრიტიკოსი” მკითხველს შთაბეჭდილებას უქმნის, რომ როლანდ თოფჩიშვილმა არ იცის კავკასიის ხალხთა ეთნიკური ისტორია. ზემოთ მოყვანილი ციტატის ნაწილი კვლავ უნდა გავიმეორო: *“გაუგებარია ბალყა-რელთა და ყარაჩაელთა წარმოშობის რომელ ვერსიას ემხრობა ავტორი, რადგან ერთ შემთხვევაში ის ამტკიცებს, სავიარებიდან (ჰუნების ერთ-ერთი ტომი) წარმოიქმნენო და მეორე შემთხვევაში მათ ყივჩაღურ წარმომავლობაზე ლაპარაკობს (თოფჩიშვილი, 2010, გვ. 63)”. 63-ე გვერდზე შემდეგი რამ მიწერია: «В результате осетины-«степняки» окончательно переселились в горы Центрального Кавказа (საუბარია მონღოლთა შემოსევების შემდგომ პერიოდზე), став горцами, а часть кипчаков укрылась в горах Западного Кавказа. Вследствие слияния кипчаков с местным населением*

сформировались современные народы – балкары и карачаи»⁴⁴. რა არის აქ გაუგებარი? არსად მიწერია, რომ ბალყარელები და ყარაჩაელები ჰუნებისაგან (სავიარებისაგან) წარმოიქმნენ. წაკითხულს გაგება უნდა. მე ვწერდი, რომ VI საუკუნეში სავიარები *პროკოპი კესარიელის* ცნობით ბინადრობდნენ კავკასიის მთების ახლოს და აღვნიშნავდი: «Однако, как выясняется, они жили и в горах, в част-ности, на территории нынешней Балкарии и Западной Осетии (Дигории), что подтверждается полевыми этнографическими материалами». ნუთუ აზრი გარკვევით არაა ჩამოყალიბებული? ესაა გაუგებრობა? არსად არ მიმტკიცე-ბია, რომ ბალყარელები და ყარაჩაელები სავირებისაგან წარმოიქმნენ-მეთქი. გარკვეული პერიოდის განმავლობაში სავირების კავკასიის მთიანეთის ერთ-ერთ მონაკვეთში ცხოვრება იმას ნიშნავს, რომ მათ ბალყარელ-ყარაჩაელთა ეთნოგენეზში მიიღეს მონაწილეობა? საერთოდ, ზედმეტი არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ ჰუნ-სავირების კავკასიის მთებში (დიგორში და ბასიანში – დღ. ბალყარეთის ტერიტორიაზე) შესვლა 558-559 წლებში – ავარების შემოსევის პერიოდში – მოხდა, როდესაც ეს უკანასკნელნი მთელი ჩრდილოეთ კავკასიის ბატონ-პატრონად იქცნენ⁴⁵. ამ დროს გაუმეზობლდნენ ალან-ოსები საქართველოს აფხაზეთისა და სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებსაც (დიგორელი ოსები იმდროინდელი ალანების შთამომავანი არიან, ხოლო ალაგირელი, ქურთაულელი და თაგაურელი ოსები მთებში მონღოლთა შემოსევების შემდეგ შემოვიდნენ). თავს ვერ დავდებ, რომ კავკასიის შესახებ სრულყოფილი ცოდნა მაქვს, მაგრამ კავკასიის ხალხების ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის საკითხები შედარებით სრულყოფილად ვიცი. დაინტერესებულ მკითხველს კი ვეტყვი, რომ ჩემი შეხედულებები ამ საკითხზე “კავკასიის ეთნოლოგიის” საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოსა და სხვა ნაშრომებში მაქვს ჩამოყალიბებული⁴⁶. ამასთანავე, ამ და სხვა

⁴⁴ **Топчишвили Р.** Этническая обстановка на историческом и современном Кавказе // *კავკასიის ეთნოლოგიური კრებული*, XII, 2010:62.

⁴⁵ **Коломыйцев И.** Тайны великой Скифии. – М. 2005. С. 224.

⁴⁶ **Топчишвили Р.** Кавказоведческие исследования. – Тб., 2011.

საკითხების შესახებ მსჯელობისას ვეყრდნობი არსებულ მდიდარ წყაროებსა და ლიტერატურას და არა ყურმოკრულ ინფორმაციებს.

“კრიტიკოსი” ბრალს მდებს, რომ თითქოს ვწერ: “ქართველები არიან ერთადერთი ხალხი კავკასიური წარმომავლობის”. შემდეგ კი აგრძელებს: “*აღსანიშნავია, რომ დღეისათვის არამარტო (უნდა იყოს: არა მარტო – რ. თ.) კავკასიური (უნდა იყოს კავკასიელი – რ. თ.) ხალხების, არამედ ბევრ სხვა ხალხთა წარმოშობა დაუდგენელია და ამიტომ კატეგორიული მინიშნების გაკეთება – ვინ არის “კავკასიური წარმოშობის ერთადერთი ხალხი”, მართებულად არ მიმაჩნია. ადიღების, ვაინახების, სომხების, ოსების, ბალყარელების და სხვა ხალხების წარმომავლობა, ავტონთონურ-მიგრაციული თეორიის თანახმად (მ. აბდუშელიშვილი, გ. მელიქიშვილი, გ. ჩიტაია და სხვ), ეჭვს არ უნდა იწვევდეს”* (კვიციანი 2011: 459). იძულებული ვარ აღვნიშნო, რომ “კრიტიკოსი” დემაგოგიას მიმართავს და ვერ ფლობს ფაქტობრივ მასალას. სად დავწერე, რომ ქართველები არიან ერთადერთი კავ-კასიური წარმომავლობისანი? არსად! **მხოლოდ იმას აღვნიშნავდი, რომ ქართველები არიან კავკასიური წარმოშობის ხალხთაგან ერთადერთი, რომელთაც ორიგინალური დამწერლობა აქვთ შექმნილი.** ერთ რამეზე მგონი ყველანი ვთანხმდებით, კერძოდ, კავკასიური წარმოშობის ის ეთნოსებია, რომლებიც კავკასიურ/იბერიულ-კავკასიურ ენებზე მეტყველებენ. ცილისწამებაა, რომ ადიღელებსა და ვაინახებს კავკასიური წარმოშობის ხალხებად არ მივიჩნევ (ასეთ ზღაპრებს თხზავდა ოსი *მ. ბლოივი*, რომელიც ოსებს ძირძველ კავკასიელებად და ვაინახებს კი მოსულებად ასახელებდა). მაგრამ კავკასიელობას ხომ მხოლოდ ენა არ განსაზღვრავს. ინდოევროპული, თურქული მოდგმის ხალხები არ არიან კავკასიური წარმოშობისა, მაგრამ კავკასიელები არიან იმიტომ, რომ აქ მკვიდრობენ. კავკასიელობას ვერავინ წაართმევს “კრიტიკოსის” მიერ დასახელებულ ვერც სომხებს, ვერც ოსებსა და ვერც ბალყარელებს. გაურკვეველია რა არის ეს ე. წ. “ავტონთონურ-მიგრაციული თეორია”? აქ საჭირო და აუცილებელი იყო *გ. მელიქიშვილის, მ. აბდუშელიშვილისა და გ. ჩიტაიას* კონკრეტული ნაშრომების მითითება. საერთოდ, კავკასიელთა ეთნოგენეზის შესახებ, თანაც ე. წ. “ავტონთონურ-მიგრაციული თეორიით”

გაჯერებული, არც გ. მელიქიშვილს და არც გ. ჩიტაიას არ გააჩნიათ ნაშრომები. პირველი მათგანი მხოლოდ ქართველთა ეთნოგენეზის საკითხებს იკვლევდა. ქაშქებისა და ქაშაგების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით, მათი ძვ. წ.-ის II ათასწლეულში “კავკასიის იქითა მხრიდან” მცირე აზიის ჩრდილოეთ ზოლში ხალხთა მიგრაციის შესახებ ის მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამს. სხვა ნაშრომში გ. მელიქიშვილი ასევე ვარაუდობს ძვ. წ.-ის III ათასწლეულიდან ქართველური და ადიღეური ტომების გავრცელებას “ცენტრალურ ანატოლიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან მოყოლებული მთელი დასავლეთ ამიერკავკასიის მიწა-წყალზე და კიდევ უფრო ჩრდილოეთით, კავკასიონის ჩრდილო მხარეზე”⁴⁷. გ. ჩიტაიას კი მხოლოდ უცხოელ ავტორთა და ს. ჯანაშიას შეხედულებები აქვს მიმოხილული ქართველთა წარმომავლობის შესახებ⁴⁸.

შემდეგი ციტატა: “დღეს არავინ დაობს (უნდა იყოს: დავობს – რ. თ.) იმაზე, რომ ეთნოსის კუთვნილებასთან დაკავშირებით ენას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ცნობილია, რომ ოსების, სომხების, ბალყარელების, ყუმუხების, აზერბაიჯანელების და სხვა ხალხების ფიზიკური წინაპრების უმეტესი ნაწილი ძირ-ძველი (უნდა იყოს: ძირძველი – რ. თ.) კავკასიელებია, რომლებმაც კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში, სხვადასხვა მიზეზების გამო, საკომუნიკაციო ენად ინდოევროპული ან თურქული მიიღეს” (ჯვიციანი 2011: 459). ძვირფასო მკითხველო! “კრიტიკოსმა” ერთი ხელის მოსმით გადაწყვიტა კავკასიის თურქულენოვანი და ინდოევროპული მოდემის ხალხების ეთნოგენეზის პრობლემა. ის აცხადებს, რომ ამ საკითხებზე დღეს აღარავინ დავობსო. კავკასიელებმა თურმე საკომუნიკაციო ენებად მიიღეს თურქული, ოსური, სომხური ენები. ეს მხოლოდ ერთადერთი მოსაზრებაა, გამოთქმული ზოგიერთი ფიზიკური ანთროპოლოგის მიერ. მათთან კი კამათობენ ისტორიკოსები, ეთნოლოგები, ენათმეცნიერები. მიზანი ერთია: “კრიტიკოსის” მიერ ჩამოთვლილი კავკასიელი

⁴⁷ მელიქიშვილი გ. მიეზანი საქართველოს, კავკასიის და ახლო აღმოსავლეთის ისტორიიდან. – თბ., 1999, გვ. 261-262.

⁴⁸ ჩიტაია გ. შრომები, ტომი II. – თბ., 2000.

ხალხების “ვიზიკური წინაპრების უმეტესი ნაწილი ძირ-ძველი კავკასიელებია”. არაა ეს ასე! გასაოცარია, კავკასიის მთებში შესულმა ერთმა მუჟა ყივჩაღებმა როგორ მოახვიეს თავიანთი ენა ადგილობრივ კავკასიელებს, რომლებიც ამის შემდეგ ბალყარელებად და ყარაჩაელებად იქცნენ, თუ ადგილობრივნი მოსულებთან შედარებით უმცირესობას არ წარმოადგენდნენ? თუმცა “კრიტიკოსი” ხომ ამ მოვლენას არ გულისხმობს. მისი აზრით, კავკასიაში მცხოვრებ ხალხებს კომუნიკაციისათვის ესაჭიროებოდათ თურქული და ოსური ენები და, ამის გამო, უარი თქვეს მშობლიურ ენებზე და სხვათა ენებზე საუბარი დაიწყეს. აქ ჩანაფიქრი სულ სხვაა – ოსები მოსულები არ არიან, ძირძველი კავკასიელები არიან და ისინი, თურმე, უძველესი დროიდან მკვიდრობდნენ კავკასიაში. ამის შესახებ ცოტა ქვემოთ წერს: “არ მიგვაჩნია მართებულად ოსების წარმომავლობაზე – როგორც კავკასიაში სულ ახლახან მოსულ ხალხზე – ხაზგასმა”. ამდენად, ქართველი “კრიტიკოსი” მითოლოგიების შემქმნელი ოსი მეცნიერების დამცველად გვევლინება. უფრო მეტიც, ის იმეორებს ბოლო დროის ოსი მეცნიერი-ფალსიფიკატორების “ნააზრევს”: “ცნობილია, რომ ოსური ეთნოსის ჩამოყალიბება დაკავშირებულია ჩრდილოეთ კავკასიის აზორიგენულ მოსახლეობასთან (ყოზანის კულტურის შემქმნელებთან, რომელთა ეთნიკური კუთვნილება ჯერ არ არის გარკვეული) და ირანულენოვან ხალხებთან – სკვითებთან, სარმატებთან, ალანებთან”. საიდან დავიწყო, არ ვიცი. ეს უკვე მეტისმეტია! “კრიტიკოსი” პირდაპირ იმეორებს ოსი მეზღაპრეების ტეხოვის, გაგლოითის, ბლიევის, მათიათისა და კალოევის “ნააზრევს”⁴⁹. ცუდია, რომ აღნიშნულ ხუთეულს ქართველი ავტორიც

⁴⁹რედაქტორისაგან – ამ საკითხებზე XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოდან ქართველ ისტორიკოსებს (მაგალითად, პროფ. ვალერიან მაჭარაძე) ცხარე დავა ჰქონდა დასახელე-ბულ ავტორებთან და არაერთ ფორუმზე დაამტკიცეს საწინააღმდეგო. მაგრამ იმპერიულ ნაციონალურ პოლიტიკას მორგებულმა ახალმა-ძველმა ეთნოსების წარმომადგენელ-იდეოლოგებმა საკუთარი თავის მიება ამ კონტექსტში განაგრძეს და დღეს “წარმატებულ” ისტორიკოსებადაც ითვლებიან. კიდევ იმიტომაც, რომ ჩვენგან ბევრი “ვაიმცოდნე” ეპიგონე გამოუჩნდათ, რომლებიც თავიანთ უვიცობას უკვე “მიღებული” თეორიების გადამღერებით ცდილობენ, არც თავისი იციან და ვერც სხვისი გაუგიათ.

შეუერთდა. რ. თოფჩიშვილს არსად დაუწერია, რომ ოსები კავკასიაში “სულ ახლახან მოსული არიან”. კავკასიის ხალხთა ეთნიკური ისტორიიდან ყველაზე კარგად ოსთა ეთნიკური ისტორიაა შესწავლილი. არც ერთი სერიოზული მეცნიერი არ ფიქრობს იმას, რომ ოსები წარმომავლობით კავკასიელები არიან. თუმცა არც არავინ წერს, რომ დღეს ისინი კავკასიელები არ არიან. ალან-ოსების შესახებ ზღვა წყაროები არსებობს⁵⁰. და დადგენილია, რომ მათი, ისევე როგორც ყველა ირანულენოვანი ეთნოსის, ფორმირების კერა შუა აზია იყო, რომ მათი წინაპრები მომთაბარეები იყვნენ და რომ ახ. წ.-ის I საუკუნიდან სამომთაბარეო არეალი ვოლგის კასპიის ზღვასთან შეერთებისა და აზოვის ზღვას შორის მონაკვეთი იყო, რომ ალან-ოსები კავკასიელებად (არა მთის კავკასიელებად, არამედ კავკასიის სტეპების მკვიდრებად) ჰუნების შემოსევის შემდეგ, IV საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს იქცნენ. ისიც დადასტურებულია, რომ კავკასიის მთიელებად ალან-ოსები მონღოლთა შემოსევების შემდეგ იქცნენ. მაშ, როგორღა არიან ისინი ყობანური კულტურის, რომელიც ძველი წ.-ის I ათასწლეულის I ნახევრით თარიღდება, მემკვიდრეები? “კრიტიკოსის” კონცეფციით, ამ დროს მიუღიათ ოსური ენა საკომუნიკაციო ენად “ყობანელებს” და ასე ქცეულან ისინი ოსებად, ან ამ დროს შემოვიდნენ ალან-ოსები კავკასიის მთებში და მოახდინეს “ყობანელების” ასიმილაცია. ზემოთ დასახელებული ოსი ავტორები იმდენად არიან მოწადინებული თავიანთი ძირძველი კავკასიელობა სხვებს დააჯერონ, რომ თავს მიიჩნევენ როგორც სკვითების, ისე სარმატებისა და ალანების შთამომავლებად. ოსი ავტორები იმასაც წერენ, რომ “ყობანელები” უკვე ეთნიკური ოსები იყვნენ. ყველაფერ ამას კი ქართველი ავტორი იზიარებს. გასაოცარია, როგორ მიიჩნევიან ისტორიის სრულიად სხვადასხვა პერიოდებში რუსეთის სამხრეთ სტეპებში მომთაბარე სხვადასხვა ირანული ტომები ოსების წინაპრებად? მაშინ “კრიტიკოსმა” ელემენტარულად ის მაინც უნდა დაადასტუროს, რომ ჯერ სკვითები იქცნენ სარმატებად, შემდეგ – სარმატები ალანებად. ეს სიმართლეს არ შეესაბამება. როგორ შეიძლება სხვადასხვა

⁵⁰ *Алемань А.* Аланы в древних и средневековых письменных источниках. _ М., 2003.

ისტორიულ პერიოდში მცხოვრები სკვითები, სარმატები და ალანები, ყველანი ერთად, ოსების წინაპრები ყოფილიყვნენ? ისინი მხოლოდ ალანების უშუალო მემკვიდრეები არიან. არსებული მრავალრიცხოვანი წყაროების თანახმად, ალანები არალისპირეთში ცხოვრობდნენ და ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე მათ ევრაზიის სამომთაბარეო სივრცეში გადაინაცვლეს. ალანთა სამომთაბარეო არეალი რუკებზე ასახა ცნობილმა რუსმა მეცნიერმა ლ. გუმილიოვმა, ჩვენ კი ეს რუკები გადმოვბეჭდეთ წიგნში “ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი” (ოსუ გამომცემლობა, 2008: 66-70).

“კრიტიკოსი” ირანულენოვან თათებსა და თალიშებთან დაკავშირებითაც მაკრიტიკებს: *“სადაოა ავტორის მიერ თათებისა და თალიშების ნამდვილ, ძირ-ძველ კავკასიელებად გამოყოფა. მაგალითად, მეცნიერთა ერთი ნაწილი თათებს და მთიელ ებრაელებს ერთ ხალხად მიიჩნევს, მეორე კი სხვადასხვა ხალხებად”* (კვიციანი 2011: 460). მოყვანილი ციტატის ორ წინადადებაში ლოგიკური კავშირიც კი გაწყვეტილია. აქ ის თავის პრინციპს არღვევს და ამ ორი ირანულენოვანი ხალხის ძირძველ კავკასიელებად მიიჩნევაში ეჭვი შეაქვს. “განსაქიქებელ” სტატიაში მიწერია: «Из ираноязычных народов Кавказа следует назвать осетин, предки которых – аланы – поселились на Кавказе в исторически обозримом прошлом. Что касается ираноязычных народов тат и талышей, они являются одним из древнейших коренных жителей Кавказа»⁵¹. ამრიგად, “კრიტიკოსი” ოსებს მიიჩნევს უძველეს კავკასიურ ეთნოსად, ყობანური კულტურის შთამომავლებად, თათებისა და თალიშების მიმართ კი ამ თვალსაზრისით ნეგატიური დამოკიდებულება აქვს. თათებისა და თალიშების შესახებ დაწვრილებით “კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიაში” მიწერია. ამჯერად აქ ყველაფერს ვერ გავიმეორებთ, მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავ, რომ თათების კავკასიაში მიგრაცია აქ სასანიდების ექსპანსიის დროს მოხდა. ირანის ხელისუფლებამ ჩრდილოეთი საზღვრების დაცვის მიზნით დარუბანდის

⁵¹ *Топчишвили Р.* Этническая обстановка на историческом и современном Кавказе //კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XII, 2010, გვ. 59.

მიდამოებში მეომარი კოლონისტები დაასახლა. თათები სწორედ ამ კოლონისტების შთამომავალნი არიან. ისტორიული წყაროებით, თათები კავკასიაში პირველად VII-X საუკუნეებში არიან მოხსენიებულნი. თალიშები კი XI-XII საუკუნეებში შემოჭრილ თურქულ ტომებს ლენქორანში დახვდნენ. თალიშები თავიანთი ეთნიკური ტერიტორიის სრული ბატონ-პატრონები იყვნენ. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ თალიშების განსახლების არეალი ჯერ ძველი სახელმწიფოს – მიდიის შემადგენლობაში, შემდეგ კი სპარსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა. რა ლოგიკით უნდა მივიჩნიოთ ოსები და ბალყარელ-ყარაჩაელები ადგილობრივ, ძირძველ კავკასიელებად და თათები და თალიშები – არა, გაურკვეველია. თათებისა და მთის ებრაელების ერთიან ხალხად გამოცხადება კი მხოლოდ საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ინტერესებში შედიოდა. ხელისუფლების დავალებით, საბჭოთა მეცნიერები ამტკიცებდნენ იმ უაზრობას, რომ მთის ებრაელები იგივე თათები არიან. იმის გამო, რომ მთის ებრაელები თათურად მეტყველებდნენ, ხალხს თავის ეთნიკურობას ართმევდნენ. არა მხოლოდ თათებისა და თალიშების მიმართ აქვს ტენდენციური დამოკიდებულება “კრიტიკოსს”, არამედ დაღესტნის მთელი რიგი ხალხების მიმართაც. “კავკასიის ხალხთა კულტურული (სოციალური) ანთროპოლოგიის” კურსში მხოლოდ ავარელები (ქართულ ენაზე მათი აღმნიშვნელი ეთნონიმია ხუნძები – რ. თ.), დარგინელები (ქართულად – დარგუელები – რ. თ.), ლეზგები, ყუმუხები ჰყავს შეყვანილი, სამაგიეროდ მნიშვნელოვანი ყურადღება რუსებზე აქვს გადატანილი, იმ რუსებზე, რომლებმაც კავკასიის დაპყრობაში სისხლის გუბეები დააყენეს და ცეცხლს მისცეს სოფლების დიდი ნაწილი.

შემდეგ ციტატაში “კრიტიკოსი” უკვე პატრიოტის პოზიციიდან მელაპარაკება, შეგონებებს მიმართავს და ფალსიფიკატორი ოსი ავტორების პოპულარიზებას ეწევა, იმ ავტორებისას, რომლებიც საქართველოს ისტორიას ამახინჯებენ: *“არ შეესაბამება სინამდვილეს ავტორის მტკიცება იმის შესახებაც (აპელირება კეთდება ჯუანშერის ისტორიაზე), რომ ალანები კავკასიაში მეხუთე საუკუნეში ვახტანგ გორგასლის დროს მთავარ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ,*

პირიქით, ამ დროს მთავარი პოლიტიკური ძალა ქართული სამეფო იყო და ვახტანგ მეფის დაცვაში სამასი დაქირავებული ალან-ოსი მსახურობდა. (იხ. *Аланы: история и культура III Владикавказ, 1995: 105*)".

აშკარაა, რომ წაკითხულის გაგების პრობლემასთან გვაქვს საქმე. წინა წინადადების წამკითხველს იმის გაგება არ გაუჭირდებოდა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაზეა საუბარი და არა საერთოდ კავკასიაზე. სინამდვილეში ნათქვამია, რომ იმ დროისათვის ალან-ოსები იყვნენ მთავარი პოლიტიკური ძალა, რომლებიც სამხრეთ კავკასიაში არა მხოლოდ ქართველებს უქმნიდნენ პრობლემებს, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლე სხვადასხვა ეთნოსსაც. რაც შეეხება *ვახტანგ გორგასლის* დაცვის სამას დაქირავებულ ოსს, ქართულ წყაროში (უცხოენოვან წყაროშიც) მსგავსი არაფერია ნათქვამი. *ჯუანშერი* ამის შესახებ არაფერს გვამცნობს. ჩემი "კრიტიკოსი" კი 1995 წელს ვლადიკავკაზში დაბეჭდილ წიგნს არასწორად უთითებს. უნდა მიეთითებინა: «*Дзаттиаты Р. Г. Аланы в дружине Вахтанга Горгасала. – Аланы: история и культура. Алапса. III. Владикавказ. 1995*». ამ შემთხვევაშიც ცნობილი ოსი ფალსიფიკატორის – *რ. ძათიათის* მითოლოგემასთან გვაქვს საქმე. აღნიშნულ სტატიაში ოსი ავტორი მხოლოდ *ვახტანგ გორგასლის* დაცვაში სამასი დაქირავებული ალან-ოსის ყოფნას ვარაუდობს: «**По нашему предположению, дружина царя Картли Вахтанга Горгасала состояла из алан**». ოსი ავტორი **ზღაპრებს თხზავს, ქართველი ავტორი – ჩემი "კრიტიკოსი" კი მითოლოგემას რეალურ ჭკმმართველად აცხადებს**. სხვათა შორის, *რ. ძათიათი* სხვა მითოლოგემასაც ქმნის. ქართულ წყაროში ვკითხულობთ, რომ *ვახტანგმა* "დაიმორჩილნა ოვსნი და ყივჩაყნი, და შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩუენ დარიანისად უწოდეთ. და აღაშენნა მას ზედა გოდოლნი მაღალნი, და დაადგინნა მცველად მახლობელნი იგი მთიულნი. არა კელეწიფების გამოსვლად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაყთა თჳნიერ ბრძანებითა ქართველთა მეფისა"⁵². დარიალის მახლობლად მოსახლე მთიელები ("**მახლობელნი იგი მთიულნი**") თურმე ოსები ყოფილან, რომლებიც ცენტრალური კავკასიის მაღალმთიანეთში უკვე დიდი ხნის შემოსულნი

⁵²ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის მიერ*, ტომი I, 1955, გვ. 156.

ყოფილან და დომინირებდნენ კიდევაც აქ: «Как показали исследования, под этим «горцами» следует иметь ввиду алан, давно уже проникшими в высокогорье Центрального Кавказа и явно доминировавшими здесь»⁵³. ასე ქმნიან ოსი ავტორები ზღაპრებს. ალან-ოსები მაშინ დარიალის სიახლოვეს არ იყვნენ. დარიალის მეორე მხარეს მხოლოდ ინგუშები მკვიდრობდნენ. ქართულ წყაროში პირდაპირაა ნათქვამი, რომ *ვახტანგ გორგასალმა* ოსებთან საბრძოლველად დარიალის კარი გაიარა და “ჩავლის ველსა ოსეთისასა”. მონღოლთა შემოსევებამდე ალან-ოსები მხოლოდ კავკასიის ველების/სტეპების მკვიდრნი იყვნენ. ამას ადასტურებს ყველა უცხოენოვანი წყარო. X საუკუნეშიც კი არაბი ავტორის *ალ-მასუდის* ცნობით ალანთა ქვეყნიდან დარიალამდე ათი დღის სავალია. ალბათ, მომავალში ქართველი ავტორი აღნიშნულ მითოლოგიასაც გაუწევს პროპაგანდას.

რადგან ვრცლად მოგვიხდა ოსების შესახებ “კრიტიკოსის” ნააზრევზე შეჩერება, კიდევ ერთი ციტატა უნდა გავაცნო მკითხველს: “ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში რესპუბლიკის ამჟამინდელ ტერიტორიაზე ალანთა ტომები გამოჩნდნენ”. (ჟ. კვიციანი. კავკასია და კავკასიელები. სოციალურ-კულტურული პრობლემები: ისტორია და თანამედროვეობა, თბილისი, 2010: 151). თქმული სინამდვილეს არ შეესაბამება. ალან-ოსები IV საუკუნის 70-იან წლებამდე ვოლგასა და აზოვის ზღვას შორის – სტეპებში მომთაბარეობდნენ. სამხრეთით, კავკასიის მთისწინეთში დასახელებულმა ირანულენოვანმა ერთობამ მხოლოდ ჰუნების შემოსევის შემდეგ ჩამოიწია და არა თანამედროვე ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე, არამედ უფრო დასავლეთით. ალანეთის ეპარქია თანამედროვე ყარაჩაიში – დიდი ზელენჩუკის ხეობაში არსებობდა. მაშინ ოსები არა შიდა ქართლს, არამედ სვანეთსა და აფხაზეთს ემეზობლებოდნენ.

ჩემ ნაშრომში ხაზგასმულია, რომ მონღოლებმა კავკასიაში მნიშვნელოვნად შეცვალეს ეთნიკური სიტუაცია. “კრიტიკოსი” კი საწინააღმდეგოს გვიმტკიცებს, რომ იმ დროისათვის კავკასიელები მონღოლებზე უფრო კონსოლიდირებულნი იყვნენო: “ავტორის

⁵³ *Дзаттиаты Р. Г.* Аланы в дружине Вахтанга Горгасала. – Аланы: история и культура. Alanica. III. Владикавказ. 1995.

დებულება, თითქოს მონღოლები თავიანთი დაპყრობის იდეოლოგიურად უზრუნველყოფას არ ცდილობდნენ და ამიტომ მოხდა მათი აღრევა ადგილობრივ მოსახლეობაში (თოფჩიშვილი, 2010, გვ.57), საკამათოა. ცნობილია, რომ ოქროს ურდოში, რომლის ნაწილიც ჩრდილოეთ კავკასია იყო, სახელმწიფო ენა არაბული გახლდათ, მეორე ენა კი დამორჩილებული ხალხების – ყივჩაღების ენა იყო. 1312 წელს უზბეკ-ხანმა ისლამი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა, ამასთან ერთად ადგილობრივ ხალხებში მეტ-ნაკლებად შენარჩუნდა ტრადიციული კულტურა, წარმართული რწმენები და მართლმადიდებლობა. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ მონღოლებს ნამდვილად გააჩნდათ თავიანთი სახელმწიფო “იდეოლოგიური უზრუნველყოფა”, ხოლო ოქროს ურდოს დაშლის შემდეგ მოხდა მათი გათქვეფა-აღრევა დაპყრობილ ხალხებში. ეს მეტყველებს ადგილობრივი სუბსტრატის დომინირებაზე, ანუ კავკასიური ეთნოსები მონღოლურზე უფრო კონსოლიდირებული აღმოჩნდა” (კვიციანი 2011: 469). ისტორიკოსი ვალდებულია იცოდეს, რომ მონღოლთა შორის ხანი უზბეკი იყო ორი ეპოქის გამყოფი. დიახ, უზბეკმა პირველმა მიიღო ისლამი და სისხლის გუბეებიც დააყენა. უმჯობესია ლევ გუმილიოვს მოვუსმინოთ: «Наследник традиций хана Берке – Узбек – проявил себя как крайне жестокий правитель. приняв ислам, он под страхом смертной казни потребовал того же от всех подданных. Дотоле репрессий по религиозным мотивам в Орде никогда не применялись, поэтому не было ничего удивительного в том, что многие отказались принять «веру арабов». Ведь, по ясе Чингисхана, хан не мог вмешиваться в вопросы веры, а свобода совести всегда понимались монголами личная свобода человека. Узбек без колебаний отверг этот принцип – все, отказавшиеся обратиться в мусульманства, в том числе 70 царевичей Чингизидов, были казнены. Но большому количеству татар (христианин и язычников), отказавшихся принять ислам, удалось уехать на Русь и при Узбеке, и впоследствии»⁵⁴. მე თუ არ დამეჯერება, ლ. გუმილიოვს ხომ მაინც დაეჯერება. დიახ, მონღოლები უზბეკ ხანამდე შემწყნარებლები იყვნენ. ყველა დიდ დამპყრობელს თუ დაპყრობილ ხალხებში თავისი რელიგია შეჰქონდა, ან ცდილობდა შეეტანა. მონღოლები ასე არ იქცეოდნენ.

⁵⁴ Гумилев Л. Н. От Руси до России: Очерки этнической истории. – М., 2004. С. 137.

მონღოლებს ასეთი რელიგია არც ჰქონიათ. ოქროს ურდო, რომლის ადმინისტრაციული ცენტრი ვოლგის დაბლობში მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობით (ხარკითა და სამოვრებით) იყო დაინტერესებული. მონღოლები დაპყრობილი ხალხების პირად ცხოვრებაში თითქმის არ ერეოდნენ. პირიქით, ოქროს ურდოს კარგი დამოკიდებულება ჰქონდა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ეს უკანასკნელი გადასახადებისაგანაც კი იყო გათავისუფლებული. ეკლესია ხელისუფლებას გარკვეულ სამსახურსაც უწევდა. ასეთი ლეგენდაც არსებობს: კათოლიკურმა ეკლესიამ *მენგუ ხანს* წინადადებით მიმართა, რათა კათოლიციზმით დაინტერესებულიყვნენ. ხანის პასუხი ასეთი ყოფილა: თათრებს ღმერთი სწამთ, მისთვის კვდებიან, მაგრამ ღმერთს ბევრი თითი აქვს და მისკენ ბევრი გზა მიდის. მონღოლები თავიანთი დაპყრობების იდეოლოგიურ უზრუნველყოფას რომ არ ცდილობდნენ (*უზბეკ ხანამდე*) ეს საყოველთაოდ აღიარებულია და ამ შემთხვევაში “კრიტიკოსი” არა ჩემი, არამედ *ლ. გუმბილიოვის* კომპენტენციას აყენებს ექვს ქვეშ. არაა საკამათო, რომ მონღოლთა დაპყრობებმა მნიშვნელოვნად შეცვალა კავკასიის ეთნიკური რუკა, და არა მხოლოდ კავკასიისა. თავიანთი ეთნიკური ნიშა დაკარგეს ალან-ოსებმა, განსახლების არეალი დაკარგეს ყივჩაღებმაც, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტნენ. ამის შედეგი იყო დასავლეთ კავკასიის მთიანეთში თურქულენოვანი ყარაჩაელებისა და ბალყარელების გაჩენა, ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში ნოღაელების გაბატონება. ეთნიკური ურთიერთობები შუა საუკუნეებში დაუნდობელი იყო: თუ არ ჩაყლაპავდი შენ, დროთა განმავლობაში სხვა ჩაგყლაპავდა. ასე დაემართათ მონღოლებსაც; ისინი მათ მიერ დაპყრობილ და სხვადასხვა მიმართულებით გაფანტულ თურქულენოვან მოსახლეობაში გაითქვიფნენ. მათ იგივე დაემართათ, რაც სლავურენოვან გარემოში ბულგარელებს. ყივჩაღები ადგილზე კიდევ მნიშვნელოვანი რაოდენობით დარჩნენ და მონღოლებმა თანდათან მათი გავლენა განიცადეს: «Они даже перешли на половецкий (кипчакский) язык, все еще господствовавший в регионе»⁵⁵. ამრიგად, მონღოლთა პერიოდში კავკასიაში არც

⁵⁵ *Гудаков В. В.* Северо-Западный Кавказ в системе межэтнических отношений с древнейших

ადგილობრივი სუბსტრატის დომინირებაზე შეიძლება ლაპარაკი და არც იმის შესახებ, რომ კავკასიური ეთნოსები მონღოლებზე უფრო კონსოლიდირებული იყვნენ. კავკასიაში იმ დროს დარჩენილი ეთნოსები კი გადარჩენას ორ ფაქტორს უნდა უმადლოდნენ: 1. მონღოლებს არ ჰქონდათ გამოკვეთილი რელიგია, ძალით არავის ახვევდნენ თავს თავიანთ იდეოლოგიას და – 2. ლანდშაფტს. მთებმა დაიცვა კავკასიის ხალხები. ოსები გადარჩენას მთებს უნდა უმადლოდნენ, სადაც მათ, თავის მხრივ, სხვათა ეთნიკური ნიშა დაიკავეს. “კრიტიკოსი” უდავოდ დასვამს კითხვას: კი მაგრამ რუსები რომ გადარჩნენ; ისინი ხომ ტყეებსა და ტყისპირა ველებში ცხოვრობდნენ, სად იყო იქ მთის ლანდშაფტი? ამ შემთხვევაშიც ლანდშაფტმა – ტყიანმა ლანდშაფტმა – შესარულა დამცავის როლი. მონღოლები არც იმ ხალხებს ერჩოდნენ, ვინც უსიტყვო მორჩილებას გამოუცხადებდა, ხარკს გაიღებდა და მონღოლთა არმიამი მებრძოლებს გააგზავნიდა. საქმის არსი არა მოსული და დამხვდური ეთნოსების კონსოლიდირება-არაკონსოლიდირებაში იყო, არამედ იმაში, რომ დამპყრობლები მრავალრიცხოვნებით არ გამოირჩეოდნენ; მათ უბრა-ლოდ არ შეეძლოთ განსახლებულიყვნენ იმ ვეებერთელა სივრცეზე, სადაც 1236-1242 წლებში ლაშქრობდნენ. ადილეელთა გადარჩენას და ყივჩაღებისა და ალანების განადგურებას და მათი ეთნიკური განსახლების არეალის დაკარგვასაც თავისი მიზეზები გააჩნდა: ამ უკანასკნელთა ბინადრობის ტერიტორია მონღოლებს უფრო აინტერესებდათ, რადგან ჩვეული მეურნეობისათვის – მომთაბარე მეცხოველეობისათვის – ფრიად გამოსადეგი იყო⁵⁶.

ფაქტობრივად, “კრიტიკოსის” ყველა აზრაცზე მიხდება შეჩერება, რადგან თითოეულ მათგანში არა ერთი, არამედ რამდენიმე შეცდომაა. ის წერს: *“უზუსტობაა ტექსტში მონღოლების შემდგომ ყაზარდოელების განსახლებასთან დაკავშირებით. ოქროს ურდოს დამარცხების შემდეგ ყაზარდოელებს (ადილე თემთა ერთ-ერთ დიდ გაერთიანებას) არა მარტო ალანთა დასავლური განსახლების ტერიტორია ჰქონდათ დაკავებული, არამედ მთლიანად ჩრდილოეთ*

времен до 60-х годов XIX века. – СПб, 2007. С. 132.

⁵⁶ **Гудаков В. В.** Северо-Западный Кавказ в системе межэтнических отношений с древнейших времен до 60-х годов XIX века. – СПб, 2007. С. 124-125.

კავკასიის ცენტრალური ნაწილი: დასავლეთით მდინარე ყუბანიდან და აღმოსავლეთით – მდ. სუნჯისა და თერგის შესართავამდე” (კვიციანი 2011: 460). დიახ, მე სიტყვა-სიტყვით მიწერია: «После завершения монгольского господства западную часть территории расселения аланов заняли кабардинцы, которые фактически контролировали ситуацию на Кавказе до прихода сюда русских»⁵⁷. სამწუხაროდ, ქართული ტექსტი რუსულად შეცდომით ითარგმნა, რამაც არსებითად აზრი შეცვალა. ქართულად დაბეჭდილ ტექსტში მიწერია: “მონღოლთა ბატონობის დასრუ-ლების შემდეგ, ალანების საცხოვრებელის სამხრეთი ნაწილი ყაბარდოელებ-მა დაიკავეს და კავკასიაში რუსების შემოსვლამდე სიტუაციის ფაქტობრივი წარმმართველნი ისინი იყვნენ”⁵⁸. “კრიტიკოსმა” იფიქრა რ. თოფჩიშვილი გამოვიჭირე, ყაბარდოელების განსახლების აღმოსავლეთი საზღვარი არ იცისო. შეიძლება ის იმაშიც შემომედავოს, რომ ყაბარდოელებმა ალანების საცხოვრებლის სამხრეთი კი არა ალანეთის ტერიტორია მთლიანად დაიკავესო. ალან-ოსებს მონღოლთა შემოსევებამდე ყუბანის აღმო-სავლეთით ჩრდილოეთ კავკასიის სტეპების ვრცელი ტერიტორია ეკავათ.

კიდევ ერთი ციტატა, რომლის მიხედვითაც ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს აზერბაიჯანელთა ეთნოგენეზის შესახებაც: “ბუნდოვანია ავტორის მოსაზრება აზერბაიჯანელთა ეთნოგენეზთან დაკავშირებით. ერთ შემთხვევაში ავტორი აზერბაიჯანელებს კავკასიის მკვიდრ მოსახლეობად მიიჩნევს (თოფჩიშვილი, 2010, 59), მეორე შემთხვევაში კი ჯერ ამბობს, ალბანელები აზერბაიჯანელთა წინაპრებიაო (ქრისტიანები – თავიანთი დამწერლობით), რომლებიც მთლიანად გამქრალანო, მაგრამ იქვე, მისივე მტკიცებით, თურმე “ალბანელები არ გადაგვარებულან” და რომ ისინი თურქულენოვან ხალხში თანამედროვე აზერბაიჯანელებად გარდაქმნილან. გაუგებარია, მაინც რა მოხდა – გამქრალან თუ გარდაქმნილან? (თოფჩიშვილი 2010, 63)” (კვიციანი 2011: 461). მანამ სანამ ჩემს

⁵⁷ **Топчишвили Р.** Этническая обстановка на историческом и современном Кавказе //კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XII, 2010, გვ. 63.

⁵⁸ **თოფჩიშვილი რ.** ეთნიკური სიტუაციის დინამიკა კავკასიაში: ისტორია და თანამედ-როვეობა. – საქართველო და მსოფლიო, ბათუმი, 2009 გვ. 96.

ციტატას შემოგთავაზებთ, უნდა აღვნიშნო, რომ “კრიტიკოს-ინტერპრეტატორს” და მე “ადგილობრივის” სხვადასხვა გაგება გაგვჩნია. აი, რას ვწერ: «Нашествие монголов повлияло и на этническую ситуацию Южного Кавказа. Хотя, надо сказать, в этом регионе подобные перемены происходили и раньше. Особенно изменилась ситуация в восточной части Кавказа – на территории современного азербайджанского государства, т. е. в исторической Кавказской Албании. Исчез христианский албанский этнос эпохи раннего средневековья, имевший собственную письменность. Единственными этническими преемниками кавказских албанов считаются удины. В физическом смысле албаны не переродились: со временем трансформировалось их этническое самоназвание и они превратились в тюркоязычный народ – современных азербайджанцев»⁵⁹. რა არის აქ ბუნდოვანი, მკითხველმა განსაჯოს.

“კრიტიკოსი” რუსეთის იმპერიის დამცველადაც გვევლინება: “რაც შეეხება რუსეთის პოლიტიკას კავკასიაში, აქაც უზუსტობებია დამჯებული. რუსეთის იმპერია, როგორც ავტორი წერს, ხელს უწყობდა ჩრდილოეთ კავკასიაში არაკავკასიური წარმომავლობის ხალხების – პირველ რიგში რუსების ჩასახლებას (აქ გადმოცემულია ჩემი აზრი, რასაც მოსდევს “კრიტიკოსის” განმარტება – რ. თ.): ცნობილია, რომ რუსეთის იმპერატორიც, რუსების გარდა, ცდილობდა ჩრდილოეთ კავკასია ქრისტიანული (უნდა იყოს: ქრისტიანი – რ. თ.) ხალხებითაც, მათ შორის, სომხებითა და ქართველებით დაესახლებინა. მცდარია ავტორის მტკიცება, რომ საბჭოთა პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიურ წარმონაქმნებში მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას რუსები შეადგენდნენ (თოფჩიშვილი, 2010, 65). შევნიშნავთ, რომ რუსები აბსოლუტურ უმრავლესობას (ადილეს რესპუბლიკის გარდა), არცერთ (უნდა იყოს “არც ერთ” – რ. თ) ავტონომიურ რესპუბლიკასა თუ ოლქში არ წარმოადგენდნენ”. “ავტორი ლაპარაკობს საბჭოთა რუსეთის პოლიტიკაზე და რატომღაც ამახვილებს მე-19 საუკუნეში ჩეჩნეთში მცხოვრებ რუსების ფაქტზე, მაგრამ ამ შემთხვევაში ავტორის მიერ მოტანილი სტატისტიკა რუსების ჩეჩნეთში

⁵⁹ **Топчишвили Р.** Этническая обстановка на историческом и современном Кавказе //კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XII, 2010, გვ. 63.

უმრავლესობაში ყოფნის თაობაზე მის დებულებასვე ეწინააღმდეგება” (კვიციანი 2011: 461). ამ საკითხზე ჩემი ნაშრომიდან ციტატებს ცოტა ქვემოთ შემოგთავაზებთ. ჯერჯერობით კი კომენტარი უნდა დავურთოთ მოყვანილ ამონარიდს. მე ვწერ და ჩემს მოსაზრებას “კრიტიკოსიც” იმოწმებს, რომ იმპერია ხელს უწყობდა ჩრდილოეთ კავკასიაში არაკავკასიელი ხალხების, პირველ რიგში, რუსების ჩასახლებას. შემდეგ კი შეგვაგონებს, რომ *“რუსეთის იმპერატორი, რუსების გარდა, ცდილობდა ჩრდილოეთ კავკასია ქრისტიანული* (უნდა იყოს ქრისტიანი – რ. თ.) *ხალხებითაც, მათ შორის სომხებითაც და ქართველებითაც დაესახლებინა”*. აქ ხომ ალოგიკურობასთან გვაქვს საქმე. დიახ, რუსეთი, უპირველეს ყოვლისა, კავკასიაში რუსებს ასახლებდა, სომხებსაც და ბევრ სხვასაც, თურმე, ქართველებსაც. მაგრამ ხომ ცნობილი ფაქტია, რომ ქართველები, რომლებიც უმნიშვნელო რაოდენობით იყვნენ დასახლებულნი ჩრდილოეთ კავკასიაში, არა გეგმაზომიერად და ჯგუფურად იყვნენ გადასახლებულნი, არამედ თვითნებურად. ჩრდილოეთ კავკასიაში XIX-XX საუკუნეებში მიგრაციული პროცესებისადმი მიძღვნილ არც ერთ ნაშრომში კრინტიც კი არაა დაძრული აქ ქართველთა მიგრაციის, მით უმეტეს, გეგმაზომიერი მიგრაციის შესახებ⁶⁰. რუსები ჩრდილოეთ კავკასიაში უმრავლესობას შეადგენენ და დღეს აქ რუსული მოსახლეობა როგორც რაოდენობრივად, ისე პროცენტულად რომ იკლებს, ამის გამო სამეცნიერო წრეებში განგაშია ატეხილი. რადგან ჩემი “კრიტიკოსი” ჩაჩნეთ-ინგუშეთის მოსახლეობის შესახებ აპელირებს, მკითხველს ვთავაზობთ ამ ავტონომიაში 1939 და 1959 წლების მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის სურათს. თუ 1939 წელს ჩაჩნებისა და ინგუშების რაოდენობა ავტონომიაში 50,6% და 7,8%-ით განისაზღვრებოდა და რუსებისა - 34,3%-ით, 1959 წელს სიტუაცია რუსების სასარგებლოდ შეიცვალა: რუსები - 49%, ჩაჩნები - 34,3%, ინგუშები - 6,8% (ერთად - 41,2%)⁶¹. აღნიშნულ საკითხზე ჩვენი სტატიიდან რამდენიმე ამონარიდს შემოგთავაზებთ და მკითხველი თავად ნახავს რა არის მიუღებელი და არამეცნიერული: **«Российская**

⁶⁰ *Белозеров В.* Этническая карта Северного Кавказа. – М., 2005.

⁶¹ *Белозеров В.* Этническая карта Северного Кавказа. – М., 2005.

империя стремилась целенаправленно, исходя из собственных интересов, изменить этническую ситуацию во всех регионах Кавказа. Спасшиеся и оставшиеся в горах Северного Кавказа народы адыгского происхождения русское правительство переселило на равнину, создав вокруг каждого из их селений многочисленные русские населенные пункты. Эта имперская политика успешно была продолжена российским руководством, и в советский период». «В то же время Российская империя всячески способствовала заселению Северного Кавказа различными этносами некавказского происхождения и, в первую очередь, русскими». «Одним словом, приход русских на Кавказ радикально изменил этническую карту Северного Кавказа (впрочем, как и Южного Кавказа), где заселение славян и российских подданных, фактически протекало беспрепятственно. Кроме того, поощрялись эмигранты армяне, немцы, греки и другие»⁶². ყოველივე ამის შემდეგ ერთადერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: “კრიტიკოსის” ინტერესის სფეროში არ შედის ეთნიკურ ურთიერთობათა შესახებ როგორც ცარიზმის, ისე საბჭოთა იმპერიის კრიტიკა. აბა, რას უნდა მივაწეროთ ეს ამონარიდი? – “უნდა ითქვას, რომ აქ მცხოვრები რუსები მიეკუთვნებიან ჩრდილოეთკავკასიელ მოსახლეობას და თავს კავკასიელებად აღიქვამენ კავკასიის (ასეა! – რ. თ.) ეთნიკური მოზაიკა, რომელზეც ავტორი შესავალში მართებულად ლაპარაკობს, როგორც ანტიკური ხანიდან რეგიონის დამახასიათებელ თავისებურებაზე, დასკვნის მიხედვით ისე ჩანს, რომ თურ-მე ამგვარი მდგომარეობა კავკასიაში რუსეთის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგია (თოფჩიშვილი, 2010, 67)” (ჯვიციანი 2011: 461-462). დიახ, ვწერ და კიდევაც დავწერ, რომ ყველა იმპერიის ქმედება ერთგვარად იწვევდა კავკასიის ეთნიკური რუკის ცვლილებას, მაგრამ რუსებმა ის რადიკალურად შეცვალეს. მათ შეძლეს მთელი კავკასიის ხელში ჩაგდება, რაც ადრე ვერც ერთმა სხვა დამპყრობელმა ვერ მოახერხა. მათმა ქმედებებმა საკუთარი ეთ-ნიკური ნიშა დააკარგვინა ბევრ კავკასიელს და, რაც მთავარია, კოლონიზა-ციის შედეგად ჩრდილოეთ კავკასიაში მიგრირებული რუსები უმრავლესობაში აღმოჩნდნენ. “კრიტიკოსის” დასკვნით კი “აქ მცხოვრები რუსები მიეკუთვნებიან ჩრდილოეთკავკასიელ მოსახ-

⁶² **Топчишвили Р.** Этническая обстановка на историческом и современном Кавказе //Кавკასიის ეთნოლოგიური კრებული, XII, 2010, გვ. 65.

ლობას”. და ეს იმ დროს, როდესაც თათებისა და თალიშების კავკასიელობა საეჭვოდ მიაჩნია. სხვათა შორის, რუსები სადაც კი მივიდნენ, ყველგან ტერიტორიის მკვიდრ მოსახლეობად გამოაცხადეს თავი. ასე გამოაცხადეს თავი კურილიის კუნძულების მკვიდრებადაც, რომელიც სულ ახლახან წაართვეს იაპონელებს.

“კრიტიკოსი” მარქსიზმის სქემებიდან გამოუსვლელობაზეც მიგვითითებს: *“კავკასიაში ამჟამად შექმნილი კულტურულ - ცივილიზაციური სურათი, ზოგიერთი მეცნიერისათვის (რ. თოფჩიშვილი და სხვა) გახდა საფუძველი იმისა, რომ კავკასიური ცივილიზაცია მითად გამოეცხადებინათ. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, არა მარტო ეს გახლავთ. ამგვარი თვალსაზრისი მეტწილად განპირობებულია ისტორიულ მეცნიერებაში არსებული მეთოდოლოგიური კრიზისით. ისინი ინერციულად განაგრძობენ საზოგადოებრივი განვითარების ხედვას მარქსისტულ-ევროპაცენტრული (“მარქსისტული” და “ევროპაცენტრული” სხვადასხვა რამაა. გამართული ქართულით ასე უნდა დაწერილიყო: “მარქსისტული და ევროპაცენტრული” - რ. თ.) კანონზომიერებით და ახდენენ მის ექსტრაპოლირებას კავკასიურ სივრცეში. ამგვარ მიდგომას კავკასიის ხალხთა დიდი ნაწილი ჩამორჩენილ “გვაროვნულ წყობამდე” დაჰყავს.*

თუ ისტორიის მარქსისტულ ხედვას ხალხები უნიფიცირებამდე მიჰყავდა, მაქს ვებერის თვალსაზრისი კულტურულ თავისებურებებს ითვალისწინებდა, ანუ ეკონომიკური ცხოვრების წესი ყალიბდება და მყარდება კულტურის საბაზო ფასეულობებზე დამოკიდებულებით. შემთხვევითი არ არის, რომ ქართველმა მეცნიერებმა (გ. მელიქიშვილი, ა. რობაქიძე და სხვ.,) ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყეს კავკასიის “მთიელთა ფეოდალიზმის” უნიკალურ თავისებურებებზე ლაპარაკი, რითაც ზემოხსენებული მარქსისტული მეთოდოლოგიური მიდგომა კავკასიასთან მიმართებაში ეჭვქვეშ დააყენეს” (კვიციანი 2011: 461). 458). ამრიგად, “კრიტიკოსისათვის”, რომლის სპეციალობა პარტისტორიაა, იმის გამო, რომ არ ვიზიარებ კავკასიური ცივილიზაციის არსებობას, მე მარქსიზმის სქემებში ჩარჩენილი, მარქსისტული მეთოდოლოგიის მიმდევარი მეცნიერი ვარ,

რომელსაც ახალ, განსხვავებულ მეთოდოლოგიებზე წარმოადგენა არა აქვს. პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ მეცნიერებაში “მთური ფეოდალიზმის” (და არა “მთის ფეოდალიზმის”) შემოტანა პასუხობდა სწორედ “მარქსისტულ ფორმაციულ-მეთოდოლოგიურ მიდგომას” და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებსაც მარქსისტული საზოგადოებრივ-ეკონომიკური თეორიის ჩარჩოებში ათავსებდა. მე არსად დამიწერია, რომ “კავკასიის ხალხების დიდი ნაწილი ჩამორჩენილ “გვაროვნულ წყობამდე” იყვნენ დასული. გვაროვნული წყობილება მათ დიდი ხნის წინ ჰქონდათ გავლილი და უმრავლესობა ადრეკლასობრივ საფეხურზე იმყოფებოდა. ამავდროს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები განვითარების ერთ დონეზე არ ყოფილან. სხვადასხვაგვარი იყო ჩაჩან-ინგუშების, ადიღეელების, ყაბარდოელების, დაღესტნელი მთიელებისა და ყუმუხების საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარება. მთის ლანდშაფტი, შესაბამისად, მის ბაზაზე ჩამოყალიბებული სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობები აქ ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბების საშუალებას არ იძლეოდა. ფეოდალიზმის უმთავარესი ნიშანი ხომ მიწაზე კერძო საკუთრებაა. ფეოდალების სიმდიდრისა და ძლიერების საფუძველს ხომ უძრავი საკუთრება – მიწა წარმოადგენდა, ხოლო შედარებით განვითარებული ყაბარდოული საზოგადოების დაწინაურებული ფენის ძლიერების საფუძველი კი მოძრავი ქონება – ცხენი და საქონელი იყო. ჩრდილოეთ კავკასიის მთის საზოგადოებებში მიწა საერთო საკუთრებას წარმოადგენდა. დაწინაურებულ ფენას კერძო საკუთრებაში მიწის ნაკვეთები არ ჰქონია და მასზე ყმა-გლეხები არ ჰყოლია მიმაგრებული. ამ, ე. წ. წარჩინებულთა “აღზევება” კი ძირითადად თარეშების შედეგად დაგროვილი ქონების საფუძველზე ხდებოდა და არა ადგილობრივი მოსახლეობის ექსპლუატაციით. ეს წარჩინებულები თავისი ცხოვრების ხასიათით არაფრით განსხვავდებოდნენ ჩვეულებრივი მეთემეებისაგან. ბუნებრივია, დაყმევებისა თუ დაქვემდებარების ტენდენციები ჩრდილოეთ კავკასიის მთაშიც იყო, მაგრამ ამ ტენდენციებს თემი, საზოგადოება ძირშივე აღკვეთდა. სადაც დაქვემდებარებაში მყოფი მწარმოებელი მოსახლეობა იყო, მათი რაოდენობა უმნიშვნელო იყო და მოსახლეობის ძირითადად ფენას

თავისუფლები შეადგენდნენ. ხაზგასმით აღვნიშნავთ: ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების (ამ ხალხებში ინგუშები, ჩაჩნები და ადიღეელთა რამდენიმე დიდი ერთობა – შაფსულები, ნატუხაელები, აბადეხები არ იგულისხმებიან) მოსახლეობის ძირითად მასაში ცხოვრების წესით, საომარი სულისკვეთებით გამოიყოფოდა წარჩინებულების, წინამძღოლების ფენა, რომლსაც თარემების შედეგად გარკვეული ქონებაც ჰქონდათ დაგროვილი, მაგრამ მკვლევარები მსოფლიოს სხვა ადგილებში როდესაც ანალოგიურ სიტუაციას აღწერენ, მხოლოდ ამ წინამძღოლების/წარჩინებულების “წამყვან როლზე” საუბრობენ და არა “ბატონობაზე”, რაც ემყარებოდა მათსა და დანარჩენ მოსახლეობას შორის თავისუფალ, არამალადობრივ, ნებაყოფლობით ურთიერთობებს. ასეთ საზოგადოებებში გარკვეული ქონებრივი და სოციალური ფენების გამოყოფა, როგორც სამართლიანად მიუთითებენ, გამორიცხავს კლასობრივი სტრუქტურების ჩასახვას⁶³. ესაა ფეოდალიზმი? ასეთ სოციალურ ვითარებას კი ზოგიერთმა ქართველმა მეცნიერმა “მთური ფეოდალიზმი” შეარქვა. საბჭოთა პერიოდში ამ “მთური ფეოდალიზმის” იდეის გამტარებლები ზ. ანჩაბაძე და ალ. რობაქიძე იყვნენ⁶⁴ და არა აკადემიკოსი გიორგი მელიქიძევილი. ბედმა მარჯუნა ბატონ გიორგი მელიქიძევილთან ახლო ურთიერთობა მქონოდა – ის კავკასიური “მთური ფეოდალიზმის” იდეას ღიმილნარევი იუმორით ხვდებოდა. გ. მელიქიძევილს რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი აქვს კავკასიის საზოგადოებების შესახებ ქართულ და რუსულ ენებზე და ქვემოთ მის ციტატებს შემოგთავაზებთ. მანამდე კი ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ მთის საზოგადოებების “მთური ფეოდალიზმი” ადრეფეოდალურ ურთიერთობებს გულისხმობდა; მაგრამ მთაში არ ყოფილა ადრეფეოდალური ურთიერთობები, ისეთი ურთიერთობები, როგორც მაგალითად ადრე შუა საუკუნეების საქართველოში, სომხეთსა და ალბანეთში იყო. გ. მელიქიძევილი

⁶³ *Гуревич А. Я.* Избранные труды. Древние германцы. Викинги. – СПб, 2007. С. 48.

⁶⁴ *ანჩაბაძე ზ., რობაქიძე ალ.* კავკასიური მთური ფეოდალიზმის ბუნების საკითხისათვის // იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XVIII, 1973, გვ. 111-126; *Робакидзе А. И.* Некоторые черты горского феодализма на Кавказе // Советская этнография, №2, 1978. С. 15-24

ჩრდილოეთ კავკასიის საზოგადოებებს, სრულიად სამართლიანად, მხოლოდ ადრეკლასობრივ (წინაფეოდალურ/პროტოფეოდალურ) საზოგადოებებად მიიჩნევდა. სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, მის რამდენიმე ციტატას შემოგთავაზებთ:

1. “საბჭოთა ეთნოგრაფიულ და, საერთოდ, საისტორიო მეცნიერებაში, 30-იანი წლებიდან მაინც, გაბატონდა მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება კავკასიის მთიელთა შორის ახლო წარსულში გვაროვნული წყობილების არსებობის თეზისის მიმართ. დღესაც ბევრი ჩვენი მეცნიერი, მათ შორის არაერთი ქართველი მეცნიერი, თავის მოვალეობად თვლის ენერგიულად გაკიცხოს ეს თეორია და მის წინააღმდეგ გაილაშქროს, თუმცა დღეისათვის თითქმის არავინ ჩანს, ვინც ამ თვალსაზრისს იცავდეს. ამასობაში კი, ვფიქრობთ, უფრო რეალურად გვესახება მეორე გვარი საფრთხე – კავკასიელ მთიელთა სოციალური განვითარების დონის გაზვიადებულად, გადაჭარბებულად მაღალი შეფასება, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში”⁶⁵;

2. “ჩვენს დროში ამგვარ გაზვიადებას საფუძვლად უდევს ძირითადად, ხშირად ალბათ ქვეცნობიერადაც, ყალბად გაგებულ ეროვნულ პრესტიჟზე ზრუნვა, ამ მიზნით ისტორიული წარსულის შელამაზება, უფრო განვითარებული მოდელის მიყენება ისტორიისათვის”⁶⁶;

3. “ყველაზე უფრო განვითარებულ ყაზარდოშიც კი “სოფლის მფლობელნი” მონაწილეობდნენ სახნავი მიწის ყოველწლიურ გადანაწილებაში და თავისთვის ერთ-ერთ ნაკვეთს ირჩევდნენ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს “მფლობელნი” ეკონომიურად ჯერ კიდევ მთლიანად არ იყვნენ გამოცალკევებულნი თემისაგან”⁶⁷;

⁶⁵ *მელიქიშვილი გ.* უძველეს კლასობრივ საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური წყობის პრობლემა, თბ., 2003: 50. პირველად დაიბეჭდა კრებულში: “ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებული”, თბ., 1976, გვ. 145-171.

⁶⁶ *მელიქიშვილი გ.* უძველეს კლასობრივ საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური წყობის პრობლემა, თბ., 2003, გვ. 51.

⁶⁷ *მელიქიშვილი გ.* უძველეს კლასობრივ საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური წყობის პრობლემა, თბ., 2003, გვ. 51.

4. რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლამ აქაური “ფეოდალები” უსაქმოდ, უფუნქციოდ დატოვა, რამდენადაც ისინი წარმოადგენდნენ უმეტესწილად არა მიწისა და ადამიანების მესაკუთრეებს, არამედ ძირითადად ახორციელებდნენ სამხედრო (თავდაცვა და თავდასხმა-აზრავობა) და მმართველობით ფუნქციებს”⁶⁸;

5. “თეზისი წინაფეოდალური (პროტოფეოდალური) სიტუაციის შესახებ, ჩვენი აზრით, სავსებით შეიძლება გავრცელდეს გვიანი შუასაუკუნეების მანძილზე არსებულ კავკასიის მთიელთა ადრეკლასობრივ საზოგადოებებზე, რომელთა სოციალურ-ეკონომიურ წყაბილებას მკვლევარნი ე. წ. “მთურ ფეოდალიზმს” მიაკუთვნებენ. სამეცნიერო ლიტერატურაში ამჟამად საყოველთაოდ გაბატონებული მოსაზრება შუასაუკუნეების მთის საზოგადოებათა “ადრეფეოდალურობის” შესახებ, ჩვენი აზრით, სადავოა. ეს უკანასკნელი განვითარების უფრო მაღალ სიტუაციას გამოხატავს – განვითარებულ ფეოდალიზმში გადაზრდის ძლიერ ტენდენციას იმჩნევს. ასეთი რამ კი მთის ადრეკლასობრივი საზოგადოებებისათვის დამახასიათებელი არ ჩანს”⁶⁹;

6. «В отношении «горского феодализма» нам кажется более приемлемым использование терминов «дофеодальный», «протофеодальный», чем термина «раннефеодальный». Конечно, каждое из горских раннеклассовых обществ требует отдельного рассмотрения – пути развития этих обществ вовсе не всегда были одинаковыми, различия между ними порой были довольно существенными»⁷⁰.

ვფიქრობთ, საკმარისია.

აქ მხოლოდ ერთს შევნიშნავ, ტერმინი “მთური ფეოდალიზმი” ჩრდილოეთ კავკასიის მთის საზოგადოებების მიმართ ზ. ანჩაბაძეს და ალ. რობაქიძეს არ შეუქმნიათ/შემოუთავაზებიათ. მისი ავტორი

⁶⁸ მელიქიშვილი გ. უძველეს კლასობრივ საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური წყობის პრობლემა, თბ., 2003, გვ. 54.

⁶⁹ მელიქიშვილი გ. უძველეს კლასობრივ საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური წყობის პრობლემა, თბ., 2003, გვ. 56.

⁷⁰ მელიქიშვილი გ. უძველეს კლასობრივ საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური წყობის პრობლემა, თბ., 2003, გვ. 112. პირველად დაიბეჭდა ჟურნალში: «История СССР», 1975, №6, стр. 44-53).

XIX საუკუნის მეცნიერი *მაქსიმ კოვალევსკი* გახლავთ⁷¹ (სხვათა შორის, მ. კოვალევსკი პირველი იყო, რომელმაც ქართველ მთიელთა ერთიან სახელმწიფოებრივ სისტემაში ავტონომიური ფუნქციონირების შესახებ მიუთითა), რომელსაც XX საუკუნის მკვლევარნი მკაცრად აკრიტიკებდნენ და “ზრალს სდებდნენ “ჯოხის გადახრაში” გვაროვნულობის სასარგებლოდ, რაც წყალს ასხამდა კავკასიის მთიელთა შორის მუდმივი გვაროვნული წყობილების არსებობის თეზისის წისქვილზე. თვით კოვალევსკის არასდროს უმტკიცებია ასეთი რამ. პირიქით, იგი ხაზს უსვამდა, მთიელთა საზოგადოებებს შორის არსებულ დიდ განსხვავებას სოციალური განვითარების დონეში”⁷².

ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნოთ, რომ ალ. რობაქიძისა და ზ. ანჩაბაძის “მთური ფეოდალიზმის” იდეა ეს იყო მკაცრ ფორმაციულ (არსებითად ევოლუციურ) ბადეში ჩრდილოეთ კავკასიური საზოგადოებების შეყვანის მხოლოდ წარუმატებელი მცდელობა. აღნიშნულ ავტორთა არგუმენტები ფეოდალიზმის მიღებულ დეფინიციამ ვერ თავსდება.

მართალია, ფეოდალიზმის შესახებ მსჯელობა ძალიან გაგვიგრძელდა, მაგრამ ბოლოს მაინც საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ ერთი ციტატა შემოგთავაზოთ, რომლის ავტორიც გახლავთ საყოველთაოდ ცნობილი მედიევისტი ა. გურევიჩი: «Понятие «феодализм» я склонен трактовать в весьма ограниченном смысле, не как «необходимую стадию во всемирно-исторической смене способов производства», а как конкретный исторический феномен, возникший из встречи германской и римской социальных систем. Я решительный противник поисков феодализма повсюду, где налицо подвластное земледельческое население и возвышающийся над ним вооруженный могущественный социальный слой, т. е. люди, живущие за их счет. Феодализм в собственном смысле существует там, где складывается специфическая форма межличностных отношений, предполагающая явный или – чаще – подразумеваемый договор. Поэтому в основе феодализма лежит система правоотноше-

⁷¹ *Кавказ: Закон и обычай: Ковалевский М.М.* Закон и обычай на Кавказе: В 2 т. – Нальчик, 2011. – Вып. VII. С. 179.

⁷² *მელიქიშვილი გ.* უძველეს კლასობრივ საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური წყობის პრობლემა, თბ., 2003, გვ. 50.

ний, при которой носителями и обладателями определенных прав (разумеется, сопряженных с обязанностями и повинностями) выступают не только господа, но и подданные... Феодализм кажется мне возможным только при наличии в обществе специфической структуры человеческой личности. Тип же личности в огромной мере зависит от доминирующей системы культуры и религиозности. Поэтому, по-моему, бессмысленно искать феодализм вне христианского региона (ибо христианство опирается на личностное самосознание), однако и в его пределах я нахожу феодализм в определенных частях Западной Европы, но не в Византии или на Руси»⁷³.

დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ “კრიტიკოსის” მიერ კავკასიის ეთნიკური სიტუაციის შესახებ ჩვენი ნაშრომის “განქიქება” განაპირობა მეორე ნაშრომმა, რომლის სახელწოდებაცაა “კავკასიური ცივილიზაციის შესახებ”. “განქიქების” მიზანი კი შემდეგის მტკიცება გახლავთ: რ. თოფჩიშვილის არაკომპენტენტურობა ცივილიზაციის საკითხების შესახებ განპირობებულია კავკასიის ისტორიისა და ეთნოლოგიის უცოდინარობით. თუ როგორი არაკომპენტენტური გახლავართ ამ სფეროში, ეს კომპენტენტური მკითხველისათვის მიგვინდვია.

ახლა რაც შეეხება მისი წერილის მეორე ნაწილს, ამ საკითხზე “კრიტიკოსი” და მე სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ. არ მინდა ჩემი ნაშრომი აქ გავიმეორო, მაგრამ ზოგიერთი რამის შესხენება კი დამჭირდება. მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებულ მეცნიერთა მიერ მიღებულია ცივილიზაციის ძირითადი ნიშნები, რომელსაც ჩემი “განმაქიქებელი” ცივილიზაციის ევროპაცენტრისტულ ხედვას უწოდებს. ეს ნიშნები ყველაზე ნათლად და გასაგებად გ. ჩაილდმა წარმოადგინა: 1. სახელმწიფო ორგანიზაცია; 2. სოციალურად დიფერენცირებული საზოგადოება; კლასების არსებობა; 3. მიწაზე მემკვიდრეობითი საკუთრება; 4. გადასახადების სისტემა და რეგულარული ხარკის მიღებით დაგროვილი ცენტრალიზებული სიმდიდრე; 5. სავაჭრო ურთიერთობათა განვითარება; 6. პროფესიონალ ხელოსანთა, სპეციალისტთა გაჩენა; 7. დამწერლობა; 8. ქალაქების გაჩენა; 9. მონუმენტური ნაგებობები; 10. მეცნიერებისა და ხელოვნების ჩანასახები.

⁷³ *Гуревич А. Я.* История – нескончаемый спор. Медиевистика и скандинавистика: статьи разных лет. М., 2005. С. 479-480.

ჩემთვის ეს ნიშნებია მისაღები, ხოლო “კრიტიკოსისათვის” რუსეთის დუმის დეპუტატის რ. აბდულატიპოვისა და მისი მიმდევარი მეციერებისა (ვ. ჩერნოუსი, ხ. თხაგავსოვეი, ვ. დავიდოვიჩი...), რომლებიც მითოლოგემებისა და ყალბი, ან პარტიის ისტორიის წერაში არიან დახელოვნებულნი. გარდა ამისა, ჩემს ნაშრომში ერთმანეთს შევადარე ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიელთა, განსაკუთრებით ქართველთა ეთნიკური კულტურა (ტრადიციები, წეს-ჩვეულებები). ნაშრომში ხაზგასმით ვწერდი: “კავკასიური ცივილიზაცია არ არსებობდა და არ არსებობს. კავკასიელებს (სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიელებს) არ ჰქონიათ კულტურული ფენომენების, სოციალ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურების საერთო კომპლექსები და სტრუქტურები, რელიგიური ერთობა”. “კრიტიკოსის” წერილმა ეს დასკვნა ვერ შემიცვალა; პირიქით, ეს აზრი, შეხედულება უფრო გამიმყარდა. ვფიქრობ, მაქვს ამის უფლება. საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის სპეციალისტებმა თხაგავსოვეს უნდა დაუჯერონ იმ სიყალბეში თუ უცოდინარობაში, რომ, თურმე ჩრდილოეთ კავკასიელებთან ერთად, ქართველებსაც ახალ დრომდე “მსხვილი ცივილიზაციების” ამკარა გავლენა არ განუცდიათ და თავიანთ კულტურულ თვითმყოფადობას ინარჩუნებდნენ. ჩემ “კრიტიკოსს” არავითარი კრიტიკული აზრი არ უჩნდება ამ უვიცობის წინააღმდეგ და სიამოვნებით ახდენს მის პერეფრაზირებას: “*მკვლევარს მხეველობაში ჰყავს ქართველები, ადილები, ბალყარელები, ყარაჩაელები, ოსები, ვაინახები, დაღესტნელები, რომლებსთვისაც დამახასიათებელია მატერიალური კულტურის ტრადიციული ფორმების მაღალი დონის ერთობა, მითოლოგიის ერთობა (ნართული ეპოსი), ეთნიკური ხელოვნების (უნდა იყოს “ეთნიკური კულტურის” – რ. თ.) ფორმები (განსაკუთრებით მუსიკა და ქორეოგრაფია) და, რაც მთავარია, საკომუნიკაციო კულტურის ფორმები და ტრადიციები*” (ჯ. კვიციანი 2007: 21).

სამხრეთ კავკასიელების, დაღესტნელებისა და ვაინახებისაგან განსხვავებით ადილელებსა და ყაბარდოელებს არ ჰქონიათ მსგავსი მატერიალური კულტურა (მაგალითად, საცხოვრებელი და

თავდასაცავი ნაგებობები შეიძლება დავასახელოთ. ქვის სახლების ნაცვლად ადიდელებს მხოლოდ მოწნული სახლები ჰქონდათ; უცხო იყო მათთვის კომპური კულტურაც). ნართული ებოსი ქართველთათვის უცხო იყო. რაც შეეხება “ეთნიკური ხელოვნების ფორმებს”, ამ თვალსაზრისითაც სრულიად სხვადასხვა სამყაროსთან გვაქვს საქმე – ქართულ პოლიფონიურ მუსიკას საერთოდ კავკასიაში ანალოგია არა აქვს. ანალოგია არ გააჩნია ასევე ქართულ ხალხურ ცეკვებს, მაგალითად, ცეკვა “ქართულს” – ქალისა და კაცის ცეკვას, რომელიც რაინდულ-რომანტიკული სულისკვეთებით გამოირჩევა. *კოსტა ხეთაგუროვის* ეთნოგრაფიული ნარკვევის თანახმად, ოსეთში მხოლოდ კაცები ცეკვავდნენ, ქალები კი – არა. თურმე, ეთნოსი “მსხვილი ცივილიზაციის” გავლენას თუ განიცადის, მაშინ ის კულტურულ თვითმყოფადობას კარგავს. არაა ეს ასე. დასავლეთ ევროპელი ხალხები ერთ დიდ საერთო დასავლეთ ევროპულ/კათოლიკურ ცივილიზაციაში შედიოდნენ და არც ერთ მათგანს კულტურული თავისთავადობა, ეთნიკური კულტურა არ დაუკარგავს.

წიგნის პირველ ნაწილში ციტატები შემოგთავაზებთ *ბ. ჯავახიას* სამეცნიერო ნაშრომიდან, რომელშიც შუა საუკუნეების ევროპელი ავტორების განსხვავებული დამოკიდებულებაა გადმოცემული სამხრეთ კავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ. ავტორის სამართლიანი დასკვნით, საქართველო ევროპული კულტურული ლანდშაფტის ნაწილად განიხილებოდა, ჩრდილოეთ კავკასია კი – არა. ამ უკანასკნელს მოიხსენიებდნენ როგორც გოგისა და მაგოგის ადგილსამყოფელს⁷⁴. ევროპელთა დამოკიდებულება კავკასიისადმი არც XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე შეცვლილა. გერმანელი *გოტფრიდ მერცბახერი* წერდა: «Главный Кавказский хребет составляет как в географическом, ботаническом и климатическом, так и в этническом отношении преграду между двумя половинами Кавказского перешейка. К югу от этого громадного возвышения земли в настоящее время встречаем главным образом народы картвельского племени, к северу же их

⁷⁴ *ჯავახია ბ.* კავკასია შუა საუკუნეების ევროპის კულტურულ ლანდშაფტში. – კავკასიოლოგთა პირველი საერთაშორისო კონგრესის მასალები, თბ., 2007, გვ. 233, 234.

или совсем нет или только в исключительных случаях. Там же живут народы весьма разнообразного и, частью, загадочного происхождения. **Высокий горный кряж представлял непреодолимые препятствия к их смешению, так что с древнейших времен существовало различие между народностями, населявшими Предкавказье и Закавказье»⁷⁵.**

ამრიგად, ევროპული წყაროებით სამხრეთი და ჩრდილოეთი კავკასია ორ სრულიად სხვადასხვა სამყაროდ აღიქმებოდა. “კრიტიკოსი” კი გაკვირვებული წერს: “არადა, როლანდ თოფჩიშვილის მსჯელობა ეხება ჩვენს უმუშალო მოსახლდრე ჩრდილოელ მეზობელებს, ეთნოგენეტიკურად დაკავშირებულ ხალხებს, რომლებსაც ქართველებთან ეთნოკულტურული კავშირები არასდროს გაუწყვეტიათ” (კვიციანი 2011: 462). როგორც ჩანს, ის ამ ეთნოგენეტიკურ ერთობაში ენობრივ ნათესაობას გულისხმობს. ენობრივ ნათესაობას თუ ეთნოგენეტიკურ ერთობას კი ცივილიზაციური მიკუთვნების პრობლემასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ქურთები და ინგლისელები, სპარსელები და იტალიელები, პუმტუნები და გერმანელები, ბენგალიელები და პორტუგალიელები ერთ ენათა ოჯახში შედიან, მაგრამ არც ეთნოგენეტიკურად არიან ნათესავები, არც საერთო კულტურის მატარებელნი არიან, არც ერთ ცივილიზაციას მიეკუთვნებიან და არც საერთო ღირებულებები გააჩნიათ.

კრიტიკის ქარცეცხლში ვარ გახვეული “ნართების ეპოსისა” და “ვეფხისტყაოსნის” დავიდოვიჩისეული შეფასების გამო, რომელიც ცივილიზაციის საკითხებში “კრიტიკოსისათვის” დიდ ავტორიტეტს წარმოადგენს. “რუსეთელი” ავტორისათვის ჩრდილოეთ კავკასიელებსა და ქართველებს სულიერი კულტურის ბევრი ნიშნის თანხვედრა გააჩნიათ და ამ თანხვედრის დამადასტურებელი ყოფილა “ნართების” ეპოსისა და *შოთა რუსთაველის* სტრიქონების თანხვედრა. დღესაც იმავე აზრისა ვარ: განსაკუთრებით დიამეტრალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან ჩრდილოეთ კავკასიელთა და სამხრეთ კავკასიელთა სულიერი კულტურა. ქართველთა და სომეხთა სულიერი კულტურა ქრისტიანობით იყო

⁷⁵ *Мерцбахер Г.* К этнографии обитателей Кавказских Альп. В кн.: **Кавказ:** племена, нравы, язык. – Нальчик, 2011. Вып. VIII. С. 246.

ნასაზრდოები, სხვებისა კი – არა. დიახ, ხსენებული ავტორი ქართული მწერლობის შედეგს “ვეფხისტყაოსანს” აგდებით მოიხსენიებს, როდესაც ამ ნაწარმოებსა და “ნართების” ეპოსს ერთმანეთს ადარებს. სხვათა შორის, დავიდოვიჩის ცოდნის სიმწირეზე (და შეიძლება მიზანმიმართულ ქმედებაზეც) მიუთითებს ის, რომ ქართველთა ერთ-ერთ ეთნოგრაფიულ ჯგუფს – ხევსურებს – ცალკე ეთნოსად/ხალხად აცხადებს და ქართველებსა და თურქულენოვან ყუმუხებს – ერთი ხის სხვადასხვა შტოებად. რატომ ამ ნონსენსის შესახებ არ იღებს ხმას ჩემი “კრიტიკოსი”? მისი სათაყვანებელი დავიდოვიჩი ხომ ამ თვალსაზრისით ცარიზმის დროინდელი პოლიტიკოსებისა და მათი დაქირავებული მეცნიერების მიმდევარია. როგორც ჩანს, მას ქართველთა ერთიანი ეთნიკური ერთობის მიზანმიმართული დაშლის ასეთი მცდელობანი არ აღელვებს.

მორიგი ციტატა: “რატომ დუმს რ. თოფჩიშვილი საყოველთაოდ ცნობილ ფაქტზე, რომ ჩრდილო კავკასიელებს და კერძოდ, ადიღების წინაპრებს – მეოთხესა და სინდებს ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში – ძვ.წ.ად. მე-5 საუკუნეში ჰქონდათ შექმნილი სახელმწიფო სინდიკა?” პირდაპირ ვაცხადებ “საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი” სინდიკის სახელმწიფოს შესახებ არის მითოლოგემა. ასეთი სახელმწიფო არც ერთ წყაროში არაა დაფიქსირებული, არაა შეტანილი ძველი მსოფლიოს ისტორიის არც ერთ სახელმძღვანელოსა და საენციკლოპედიო ლექსიკონში. მეოტები ანტიკურ წყაროებში პირველად აზოვისპირეთში ძვ. წ.-ის VI საუკუნეში არიან მოხსენიებულნი. მათი განსახლების არეალი მდინარე ყუზანის ქვემო წელსაც მოიცავდა. სტრაბონი სინდებს მეოტებს მიაკუთვნებს. მიუხედავად იმისა, რომ მათი ეთნიკური წარმომავლობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა, ჩვენ მაინც ვიხრებით იმ მოსაზრებისაკენ, რომ მეოტებიც და მათი შემადგენელი სინდებიც ადიღეელთა წინაპრები, პროტოადიღეელები იყვნენ⁷⁶. ცნობილია მხოლოდ ის,

⁷⁶ «Локализовать отдельные меотские племена на современной карте пока навряд ли возможно. Единственным исключением в этом отношении являются синды, которые занимали Таманский полуостров, левобережье Кубани и Черноморское побережье до Анапы» (*История народов Северного Кавказа с древнейших времен до конца XVIII века.* – М., 1988. С. 73).

რომ სინდები ცხოვრობდნენ ანტიკური ქალაქების სიახლოვეს და პოლიტიკურად ექვემდებარებოდნენ ბოსფორის სამეფოს და სინდების კუთვნილი ტერიტორია მისი ქალაქების სასოფლო-სამეურნეო გარემოცვას წარმოადგენდა⁷⁷. გამოთქმულია ის მოსაზრებაც, რომ სინდები ეთნიკურად იყვნენ კიმერიელთა მონათესავენი და, რომ მათმა სახელმწიფოებრივმა წარმონაქმნმა ერთი საუკუნე იარსება. მოგვიანებით ის ბოსფორის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. სინდების არისტოკრატია შედიოდა ბოსფორის მმართველი არისტოკრატის შემადგენლობაში. სინდებმა განიცადეს ელინიზაცია (ბერძნებისაგან გადაიღეს ენა და დამწერლობა, სახელები და წეს-ჩვეულებები, მონაწილეობას ლეზულობდნენ ბერძენთა შეჯიბრებებში და რელიგიურ დღესასწაულებში, ატარებდნენ ბერძნულ ტანსაცმელს და მორთულობას)⁷⁸. ის შეხედულებაც არსებობს, რომ მეოტთა ტომები ინდოარიელები იყვნენ. ო. ტრუბაჩევი კი სინდებისა და მეოტების ინდოევროპულ წარმოშობაზე მიუთითებდა, რომლებიც სამხრეთ-დასავლეთით წასული ამ ტომების “ნასხლეთს” წარმოადგენდნენ. თ. გამყრელიძე და ვიაჩ. ივანოვი ტოპონიმების “სინდი” და “ყუბანი” სახელწოდებებს ინდოეთისა და ავღანეთის ჰიდრონიმებს ადარებენ და დასკვნიან, რომ შავი ზღვის ჩრდილოეთით და აზოვისპირეთში არიული ტერმინები ოდესღაც მახლობელი აღმოსავლეთიდან კავკასიის გზით არიელთა შეჭრის შედეგი უნდა იყოს⁷⁹. ეთნოლოგი ლ. ლავროვი კი ამტკიცებდა, რომ მეოტები ადიღეელების წინაპრები არ იყვნენ. აქ რამდენიმე განსხვავებული შეხედულება შემოგთავაზეთ ე. წ. მეოტებისა და სინდების ეთნიკურობისა და

⁷⁷ «Ряд исследователей считают возможным говорить о сложении в восточной Синдике под влиянием Боспора государства. Основным доводом в пользу этого являются синдские монеты». «Однако другие ученые отрицают наличие у синдов государства, что синды в своем социально-экономическом развитии не могли далеко уйти от остальных меотских племен. Они считают, что монеты с этниконом «Синдон», не носящие имя «царя», выпущены одним из боспорских городов (возможно, городом Синдская гавань). Синдские же «цари», вероятно, были просто племенными вождями» (*История народов Северного Кавказа с древнейших времен до конца XVIII века.* – М., 1988. С. 76).

⁷⁸ *Гладкий В. Д.* Древний мир: Энциклопедический словарь. – М., 2001. С. 583.

⁷⁹ *Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч.* Вс. Индоевропейский язык и индоевропейцы, II, Тб., 1984. С. 916-917.

სინდიკას სახელმწიფოს შესახებ (რომელთა სახელმწიფოებრიობასაც მხოლოდ მონეტის არსებობით ადასტურებენ). ესაა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი? რაც მთავარია, სადაა აქ ტრადიცია. თუ ეს წარმოსახვითი კავკასიური სახელმწიფო მართლაც არსებობდა და იგი პროტოადილელების იყო, სახელმწიფოებრიობის ტრადიცია ხომ გაწყვეტილი იყო. ისტორიულად ხელშესახები პერიოდისათვის ყუბანის მარცხნივ მცხოვრებ ადილელებს ხომ სახელმწიფოებრივი ცხოვრებით არ უცხოვრიათ.

“კრიტიკოსს” თუ დაუჯერებთ ჩრდილოეთ კავკასიის თითქმის ყველა ხალხს სახელმწიფოებრიობა ჰქონდა და ისინი სომხეთის, ალბანეთის, იბერიისა და კოლხეთის ანალოგიური სახელმწიფოები იყო. ამის საფუძველს მას ის აძლევს, რომ “ქართლის ცხოვრებაში” “ძურძუკთა მეფენი” არიან მოხსენიებულნი. ძველ წყაროებში მოხსენიებული “მეფენი” ხომ ყოველთვის სახელმწიფოს მეთაურებს არ ნიშნავს და მათში ჩვეულებრივ ტომის ბელადები იგულისხმებთან. ასეთივე ტომის ბელადები გახლდნენ “ძურძუკი მეფენი”. შუა საუკუნეების ადილეელთა წარჩინებულებს, წინამძღოლებს **ადგილობრივ ბელადებად** მიიჩნევს ვ. გუდაკოვი⁸⁰. სხვათა შორის, “კრიტიკოსის” ერთ-ერთ ნაშრომში ძურძუკების შესახებ შემდეგი რამ წერია: *“ქართულ ისტორიულ წყაროებში ინგუშები ძურძუკების სახელით არიან ცნობილნი. ძურძუკეთი, რომელიც ინგუშებისა და ხუნძების წინაპრების სახელმწიფოებრივ გაერთიანებას წარმოადგენდა, ძველი წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეებიდან ახალი წელთაღრიცხვის XIV საუკუნემდე არსებობდა”; “XVIII საუკუნეში ნახჩოს ტომები ჩეჩნებად და ინგუშებად გაიყვნენ”* (ჯ. კვიციანი 2010: 152). მოყვანილი ორ ამონარიდი კომენტარსაც კი არ იმსახურებს, მაგრამ საისტორიო მეცნიერებისაგან შორს მყოფათათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში დურძუკი/ძურძუკი ინგუშსაც მიესადაგება და ჩაჩანსაც. არ არსებობს წყარო, რომლითაც დასტურდება ინგუშთა სახელმწიფოს არსებობა, არც ერთ სერიოზულ სამეცნიერო გამოკვლევაში ასეთი სახელმწიფოს

⁸⁰ *Гудаков В. В.* Северо-Западный Кавказ в системе межэтнических отношений с древнейших времен до 60-х годов XIX века. – СПб, 2007. С. 204, 208.

არსებობაზე არავინ მიუთითებს, თანაც მითითებულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში. ყველა მეცნიერისათვის აღმოჩენა იქნება იმის აღნიშვნა, რომ ძურძუკებს თავიანთ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნში ხუნძებიც ჰყოლიათ შეყვანილი. თურმე “ნახჩოს (უნდა იყოს “ნოხჩო – რ. თ.) ტომები” XVIII საუკუნეში გაყოფილან ჩაჩნებად და ინგუშებად. სრული ზღაპარია. დასახელებული საუკუნის დასაწყისში მხოლოდ ეგზოეთნონიმები/გარესახელწოდებანი – “ჩაჩნები” და “ინგუშები” – წარმოიქმნა. კიდევ ერთი რამაა საკითხავი: სახელმწიფოებრიობის მქონე ხალხები ტომები როგორღა იყვნენ? მეცნიერებაში ტერმინი “ტომი” ხომ მხოლოდ პირველყოფილი ეთნო-სების აღსანიშნავად გამოიყენება. ცივილიზაციის კონტექსტშია განხილული შამილის იმამატიც: *“აღარაფერს არ ვამბობ იმამ შამილის მიერ ჩამოყალიბებულ სახელმწიფოზე, რომელიც 25 წლის მანძილზე უმკლავდებოდა ერთ-ერთ უძლიერეს იმპერიას”* (კვიციანი 2011: 463). დიახ, XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მთიელი დაღესტნელებისა და ჩაჩნების მიერ შექმნილი იმამატი სამხედრო-თეოკრატიული სახელმწიფო გახლდათ. შამილის მიმართ თითქმის ყველა ქართველს გარკვეული სიმპატია გააჩნია, მაგრამ რა ჰქონდა მუსლიმურ თეოკრატიულ და სამხედრო სახელმწიფოს საერთო ხანგრძლივი ისტორიის მქონე ქართულ ქრისტიანულ საერო სახელმწიფოსთან? არც იმის დავიწყება არ შეიძლება, რომ შამილის წინააღმდეგ არერთი ქართველიც იბრძოდა, რომლებსაც ქვეცნობიერად საამისო მიზეზებიც ჰქონდათ. გავიხსენოთ დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის სტრიქონები: **“თურქი, სპარსი, ლევი, ოსი, ჩერქეზ, ლილივი, დიდო, ქისტი/ სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაჰკრა თვითო ქიშტი!”**

კიდევ ერთ ალოგიკურობაზე უნდა შევჩერდე: “კრიტიკოსის” სალექციო კურსის – “კავკასიის ხალხთა კულტურული (სოციალური) ანთროპოლოგია” – მე-9 ლექციის სათაურია: “პოტესტარული ურთიერთობები და სოციალური სტრატეფიკაცია”. აქ კითხვას ვსვამ: თუ ჩრდილოეთ კავკასიაში პოტესტარული ურთიერთობები/ორგანიზაციები არსებობდა, მაშინ რომელ სახელმწიფოებრიობაზეა საუბარი? მკითხველს შევახსენებ, რომ პოტესტარული

ორგანიზაცია ესაა საზოგადოებრივი ხელისუფლების ფორმა კლასობრიობამდელ და ჩიფდომის ტიპის გაერთიანებებში, რომელსაც არ ჰქონდა პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ატრიბუტები. პოტესტარობის ყველაზე ადეკვატური გამოძახატველი ჩვეულებითი სამართალი იყო. პოტესტარულობა ხორციელდებოდა გვაროვნულ-ტომობრივი და სათემო ხელმძღვანელობის, უზუცესთა საბჭოს მეშვეობით. პოტესტარული ორგანიზაციის ფორმები სხვადასხვა იყო: სამხედრო დემოკრატია (ევროპა), საიდუმლო კავშირები (აფრიკა), “დიდი ადამიანების” ხელისუფლება (ოკეანეა). პოტესტარულობის სინონიმია “წინარესახელმწიფო” (“პროტოსახელმწიფო”). საინტერესოა, პოტესტარული ორგანიზაციის ეს განმარტება არა აქვს თავის წიგნში მოცემული რუს ეთნოლოგს ლ. კუბელს⁸¹, რომელიც იმავე სილაბუსის დამხმარე ლიტერატურის სიაშია შეტანილი?

“კრიტიკოსი” ცივილიზაციის ნიშნად მიიჩნევს ადიღურ ეტიკეტსაც, ე. წ. “ადიღე ხაზხეს”. რაც მთავარია, “შემთხვევითი არ არის, რომ მას ბევრი მკვლევარი იაპონური სამურაის კოდექსსაც კი ადარებს” (კვიციანი 2011: 463). საინტერესოა, ქართველებსა და სომხებს რომ არ ჰქონდათ ადიღელების (და იაპონელების) ანალოგიური ყოფაქცევის მორალურ-ზნეობრივი ნორმები, ეს ერთიანი კავკასიური ცივილიზაციის ხელის შემშლელი არაა? აღნიშნული თვალსაზრისით ამავე კონტექსტში განიხილავს “უნიკალურ ყაზარდოული ცხენის ჯიშის გამოყვანას”. მეცხენეობის სფეროში ყაზარდოელებს წარმატება რომ ჰქონდათ მიღწეული, ამაში საოცარი არაფერია, რადგან ბოლო დრომდე, ისინი ნახევრადმომთაბარე ცხოვრებას მისდევდნენ – ყაზარდოული კაბაკები რამდენიმე წელიწადში ერთხელ საცხოვრებელ ადგილს იცვლიდნენ; მიწის გამოფიტვის გამო, ხშირი იყო შემთხვევა დასახლებული პუნქტის ასი კილომეტრის იქით გადატანისა. საყოველთაოდ ცნობილია ქართველი ხალხის ექსტენსიური სამიწათმოქმედო სისტემის შესახებ, რაც სახვნელი (და არასახვნელი) მიწის განოყიერებითაც იყო განპირობებული. ზემოთ ყაზარდოელების

⁸¹ *Куббель Л. Е.* Очерки потестарно-политической этнографии. – М., 1988.

ნახევრადმომთაბარეობის შესახებ მივუთითეთ; ასეთივე ცხოვრების წესი ჰქონდათ მათ მოძმე ადიღეელებსაც, რომლებისთვისაც მეურნეობის ექსტენსიური სისტემა უცნობი იყო. XIX საუკუნის შუა ხანებში ადიღეელთა მიწათმოქმედების შესახებ წერდნენ: 1. «Когда в селении у горцев накапливается много навоза, то они, для избежания нечистоты, не вывозят его в поля для земледелия, как у нас, а переходят с одного места на другое»⁸²; 2. «Переселения аулов с места на место очень часты; аул, истощив кругом себя землю, переходит на другое место. Земли им для земледеля нужно немного»⁸³. **მეცნიერებაში მიწათმოქმედების ასეთ სისტემას, როცა დასამუშავებელი ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების ხელოვნურ საშუალებებს არ იცნობდნენ, პრიმიტიულს უწოდებენ.** ასე რომ, სამიწათმოქმედო კულტურის სფეროში ჩრდილოეთ კავკასიელები (ამჯერად საუბარია ადიღეელებსა და ყაბარდოელებზე) და სამხრეთ კავკასიელები სხვადასხვა დონეზე იდგნენ.

კიდევ ერთი ამონარიდი: *“არ მგონია რასულ გამზათოვის (ხუნძი, დაღესტნის სახალხო პოეტი – რ. თ.), ყაისინ ყულიევის (ბალყარელი საბჭოთა პოეტი – რ. თ.), ალიმ კეშოკოვის (საბჭოთა ყაბარდოელი პოეტი, პროზაიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი, ბოლშევიკური პარტიის წევრი – რ. თ.), მაჰმუდ ესამბაევის (ჩაჩანი მოცეკვავე, ცეკვის ჯადოქარი – რ. თ.), იური ტემირჯანოვის (გამოჩენილი ყაბარდოელი დირიჟორი. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი – რ. თ.), გოხარ დუდაევის (საბჭოთა გენერალი-მაიორი. დამოუკიდებელი ჩაჩნეთის პირველი პრეზიდენტი – რ. თ.) და სხვა გამოჩენილი ჩრდილოეთკავკასიელი ხალხების წარმომადგენლების წინაპრები ცივილიზაციის მიღმა ყოფილიყვნენ”* (კვიციანი 2011: 464). ბუნებრივია, ეს სია შეიძლებაოდა გაგრძელებულიყო. ცოტა გაუგებარია, რატომაა ამ სიაში ხელოვნების მუშაკთა და მწერალთა გვერდით სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე დასახელებული, ან რატომ არ არიან მასში შეყვანილი ჩერქეზი მამლუქები? მე ხომ არსად ვწერ, რომ ქართველთა მეზობელი ჩრდილოეთ კავკასიური

⁸² *Данилевский Н.* Кавказ и его горские жители в нынешнем их положении. В кн.: **Кавказ:** племена, нравы, язык. – Нальчик, 2011. Вып. VIII. С. 68.

⁸³ *Сталь К.* Этнографический очерк черкесского народа. В кн.: **Кавказ:** племена, нравы, язык. – Нальчик, Вып. VIII, 2011. С. 121.

ეთნოსები უკულტურონი იყვნენ? კი ბატონო, იყვნენ ჩრდილოეთ კავკასიელები კავკასიური მთური ცივილიზაციის მატარებელნი, მაგრამ ვერაფერს დაადასტურებს იმას, რომ ქართველებიც - დიდი სახელმწიფოებრივი ტრადიციისა და დასავლეთევროპული ფეოდალიზმის, დამწერლობის მქონენი, V საუკუნიდან მაღალმხატვრული მწერლობის შემქმნელნი, ქრისტიანები, მაღალი ხელოვნების ნიმუშების შემქმნელნი, არაერთი მონუმენტური ნაგებობის ამგებნი, საქალაქო ცხოვრების მატარებელნი, არა გაცვლითი, არამედ ფულადი ნიშნებით მოვაჭრენი, სახელმწიფო სამართლით განმსჯელები - აღნიშნული ცივილიზაციის ნაწილს წარმოადგენენ. 326 წელს ქრისტიანობის მიღებით ქართველმა ხალხმა დასავლურ ღირებულებებზე გააკეთა არჩევანი, ჩრდილოეთ კავკასიელებმა კი - არა. კავკასიის მკვიდრმა რამდენიმე ათეულმა ხალხმა ორიგინალური კულტურა შექმნა, მაგრამ ეს კულტურები და ქართული კულტურა ერთი ცივილიზაციის ჩარჩოებში ვერ თავსდება. ქართული კულტურისა და ცივილიზაციის საკითხებით დაინტერესებულნი რატომ არ ადარებენ მას მახლობელი აღმოსავლეთის, ირანის, ბიზანტიის კულტურას? იქნებ უფრო მეტი საერთო სწორედ ამ კულტურებთან/ცივილიზაციებთან დაენახათ? ქართული კულტურა და ცივილიზაცია საკუთრივ ქართული, აღმოსავლური და დასავლური კულტურების ნაჯვარი გახლდათ. ამას ქართულ ანთროპონიმებზე ერთი თვალის შევლევაც კი ცხადყოფს. საკმარისია "ქართლის ცხოვრების" პირველ ტომში მოხსენიებული ქართული საკუთარი სახელები ამოვიწეროთ და მაშინვე ვნახავთ, რომ ისინი ორ ჯგუფად კლასიფიცირდება. ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების ქართველები ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ და ირანულ პიროვნულ სახელებს ატარებდნენ. XII საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი მიღვაწემ *სარგის თმოგველმა* XI საუკუნის სპარსელი პოეტის *ფახარ აღ-დინ ასად გორგანის* სამიჯნურო პოემა "*ვის ო რამინი*" ("*ვისრამიანი*") პროზაულად თარგმნა, რამაც სათავე დაუდო ქართულ საერო ლიტერატურას. მეცნიერები შენიშნავენ ადრექრისტიანული ხანის საქართველოს ხელოვნებაზე სასანური ირანის კულტურულ გავლენას: "ქართლში VI ს-ში იქმნება ძალიან საინტერესო

კულტურული სიტუაცია. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ორიენტაცია დასავლური, პრობიზანტიურია, მაგრამ ცხადია ისიც, რომ იბერიის არისტოკრატიის გარკვეული ნაწილი მჭიდროდაა ინტეგრირებული ირანთან”⁸⁴. რაზე მიანიშნებს აღნიშნული? იმაზე რომ საქართველო კავკასიური/მთური კავკასიური კულტურისა და ცივილიზაციის ნაწილი იყო? *ოშკი, ხახული, იშხანი, პარხალი, ოთხთა, ბაგრატი, გელათი, სვეტიცხოველი, ალავერდი, ნიკორწმინდა, უშგული, ბედია* და სხვა მრავალი ჩრდილოეთ კავკასიურ კულტურასთან ანათესავებს ქართველებს, თუ მართლმადიდებლურ ბიზანტიასთან? დასმულ კითხვებზე ჩვენს “კრიტიკოსსაც” კი არ ექნება ყველასაგან განსხვავებული პასუხი.

მე, თურმე, ე. წ. “კავკასიის აგრარული ცივილიზაციის ტრადიციულ საკომუნიკაციო კულტურას”: სტუმართმოყვარეობას, ათალიყოობას, მძანდაფიცობას, სასიგნალო სისტემებს ყურადღებას არ ვაქცევ. ამ ეთნოგრაფიულ მოვლენებს იქ მივაპყრობ სათანადო ყურადღებას, სადაც საჭიროა. ცნობილი და აღიარებული მკვლევარების მიერ ისინი ცივილიზაციის ნიშნებად არ მიიჩნევა და, ბუნებრივია, ვერც ჩემს ყურადღებას მიიქცევდა. “კრიტიკოსი” აგრძელებს: *“ჩვენ ვიცით, რომ “ადილე-ხაზხეს” თანახმად, ნათესავებს შორის მეშვიდე თაობამდე ქორწინება იკრძალებოდა, რაც ხელს უწყობდა ახალგაზრდას ოჯახის შესაქმნელად ხშირად მეზობელი ეთნოსისათვის მიემართა. ამით, რა თქმა უნდა, ეთნოსთაშორისო კულტურულ დიალოგს (ასეა - რ. თ.) ხელი ეწყობოდა”* (კვიციანი 2011: 464). დიახ, ადილეელთა შორის ქორწინება ეგზოგამიური იყო! თურმე, ერთი კაცის შთამომავალთა შორის ქორწინების აკრძალვა შვიდი თაობის განმავლობაში საქორწინო პარტნიორის სხვა ეთნოსში მოძებნას იწვევდა. ეს სიმართლეს არ შესაბამება! ადილელები რამდენიმე, ასკაციან ეთნოსს არ წარმოადგენდნენ, რომ საქორწინო პარტნიორი ადილეელთა გარეთ, სხვა ხალხში მოეძებნათ.

⁸⁴ *სილაგაძე ნ.* სასანური სიმბოლური მოტივები ადრექრისტიანული ქართული რელიგიისა და ტორეტიკის ნიმუშებზე, თბ., 2010, გვ.13. ბევრ საერთოს იპოვის დაინტერესებული მკვლევარი ბიზანტიურ კულტურასთანაც (იხ.: Чекалова А. А., Даркевич В. П. Культура Византии. IV-XII вв.: Быт и нравы. Прикладное искусство. - М., 2010).

ადილელები რუსთა კოლონიზაციამდე ჩრდილოეთ კავკასიაში ყველაზე მეტნი იყვნენ. სხვა ხალხებზე თუ ქორწინდებოდნენ ისინი, ამის დასადასტურებლად სათანადო ლიტერატურის მითითება იყო საჭირო. საინტერესოა, კონკრეტულად რომელ ხალხთან ამყარებდნენ ადილელები საქორწინო ურთიერთობას? რამდენი შემთხვევაა ასეთი დაფიქსირებული? როდიდან დასტურდება ასეთი ფაქტები? ყველა ამ შეკითხვაზე სათანადო პასუხის გაცემა და წყაროს მითითებაა საჭირო და არა ზოგადი განცხადებების ფრქვევა. ისიც საინტერესოა, თუ ეთნოსთაშორისო ქორწინებებით რომელ ხალხებს შორის იმართებოდა კულტურული დიალოგი; ასეთ პროცესებს რა კავშირი აქვს ცივილიზაციასთან, გაურკვეველია! სხვათა შორის, როდესაც ქორწინებაზეა საუბარი, მაშინ ვერც იმ ფაქტს ავუვლით გვერდს, რომ დადესტნური ეთნოსები ამ თვალსაზრისით იზოლაციის ეთნოსები იყვნენ, ენდოგამიური იყვნენ და ერთმანეთზე თუხუშის წევრები, სისხლით ნათესავები ქორწინდებოდნენ. ამ კრიტერიუმის მიხედვით, თუ ქორწინების ეგზოგამიური ფორმა ცივილიზაციის ნიშანია, დადესტნელები და დანარჩენი ჩრდილოეთ კავკასიელები როგორღა არიან ერთი ცივილიზაციის წარმომადგენელი? აქ კიდევ ერთი ეთნოგრაფიული ფაქტი უნდა გავიხსენო, ოღონდ კვების სფეროდან. 1899 წელს ცნობილმა ნორვეგიელმა მწერალმა *კნუტ ჰამსუნმა* რუსეთის გავლით კავკასიაში იმოგზაურა. ვლადიკავკაზიდან თბილისამდე ეტლით იმგზავრა, რომელშიც ოთხი ცხენი იყო შემბული. დამე ხევის ოსებით დასახლებულ სოფელ კობში გაათენა. მეეტლეს ოთხი ცხენიდან ერთი მოუკვდა. კობის მკვიდრმა ოსებმა კი მკვდარი ცხენის ერთი ნაჭერიც არ დატოვეს შეუსანსლავი. “ეტყობათ, ეს საქმე დიდ სიამოვნებას ჰგვრით, ხე-ლით სინჯავენ ხორცს, ხელებს ითბობენ, იცინიან – აგზნებული, ყრუ სიცილით. ნუთუ მათში წარმართულმა ინსტიქტმა იფეთქა?”⁸⁵. ამ ფაქტით ჩრდილოეთ კავკასიური და ქართული სამყარო ერთი ცივილიზაციის ნაწილებია? ქრისტიანი ქართველი უსულადოს (თანაც ცხენს) შეჭამდა და შეჭამს? ცხენის ჭამის ტრადიცია კავკასიაში მოსულ ოსებს ხომ მომთაბარეობიდან მოსდგამდათ.

⁸⁵ *ჰამსუნი კ.* განცდილი და ნაფიქრი კავკასიაში. – თბ., 2006, გვ. 72-79.

ძალიან ბევრ კითხვას იწვევს შემდეგი აზრაც: *“ამავე დროს რეალობაა ისიც, რომ კავკასიაში ზოგიერთ შემთხვევაში ეთნოცენტრიზმი, ეთნოეგოტიზმი და სხვა ნეგატიური მოვლენები ხშირად თავს იჩენენ, რასაც ეთნოკონფლიქტამდე და ქსენოფობიამდე მივყავართ. ყველა ვხედავთ, რომ ამით, სამწუხაროდ, ჩვენი რეგიონი გამორჩეულია”* (კვიციანი 2011: 464). მეცნიერება ზოგად ფრაზებს ვერ იტანს. კონკრეტული ფაქტების მოყვანა და ანალიზია საჭირო. **ეთნოეგოტიზმში დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს შესაქმნელად ქართველთა სწრაფვა ხომ არ იგულისხმება?** “ჩვენს რეგიონში”, როგორც ჩანს, “კრიტიკოსი” საქართველოს გულისხმობს, რომლის მკვიდრი ქართველებიც, თურმე, ქსენოფობიით არიან გამორჩეულები, ყველაფერი შეიძლება დააბრალო ქართველს ხალხს და ქსენოფობიობას კი ვერავინ დააბრალებს. საქართველოს ტერიტორიების მიმტაცებელი რუსების, აფხაზებისა და ოსების მიმართაც კი არ გასჩენიათ ქართველებს ქსენოფობიური განწყობილება. საქართველოს მიმართ “რეგიონის” გამოყენება დანაშაულია; საქართველო რეგიონი კი არა ქვეყანაა. მაგრამ გააჩნია ვისთვის? ქართველებისათვის ის ქვეყანაა, რუსებისათვის – რეგიონი. ამ ტერმინის გამოყენებითა და ქართველთათვის ქსენოფობიის დაბრალებით რუსებს ხომ არ ვუკმევთ გუნდრუკს?

სხვა ნაშრომში ქართველ ხალხს სხვა ბრალდებაც აქვს წაყენებული. როგორც იტყვიან, ფაქტი აშკარაა: *“მეთოდოლოგიური დივერსიფიკაციის საფუძველზე დაყრდნობით, საჭიროა ჩვენი კულტურის, იდენტურობის კრიზისის გააზრება. ფაქტობრივად, მე-13 ს-ში ქართული სახელმწიფოს მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ (თათარ-მონღოლები, ირან-ოსმალეთის “პატრონაჟი” (უნდა იყოს “პატრონატი” – რ. თ.)), მოგვიანებით, მე-18-19 საუკუნეების მიჯნაზე, საქართველო გაითქვიფა ჯერ რუსულ იმპერიულ, შემდეგ კი ხელოვნურ, ე. წ. საბჭოთა მეტანაციონალურ იდენტურობაში.*

ამჟამად, ცხადია, მექანიკურად მე-18-19 საუკუნეების მიჯნაზე არსებულ ქართული კულტურის ტრადიციებს ჩვენ ვერ დაგუბრუნდებით, მაგრამ წარსულთან გაწყვეტილი მემკვიდრეობის

აღდგენა, ცარისტული და საბჭოთა წარსულის კრიტიკული გადახედვით, საჭიროა. ეს საშუალებას მოგვცემს გამოვიძუშაოთ ახალი ეროვნული თვითშეგნება, რომელიც გააზრებული იქნება გლობალური და მრავალფეროვანი სამყაროს კრილში. ამით ჩვენ დავიბრუნებთ ყველაზე ძვირფას ფასეულობას – ადამიანურობას” (ჯ. კვიციანი. კავკასიის ცივილიზაცია პოსტსაბჭოურ ისტორიოგრაფიაში, თბ., 2007: 4-5)⁸⁶. პირველი, რაც უნდა აღვნიშნო

⁸⁶რედაქტორისაგან (გ. ჟ.) – ამ ციტატაში ბევრი რამ არის, რბილად რომ ვთქვათ, სადავო, თუმცა მხოლოდ ერთ საკითხს გამოვყოფდით: კატეგორიულად არ დავეთანხმებით ეპიფანცევისნაირად მოაზროვნის, ან მისგან “გადმოკატავებული” იდეების მომხრე ჯ. კვიციანის განმარტებას რუსულ და მითუმეტეს საბჭოურ იმპერიულ მეტანაციონალურ იდენტურობაში ქართველთა გათქვევის ამბავს. მის და კიდევ სხვა მისნაირთა გასაგონად ვიტყვოდით: Россия, сначала царская, а потом и ее наследник СССР, смогла добиться в Грузии того, чего безуспешно добивались многие империи на всем протяжении истории этой страны – Грузия была полностью ассимилирована институционально: страна потеряла независимость, перестала существовать как государство, стала одной из российских губерний. Изменения коснулись всех сфер человеческой деятельности, ими проникнуты все отрасли и сферы грузинской культуры на протяжении 19-20-х веков.

В качестве «друга и покровителя» призванная единоверная Россия сразу-же показала истинное лицо. И проявилось это в самих низких формах: «не понимая того», она проглотила целую нацию. Во всех сферах проводилась поголовная русификация (в особенности, в системе образования), денационализация общества (особенно это чувствовалось по отношению к православной церкви в Грузии). Российская империя всячески стремилась культурно ассимилировать грузин.

Именно в противостоянии культур выявилось одно существенное обстоятельство, которое, собственно, и не позволило осуществить имперские планы: культурное наследие грузинской нации оказалось на голову выше (имеются ввиду исторические корни европеизации, христианизации и государственности). Поработитель подпал под культурное влияние порабощенного, что и стало причиной особой неприязни по сравнению с другими составляющими империю нациями, и особых натянутых отношений с грузинами (подчеркнем, что никто не спорит о прогрессивности русской интеллигенции в 19-ом веке). На этих корнях «выросли» и советские, и постсоветские имперские амбиции. В качестве примера этому можно привести слова известного советского деятеля: «Грузия – это судьба, вернее, знак судьбы. Если христианский и любимый русскими народ, с которым более 200 лет жили душа в душу, вместе воевали и действительно уважали друг друга, хочет уйти из СССР, это что-то значит. Это уже не Прибалтика, где все понятно. Значит, выбор: либо оккупация, и в общем-то опять «империя», либо федерация в духе конфедерации» (Из дневниковых записей А. С. Черняева. Запись от 16 апреля 1989 года).

Политические стремления порабощенного народа выражали отдельные «великие сыны» нации и образованные ими культурные учреждения. Одним из таких деятелей являлся Илья Чавчавадзе, со слов Николая Второго – умнейший человек, который «и придумал, и создал, и собственным потом и кровью оросил» 19 век для грузин. После него выразителем

ის გახლავთ, რომ მოყვანილ ამონარიდს არავითარი საერთო არა აქვს საისტორიო მეცნიერებასთან; ეს რაღაც პოლიტოლოგიური, უფრო სწორედ, ფუტუროლოგიური ოპუსია; მეორე, **თურმე ჩვენი, ე. ი. ქართული კულტურა და იდენტურობა კრიზისს განიცდის და ეს კრიზისი XIII საუკუნიდან დაწყებულა და, ჰოი საოცრებავ, მაინც აქამდე მოგვიღწევია; მესამე, საქართველო გათქვევლია ჯერ რუსულ და შემდეგ საბჭოთა მეტანაციონალურ იდენტურობაში. საკითხავია, თუ სხვებში (რუსებში) გაითქვიფა ქართული იდენტურობა,**

национальной суверенности и политического лица явились Иванэ Джавахишвили, в будущем академик АН СССР, и основанный им Тбилисский университет (чему, кстати, всячески противились имперские власти). Деятельность этих личностей на благо грузинской нации не имела аналогов после Давида Строителя.

Национальная политика Российской Империи по отношению к Грузии, к счастью, не была доведена до конца. Империя не смогла найти общий культурный язык с народом этой страны. Хотя попытка поискать подходы была предпринята наместником Михаилом Воронцовым. Он хорошо понимал всю сложность русско-грузинских отношений, разность культур и необходимость консенсуса между единоверцами. Михаил Воронцов постарался наподобие “рах гомана” предоставить грузинам обширную культурную автономию и этим добиться гарантий лояльности и верноподданства от грузин. В перспективе это должно было привести Грузию к полному суверенитету, а между Россией и Грузией должны были восстановиться партнёрские и союзнические отношения (на принципах Георгиевского трактата). Но, «стараниями» реакционных политиков, эта взаимовыгодная инициатива потерпела крах.

После аннексии со стороны Советской России Грузия встала перед лицом новых опасностей. Зловещее и растлевающее влияние советской власти стало причиной начала вырождения и власти, и общества во всем СССР и, в том числе, в Грузии. Причины, вызвавшие эти процессы и губительные последствия этого влияния, на сегодняшний день не до конца выявлены. Для этого нужно время и воля.

Это есть то основное, что в первую очередь обуславливало характер национального движения в Грузии, политические стремления грузинской нации, вообще грузинский национализм; но «национализм» не в вульгарном понимании неoliberalов (правильнее – неомарксистов), а в своем истинном выражении. Именно свобода является и условием, и целью для настоящей деятельности нации (первая ступень по «лестнице» В. Соловьева – «национальное самосознание», которая обязательна для второй ступени – «национальное самодовольство»).

На наш взгляд, обозначенные постулаты имеют концептуальное значение не только для исследования и переосмысления истории Грузии на протяжении 19-20 веков, но и всей истории нашей страны, так как идеологические установки не позволяли (и в некотором смысле не позволяют) понимать эту историю такой, как она есть. На наш взгляд, этот процесс должен быть минимум двухсторонним, т.е. и со стороны «центра» бывшей империи, и ее т.н. «периферии», для того, чтобы не только исследования увенчались успехом, но и отношения между этими сторонами строились на суверенных, партнерских основах и в обстановке взаимопонимания и взаимоуважения.

როგორღა შეიქმნა ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მაღალი დონის ქართული კულტურა და მწერლობა? იდენტობადაკარგული ქართველი ხალხი როგორღა იბრძოდა დამოუკიდებლობის, სახელმწიფოებრიობის აღსადგენად? მეოთხე, ვინ განაცხადა, რომ XVIII-XIX საუკუნეების ქართული კულტურის ტრადიციებს უნდა დავუბრუნდეთ? მართალია, ქართველი ხალხი ისტორიისკენ ლტოლვით მუდმივად გამოირჩეოდა, მაგრამ არა ძველის დაბრუნების სურვილით. მოაზროვნე ქართველები ყოველთვის მომავალზე ფიქრობდნენ. XVIII-XIX საუკუნეების ქართული ხალხური კულტურული ტრადიციები იყო დიდი ოჯახი, სახენელი იარაღი, ორბორბლიანი საზიდი საშუალებები (ურემი), მიცვალებულის სუდართით დაკრძალვა, ფეხის ფეხზე გადადებით დაჯდომის დაუშვებლობა და სხვ. ეს ყველაფერი დრომ გააქრო, მაგრამ მთელი რიგი ტრადიციები ხელიხელ საგომგანებელია, რომელთაც გაფრთხილება, შენახვა სჭირდება, ისევე როგორც ისტორიულ მახსოვრობას. ამ ორ ღერძს ეყრდნობოდა ქართული მენტალობა, ფასეულობები; მეხუთე, რას ნიშნავს ახალი ეროვნული თვითშეგნება? ასეთი ტერმინი ეთნოლოგიურმა მეცნიერებამ არ იცის. ახალი ეროვნული ცნობიერება ახალი, სხვა, განსხვავებული ეთნოსის ფორმირებას უდრის. ე. ი. ქართველებმა არსებულ ქართულ ეროვნულ ცნობიერებაზე უარი ნებაყოფლობით უნდა ვთქვათ და სხვა ხალხად ვიქცეთ? მეექვსე, არსებული ეროვნული ცნობიერების შეცვლით, თურმე, “ჩვენ დავიბრუნებთ ყველაზე ძვირფას ფასეულობას – ადამიანურობას”. ნებისმიერი დამეთანხმება, რომ ძალიან დიდი ბრალდება აქვს ქართველ ხალხს წაყენებული – ადამიანურობა მას კოლექტიურად დაუკარგავს და ახლა მისი დაბრუნება გვჭირდება. მთელი კატეგორიულობით მინდა განვაცხადო: ეს არაა მეცნიერება და, მით უმეტეს, საისტორიო მეცნიერება. რაც ყველაზე გასაოცარია, ბროშურა, რომელშიც ქართველთა დაკარგულ ადამიანურობაზეა საუბარი, “კრიტიკოსს” თავისი სალექციო კურსის – “კავკასიის ხალხთა კულტურული (სოციალური) ანთროპოლოგია” – სილაბუსში ძირითად/სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალში აქვს დასახელებული.

საისტორიო მეცნიერებისაგან ასევე ძალიან შორს დგას დასახელებული ავტორის კიდევ ერთი პუბლიკაცია. წინასწარ უნდა განვაცხადო, რომ ეს არის პოლიტოლოგია პარტიტორიის პოზიციიდან. დაბეჭვდამდე ის მოხსენების სახით წარმოადგინა 2011 წლის 4 მაისს თსუ ივანე ჯავახიშვილის 135 წლის იუბილისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე – **“სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში: გზა ახალი ზეითნიკური ერთობისაკენ”**. სესიაზე ეს მოხსენება კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს პროფესორებმა *ქეთევან ხუციშვილმა* და *თინათინ ბოლქვაძემ*, ხოლო გეოგრაფოსის, პროფესორ *გიორგი კვინიკაძის* უცაბედი კომენტარი ასეთი იყო: *“ეს ძალიან საშიშია!”*⁸⁷ მიუხედავად ამისა, მოხსენების ტექსტი მალევე

⁸⁷ლედაქტორისაგან (გ. ჟ.) – ამ მოხსენების მოსმენის შემდეგ ყველას ერთნაირი რეაქცია ჰქონდა – მოხსენებლის სიტყვა ძალიან ჰგავდა საბჭოთა კავშირის 1977 წლის 7 ოქტომბრის ე. წ. გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციაში დაფიქსირებულ დებულებას ერთიანი საბჭოთა ერის შექმნის (ახალი ზეეროვნული ერთობა) შესახებ: «(социалистическое общество) Это - общество зрелых социалистических общественных отношений, в котором на основе сближения всех классов и социальных слоев, юридического и фактического равенства всех наций и народностей, их братского сотрудничества сложилась новая историческая общность людей - **советский народ**» (*Ю.С.Кукушкин, О.И.Чистяков. Очерк истории Советской Конституции. М., 1987. С. 316*).

სხვათაშორის ბატონი ჯონისა და მისთა მსგავსთა გასაგონად ვიტყვოდით, რომ 1978 წლის 14 აპრილს ქართული საზოგადოება სწორედ ამ ჩანაწერის გ ამო ამბობდა.

ეს კიდევ ნაკლები უბედურება იქნებოდა, ზედ რომ სხვა არ ემატებოდეს. კერძოდ, საინტერესო იქნება თვალი გავადევნოთ რუსეთის ფედერაციის ეროვნული პოლიტიკის კონცეფციას და შევადაროთ იგი “ქართველიანთა” ზეეროვნულ ერთობას:

Концепция государственной национальной политики Российской Федерации утверждена Указом Президента Российской Федерации от 15.06.1996 N 909

Узловыми проблемами (таких 5), требующими решения, являются:

развитие национальных культур и языков народов Российской Федерации, **укрепление духовной общности россиян;**

III. Основные цели и задачи государственной национальной политики

3) в духовной сфере:

формирование и распространение идей духовного единства, дружбы народов, межнационального согласия, культивирование чувства российского патриотизма;

Сохранение исторического наследия и дальнейшее развитие национальной самобытности и традиций взаимодействия славянских, тюркских, кавказских, финно-угорских, монгольских и

დაიბეჭდა. შემოგთავაზებთ ამონარიდებს: “საზოგადოების ინტეგრაციას, ლიბერალური დემოკრატიის პირობებში, ალტერნატივა არ გააჩნია, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ილუპება. ამ მხრივ საინტერესოა საქართველოში ოსების და ზოგადად ეროვნული უმცირესობების როლი და ადგილი ახალ ლიბერალურ-დემოკრატიულ ფასეულობებზე დაფუძნებული, “ზეეთნიკური” სოციუმის ფორმირების პროცესში, რომელსაც პერსპექტივაში, პირობითად “ქართველიანი” (მრავლობითში “ქართულიანნი” ან “ქართველიანები”) შეიძლება ვუწოდოთ” (ჯ. კვიციანი. ეროვნული უმცირესობანი საქართველოში. XX-XXI სს. – თბ., 2011: 3); “ზოლო წლებში საქართველოში განხორციელებული ძვრები, რომელიც დემოკრატიის განვითარებაში, ადამიანის უფლებების დაცვასა და სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში გამოვლინ-და, გვაძლევს იმედს, რომ ეროვნული უმცირესობების სოციალური აქტიურობა ქართულ გარემოში ინტეგრაციის მიზნით დასრულდება ახალი სოციუმის - “ქართველიანის” ჩამოყალიბებით. ასეთი გაერთიანება მიმზიდველი იქნება ეთნიკური ოსებისათვის, რადგან ისინი ქართველებთან ხანგრძლივი თანაცხოვრების შედეგად შესისხლხორცებული არიან ქართულ კულტურასთან, ცხოვრების წესთან და თვითშეგნებითაც ბევრად ემსგავსებიან მათ” (ჯ. კვიციანი 2011: 41); “იმისათვის, რომ მომავალში შემცირდეს საქართველოში ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული პრობლემები, საჭიროა შემუშავდეს ქართულ გარემოში ახალი “ზეეთნიკური” ერთობის მოდელი ან პროექტი, რომელიც დაფუძნებული იქნება როგორც ისტორიული თანაცხოვრების გამოცდილებაზე, ისე დღევანდელი გამოწვევების ობიექტურ გააზრებაზე. ასეთი “ზეეთნიკური” ერთობის მოდელს, “ქართველიანი” (მრავლობითში “ქართველთაანი” ან “ქართველიანები”) შეიძლება ეწოდოს, რომლის არსი, ქართული იდეის გათვალისწინებით, სწორედ რომ საქართველოში მცხოვრები ყოველი ეთნოსის საყოველთაო ინტეგრაციაა. თვით ეს ტერმინიც

других народов России в рамках евразийского национально-культурного пространства, создание в обществе атмосферы уважения к их культурным ценностям.

<http://www.russia.edu.ru/information/legal/law/up/909/2051/>

კომენტარი მკითხველისთვის მიგვინდვია.

გარკვეულწილად მიგვანიშნებს საქართველოს საზოგადოების სამომავლო სოციალურ-კულტურული ინტეგრაციის ხასიათზე, რომლის დროსაც მისი ყოველი წევრი (ეროვნული კუთვნილების მიუხედავად) მოტივირებული იქნება, ხელი შეუწყოს ქვეყნის დემოკრატიზაციის შემდგომ განვითარებას” (ჯ. კვიციანი 2011: 47).

ამრიგად, ასე ადვილად გადაწყდება ქართველ ხალხთან ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის პრობლემა და დემოკრატიულ განვითარებასაც წინ აღარაფერი დაუდგება. თურმე პრობლემის არსი იმაშია, რომ საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქენი საერთო, გამაერთიანებელ სახელად რას ისურვებენ. ეს ტერმინი, პარტისტორიის მეცნიერებათა დოქტორისა და პროფესორის აზრით, “ქართველიანი”, “ქართულიანი”, “ქართველთათანი”, “ქართველიანები” შეიძლება იყოს. ტერმინი “ქართველიანი” თურმე მიმზიდველი იქნება ოსებისათვის, რადგან თვითშეგნებით ისინი ქართველებს ემსგავსებიან. კი მაგრამ რა დააშავეს აფხაზებმა, სომხებმა, აზერბაიჯანელებმა, ქისტებმა, რუსებმა და სხვებმა? პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ ასეთი იდეების გაზიარება საქართველოს დღევანდელი საზოგადოებისათვის ფრიად საშიშია. არ იფიქრებენ საქართველოს მოქალაქე ოსები და აფხაზები, სომხები და აზერბაიჯანელები იმას, რომ ქართველებს მათი არა ინტეგრაცია, არამედ ასიმილაცია უნდათ? მიუსადაგებენ ისინი საკუთარ თავს ამ ტერმინს? მათთვის რა მნიშვნელობა აქვს ჩვენ “ქართველებს” ვუწოდებთ თუ “ქართველიანს”? ჩვენ, ქართველებმა, ასეთი ნაბიჯების გადადგმით დაპირისპირებების ახალი კერა უნდა შევქმნათ? გამოხტება, მაგალითად, ჯავახეთში რომელიმე ლიდერთაგანი და ეთნიკურ სომხებს ამის გამო ქართველთა საწინააღმდეგოდ განაწყობს, ქართველებს ჩვენი გაქართველება, ასიმილაცია მოუწადინებიათო. ზემოთ ტყუილად არ ვუწოდე ამ ყველაფერს პარტისტორიის პოზიციებიდან დანახული პოლიტოლოგია. დიახ, ტერმინი “ზეეთნიკური” ერთობა 1971 წლის 30 მარტს სკკპ XXIV ყრილობაზე ლეონიდ ბრეჟნევის მიერ გაცხადდა. ეს ახალი ზეეთნიკური ერთობა “საბჭოთა ხალხი” იყო. 1974 წლის სკკპ-ის დადგენილებამ საბჭოთა ხალხი ახალ ისტორიულ ერთობადაც გამოაცხადა (უფრო შორს წავიდა ისეთი მოაზროვნე და

მაღალი დონის მეცნიერი როგორც ლ. გუმილიოვი იყო. საბჭოთა იმპერიის თავყანისმცემელმა ლ. გუმილიოვმა “საბჭოთა ხალხი” სუპერეთნოსადაც კი გამოაცხადა). ამ მოვლენას “კრიტიკოსიც” ვერ უვლის გვერდს: *“გასათვალისწინებელია, რომ სსრკ-ის პირობებში ოსების ინტეგრაციის ხარისხი ქართველებთან ვერ იქნებოდა სრულფასოვანი, რადგან ორივე ხალხის (ქართველებისა და ოსების, სხვა ხალხებთან ერთად) განვითარება მიმართული იყო იმისაკენ, რომ ზეეთნიკური “ახალი საბჭოთა ადამიანი” შექმნილიყო”* (ჯ. კვიციანი 2011: 31).⁸⁸ ზეეთნიკური ერთობის – საბჭოთა ხალხის –

⁸⁸ავტორს ანალოგიური მოსაზრებები აქვს წარმოდგენილი ახალ სტატიაში (ჯ. კვიციანი. გზა სამოქალაქო საზოგადოებისაკენ // ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, თბ., 2012, გვ. 348-351). ამ წაშრომსაც საისტორიო მეცნიერებასთან საერთო არა აქვს და აქაც ზეეთნიკური ერთობისა და ამ ზეეთნიკური ერთობის ახალ სახელწოდებაზე (“ქართველიანი”) არის საუბარი. დასახელებულ სტატიაში ასეთ რამესაც ვკითხულობთ: *“გასათვალისწინებელია ასევე ეთნონიმ “ქართველის” ისტორიულ-ეტიმოლოგიური და ფუნქციური მხარეც, კერძოდ, თუ როგორ იქცა საქართველოს ერთ-ერთი კუთხის – ქართლის აღმნიშვნელი სახელწოდება საერთო-სახელმწიფოებრივ ტერმინად – საქართველოდ და ქართლური და ქართლელი კი გაფართოვდა ტერმინად – ქართულ-ქართველური და ქართველი”* (გვ. 351). არსებულ საკითხზე უდავოდ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის უგულვებელყოფასა თუ უგოდინარობასთან გვაქვს საქმე. ქვეყნის სახელწოდება “საქართველო” ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის – ქართლის სახელწოდებიდან კი არ მომდინარეობს, არამედ ეთნონიმიდან – “ქართველი”. არც ტერმინი “ქართლელი” არ გაფართოვებულა და ის “ქართველურად” და “ქართველად” არ გარდაქმნილა. “ქართლელი” გვიან წარმოქმნილი სახელწოდებაა, რადგან “ქართველი” ერქვა საქართველოს ყველა მკვიდრსაც და ქართლის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის მცხოვრებსაც. ვინც თავდაპირველად ქართლის მკვიდრი ანუ “ქართველი” იყო, მას ყველა ქართველისაგან, საქართველოს სხვადასხვა ეთნოგრაფიულ და გეოგრაფიულ ერთეულებში მკვიდრი ქართველების გასამიჯნავად ქართლელი ეწოდა (იხ.: დავით მუსხელიშვილი. ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის. – საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993). რაც შეეხება სიტყვას “ქართველური”, ის არც თუ ისე დიდი ხნის წინ შექმნილი სამეცნიერო ტერმინია ქართველ ენათმეცნიერთა მიერ და მხოლოდ და მხოლოდ ქართული, მეგრულ-ლაზური და სვანური ენების აღმნიშვნელია: “ქართველური ენები”. სხვა კონტექსტში ტერმინი “ქართველური” არ გამოიყენება.

შექმნის ზუსტად ოცი წლისთავზე ეს ერთობა ხუხულასავით დაიშალა. ახლა ქართველი გვთავაზობს ახალი ზეეთნიკური ერთობის შექმნას იმავე საბჭოთა ტერმინებით. ვინმეს ხომ არ უნდა, რომ ქართველთა მიერ შექმნილი ზეეთნიკური ერთობა – ქართველიანიც (საქართველოს მოქალაქეთა ერთობა) ასევე ხუხულასავით დაიშალოს? მიმაჩნია, რომ “ქართველიანი” ესაა ახალი რუსული ტერმინის (ზეეთნიკური ერთობის) “რასიანეს” კალკი. ზემოთ მოყვანილ ციტატას თუ დავუჯერებთ, თურმე, ოსები თვითშეგნებით ქართველებს ემსგავსებიან. ეთნიკური ცნობიერება არის ეთნიკური ცნობიერება; კულტურათა მსგავსებაზე საუბარი შეიძლება, მაგრამ ხალხების ეთნიკური ცნობიერების მსგავსებაზე საუბარი ნონსენსია. ოსები თვითშეგნებით ქართველებს თუ ემსგავსებოდნენ, იმიტომ არ დაუპირისპირდნენ მათ შემფარებელ ქართველებს, რუსების დახმარებით, იმიტომ არ წარიტაცეს მათ ძირძველი ქართული ტერიტორიები და კიდევ იმიტომ არ უჭირავთ თვალი სხვა დიდი ტერიტორიების მითვისებაზე? “კრიტიკოსი” პირდაპირ გვიცხადებს, რომ საჭიროა ახალი ეროვნული თვითშეგნება, რაც ფაქტობრივად, ახალი ეთნოსის წარმოქმნას მოასწავებს, ახალ ეთნოსს კი, ბუნებრივია, ახალი სახელწოდებაც ჭირდება. ასე, ხელის ერთი მოსმით, წყვეტენ ვიღაცეები ქართველი ხალხის ბედს.

კიდევ ერთი გარემოების შესახებ: საბჭოთა ტერმინი გახლდათ “ეროვნული უმცირესობაც”. საქართველოში ერს/ნაციას მხოლოდ ქართველები წარმოადგენენ. საბჭოთა პერიოდის “ეროვნული უმცირესობების” აღმნიშვნელი ტერმინი “ეთნიკური უმცირესობაა”.

არც ის არის მეცნიერება, როდესაც გვიცხადებენ, თუ კავკასიურ ცივილიზაციას ვაღიარებთ, მაშინ კავკასიაში არსებული პრობლემები, უპირველეს ყოვლისა, ეთნიკური კონფლიქტები მოწესრიგდებაო. რამდენიც გინდა აზერბაიჯანელებსა და სომეხებს, ინგუშებსა და ოსებს ელაპარაკე და “უმტკიცე”, თქვენ ორივენი კავკასიის ცივილიზაციის წარმომადგენლები ხართო, დაივიწყებენ წარსულს, მიტაცებულ ტერიტორიებს დაუბრუნებენ და სიამტკებლობით იცხოვრებენ ერთმანეთთან? სხვათა შორის, არც ერთი სომეხი და აზერბაიჯანელი მეცნიერი არ ლაპარაკობს საერთო

კავკასიური ცივილიზაციის არსებობაზე, რაღა მაინცდამიანც ქართველები წამოვეგეთ სხვათა მიერ გადმოგდებულ ანკესზე? მავანს და მავანს ხომ არ უნდა მდიდარი ქართული კულტურისა და წარსული სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების დაკნინება და გაქრობა? იმ დროს როსდესაც მთელ ჩაჩან ხალხს ტერორისტებად აცხადებენ და ქართველებსაც – მათ ხელისშემწყობებად, ხომ არ უნდათ მსოფლიოს დაანახონ, რომ ქართველები და ჩაჩნები ერთი სტერეოტიპის მატარებელი ხალხია, ისინიც ტერორისტები არიან და როგორც პირველთა, ისე მეორეთა ტერორისტობის საფუძვლს საერთო კავკასიური ცივილიზაცია წარმოადგენს?

აუცილებლად მიმაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ჩემი “კრიტიკოსი” ე. წ. კავკასიური ცივილიზაციისადმი მიძღვნილ არც ერთ ნაშრომში ორიგინალური არაა – ის იმეორებს მისი “რუსეთელი” კოლეგების “ნააზრევს”. არც ესაა მეცნიერება! პირველ ნაწილში აღვნიშნეთ და კვლავ უნდა გავიმეორო, რომ “კავკასიური ცივილიზაცია” და “ლიცო კავკასკოე ნაციონალნოსტი” ერთ თავში “გადახარშული” ტერმინებია. ის ერთგვარი სატყუარაცაა. კავკასია აღარაა ერთიანი სივრცე – ის სხვადასხვა გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური სისტემების ნაწილებად იქცა. გარკვეული წრეები ამ რეალობის წინააღმდეგ გამოდიან და ცდილობენ თანამედროვეობის არაერთი მოვლენა ისტორიით შეამაგრონ. “კავკასიური ცივილიზაცია” ახალი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ვითარების საწინააღმდეგოდ მოფიქრებული ლამაზი ცნებაა. მავანთა ვარაუდით, რადგან კავკასიას საერთო კულტურული (გეოკულტურული), საერთო ისტორიული (გეოისტორიული), საერთო ენობრივი საფუძვლები ჰქონდა და აქვს, ამიტომ კავკასიის ორი – გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური – სისტემების არსებობას პერსპექტივა არა აქვს; ე. ი. ის ძველებურად, როგორც უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში, ერთი და ერთიანი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური სისტემა უნდა იყოს.

ავტორის უარყოფითი დამოკიდებულება “კავკასიური ცივილიზაციის” მიმართ სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ კავკასიის ხალხები ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდნენ, რომ მათ ერთმანეთთან ურთიერთობა არ ჰქონდათ, არ ღებულობდნენ ერთმანეთისგან

კულტურის ელემენტებს. კავკასიელები ანთროპოლოგიურად ახლოს დგანან ერთმანეთთან, მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას მეცნიერებაში ხელოვნური ცნებები და ტერმინები შევქმნათ და არარსებული არსებულად გამოვაცხადოთ. ამით მხოლოდ თავს მოვიტყუებთ და გარეშეთ განქიქების საბაზს მივცემთ. კავკასიელი ხალხების მომავალი განვითარება ურთიერთპატივისცემასა და სიმპატიებს უნდა ეფუძნებოდეს, მიუხედავად იმისა, პოლიტიკურად სად იქნებიან ისინი. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ კავკასია კონფლიქტებმა მოიცვა, ხალხები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. მშვიდობიან კავკასიას, ურთიერთპატივისცემას ალტერნატივა არ გააჩნია. ამისათვის სრულიადაც არაა საჭირო ისტორიის შელამაზება, ახალი მითოლოგიების შექმნა.

დღეს რუსეთშიც ბევრი სერიოზული მეცნიერია შემფოთებული შექმნილი ვითარებით, შემფოთებულნი არიან ისტორიის ფალსიფიკაციის მცდელობებით, მითოლოგიების შექმნით. იმავე აზრისანი არიან ე. წ. კავკასიური ცივილიზაციის შესახებაც. ამის დამადასტურებლად შემოგთავაზებთ ამონარიდს ცნობილი კავკასიათმცოდნე ეთნოლოგის *ი. კარპოვის* ნაშრომიდან: «Методологические, гносеологические возможности и перспективы цивилизационного метода оказались восприняты и оценены поверхностно, а его резерв почти не был реализован. Сторонники данного метода (объявившие себя таковыми) не ввели дополнительных и не предложили оригинальных прочтений известных источников. В итоге не было представлено новых аспектов интерпретации материала и лишь на словах повторялся тезис об уникальности культуры собственного народа или всего горного Кавказа. **Понятия «цивилизация», «цивилизационный» в большинстве случаев оказались не более чем завлекательными эпитетами**»⁸⁹. ე. წ. “ცივილიზაციური მიდგომის” მეთოდის მიმდევარი გახლავთ ჩემი “კრიტიკოსიც”. “ცივილიზაციური მიდგომა” კი დაშლილ საბჭოთა იმპერიაში გახდა პოპულარული მარქსიზმ-ლენინიზმის წიაღიდან გამოსულ მეცნიერთა შორის, რომლებმაც მეცნიერების კრიზისის

⁸⁹ *Карпов Ю. Ю.* Традиционные горско-кавказские общества: к проблеме особенностей функционирования в свете истории интерпретаций. – Традиции народов Кавказа в меняющемся мире: преемственность и разрывы в социокультурных практиках. – СПб., 2010. С 175-176.

პირობებში თავის გადარჩენისათვის სხვა, ე. წ. “ცივილიზაციურ მიდგომას” მიმართეს, მითუმეტეს, რომ ის ფრიად პოპულარული აღმოჩნდა პოლიტიკურ დისკურსშიც. “ცივილიზაციური მიდგომა” კრიტიკის ქარცეცხლში აქვთ გატარებული მთელ რიგ მკვლევარებს და აღნიშნავენ მის გასაოცარ წიმააღმდეგობრიობასა და პრიმიტიულობას⁹⁰. ე. წ. კავკასიური ცივილიზაციის ადეპტები მის ტიპურ ნიშნებად მიიჩნევენ ცხოვრების სამხედრო სტილს, სტუმართმოყვარეობას, უხუცესების კულტს, საოჯახო ცხოვრების მკაცრს რეგლამენტს კაცისა და ქალის დიხოტომიის ხაზგასმით, მამაკაცის სრული ბატონობას... ამ ნიშნების მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიელთა კულტურულ და მენტალურ იდენტობაზე შეიძლება საუბარი და არა ცივილიზაციაზე. ამ კულტურულ და მენტალურ იდენტობაში ქართველთა შეყვანის არავითარი საფუძველი არა გვაქვს. ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნები სხვადასხვა ხარისხით სხვა გეოგრაფიული რეგიონებისათვისაც იყო დამახასიათებელი. მეცნიერებაში შენიშნულია, რომ ჩრდილოეთ კავკასიური საზოგადოებები ისლამური ცივილიზაციის ძლიერ გავლენას განიცდიდა, მაშინ როდესაც ქართული საზოგადოება ქრისტიანობის საშუალებით ისლამური ცივილიზაციის გავლენისაგან თავს იცავდა. რელიგია განაპირობებდა ქალისა და მამაკაცის ურთიერთობას, საქორწინო და დარკძალვის წეს-ჩვეულებებს. შუა საუკუნეების ევროპელ ავტორებს შენიშნული აქვთ ისლამის მიღებამდე ჩრდილოდასავლეთ კავკასიელი ქალების თავისუფალი ქცევის შესახებ, იმ დროს როდესაც დაღესტანში ქალი მუსლიმური სარწმუნოების გამოისობით გარკვეულ ჩარჩოებში იყო მოქცეული; საქართველოსა და სომხეთში კი ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა მრავალი საუკუნის განმავლობაში ქრისტიანული მორალით იყო შეპირობებული. XVIII საუკუნემდე დაღესტნურ სამართალს შარიათი წარმოადგენდა, დანარჩენ ჩრდილოეთ კავკასიაში – ჩვეულებითი სამართალი. აქაც XVIII საუკუნიდან ჩვეულებით სამართალს თანდათან შარიათი ჩაენაცვლა. აღარას ვამბობთ ქართული და

⁹⁰ *Шнирельман В. А.* Этногенез и идентичность: националистические мифо-лгии в современной России // Этнографическое обозрение, №4-2003. С.10.

სომხური სახელმწიფო და საეკლესიო სამართლის შესახებ. სამხრეთ კავკასიაში საოჯახო და საქორწინო ურთიერთობები საეკლესიო სამართლით იყო განპირობებული. რელიგია განსაზღვრავდა მიცვალებულთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებსაც. ისლამურ სამყაროში, რომლის ნაწილი ჩრდილოეთი კავკასიაა, მიცვალებული იმავე დღეს უნდა დაკრძალულიყო, საღამოთი გარდაცვლილი კი – აუცილებლად მეორე დღეს. მართლმადიდებლური ტრადიცია კი მესამე დღეს დაკრძალვას ითვალისწინებს. განსხვავება ამ თვალსაზრისითაც საკმაოდ ნათელია. ჩრდილოეთ კავკასიელი ინგუშები, ჩაჩნები, ოსები, ბალყარელები და ყარაჩაელები მიცვალებულს ძირითადად მიწისზედა და ნახევრადმიწისზედა აკლდამებში კრძალავდნენ, ადიღეელები – ხეზე; ეს უკანასკნელნი მეხისაგან მოკლულ ადამიანს აღვთაებრივებდნენ. ქრისტიანი ქართველები კი მიწაში იმარხებოდნენ. ამ ფაქტებს ხომ კომენტარი არ ჭირდება.

ერთი სიტყვით საქორწინო ტრადიციებსა და ქორწილსაც უნდა შევხვით: ჩრდილოეთ კავკასიის ყველა ხალხში ურვადი ანუ ქალის ყიდვა იცოდნენ; ამიტომაც იყო, რომ ნაყიდი ქალი ოჯახის, თუხუმის საკუთრება ხდებოდა და, ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში, ქვრივი მაშინვე ქმრის ძმის/მაზლის მეუღლე ხდებოდა. ადიღეელები მიცვალებულის გაცივებასაც კი არ ელოდნენ და მაშინვე ქალი მაზლთან, ახლა უკვე ახალ ქმართან, სარეცელს იყოფდა. ლევირატისა და სორორატის გარდა ზოგიერთ ჩრდილოეთკავკასიურ ეთნოსს გაცვლითი ქორწინების ტრადიციაც ჰქონდა. ანალოგიური რამ ქართული ეთნოგრაფიული ყოფისათვის წარმოუდგენელი და უცხო იყო: საქართველოში გათხოვილი ქალი ოჯახიდან მზითვის სახით წილს იღებდა. დიდი სხვაობა იყო საქორწინო რიტუალშიც; ქართულ ქორწილში წამყვანი ფიგურები ნეფე და დედოფალი იყვნენ, ჩრდილოეთ კავკასიის ეთნოსებში კი ისინი ქორწილის პერსონაჟებს არ წარმოადგენდნენ – დედოფალი ოთახში განცალკევებით იჯდა, ნეფე კი ან მეზობლის, მეგობრის სახლს აფარებდა თავს, ან ტყეში იყო გასული. ამ შემთხვევაშიც ხომ აშკარაა, რომ სხვადასხვა კულტურებთან, სტერეოტიპებთან გვაკვს საქმე. საერთოდ დაუსრულებლად შეიძლება ქართული და

ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების განსხვავებული ეთნიკური კულტურების შესახებ მონაცემების მოყვანა. ჩვენი “კრიტიკოსი” კი წერს, რომ კავკასიის ხალხებს ერთიანი, კავკასიური ტრადიცია გააჩნდათ (ჯ. კვიციანი 2010: 38). საქართველოში მევენახეობისა (ქართველ ხალხს 500-მდე ვაზის ჯიში ჰქონდა გამოყვანილი) და მეღვინეობის (ქართველი ხალხის კვების რაციონში ღვინოს გამორჩეული ადგილი ეკავა) მაღალი კულტურა და ჩრდილოეთ კავკასიაში მევენახეობისა და მეღვინეობის საერთოდ არ არსებობა, რა თქმა უნდა, ერთიანი კავკასიური კულტურისა და ტრადიციების მაჩვენებელი არ არის. მეცნიერება არაა, როდესაც სასურველი რეალურ ფაქტად ცხადდება. მხოლოდ ასეთი კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს ქვემოთ მოყვანილ ამონარიდს: “თანამედროვე კავკასიის კულტურულ სივრცეს, მისი მრავალფეროვნების მიუხედავად, ღრმა ისტორიული მეხსიერება ახასიეთებს” (ჯ. კვიციანი 2010: 36). რომელ ისტორიულ მეხსიერებაზეა საუბარი? დიდგორის, ბასიანისა თუ კრწანისის ომებზე? იქნებ იმ თარეშებზე, გვიან შუა საუკუნეებში საქართველოს მთელ ჩრდილოეთ მონაკვეთში ეთნიკური და დემოგრაფიული ვითარება რომ შეცვალა?

ზემოთ ჩრდილოეთ კავკასიელთა და ქართველთა ეთნიკური კულტურის ზოგიერთი ელემენტის შედარებამ ნათლად გვიჩვენა, რომ ქართველებსა და კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მცხოვრებ ეთნოსებს განსხვავებული ყოფა და ტრადიციები გააჩნდათ. ამდენად, **ნონსენსია საერთო კავკასიურ კულტურასა და, მით უმეტეს, კავკასიური ცივილიზაციის შესახებ საუბარი.** უფრო მეტიც, **არც ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს გააჩნდათ საერთო კულტურა.** ეთნოლოგიური თვალსაზრისით, დაღესტნური კულტურა განცალკევებით იდგა დანარჩენი კავკასიისაგან. საამისო ზოგიერთი მონაცემის შესახებ გაკვრით აღვნიშნეთ (მაგალითად, დაღესტნელი ხალხების ენდოგამიური ქორწინების შესახებ). დაღესტანი VII საუკუნიდან არაბული კულტურისა და ცივილიზაციის გავლენის არეალში მოექცა, ფართოდ გავრცელდა ისლამი. დანარჩენ ჩრდილოეთ კავკასიაში ისლამმა ფეხი მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეებში მოიკიდა. მართალია, ყველგან ჩრდილოეთ კავკასიაში ხელოსნობა მაღალ დონეზე იდგა, მაგრამ დაღესტნური

მოდემის ხალხების ხელოსნობა განსაკუთრებული იყო; ისინი სხვადასხვა ხელოსნური და შინამრეწველობის დარგების მაღალი პროფესიონალები იყვნენ. მაგალითად, ყუბაჩელების საარსებო საშუალებას მხოლოდ ხელოსნობა შეადგენდა. საყოველთაოდ სახელგანთქმული იყო კარატაული მაუდი, კაპუჭელების მატყლის ძაფისაგან მოქსოვილი ჩექმები, ხაიდაყური ნაქარგი ბალიშები, რომლებზედაც, მეცნიერთა დაკვირვებით, ზოროასტრული, მუსლიმური, ქრისტიანული, იუდაური და წარმართული სიმბოლოები იყო გამოყვანილი. ეს და სხვადასხვა ხელოსნური ნაწარმი საერთაშორისო ბაზრებზეც გადიოდა. დაღესტნელთათვის ფართოდ იყო დამახასიათებელი სამუშაოებზე სხვა მხარეებში გასვლა. აქური ხელოსნები მთელ კავკასიას იყვნენ მოდებულნი. სამეცნიერო ლიტერატურაში ისიცაა აღნიშნული, რომ XI-XII საუკუნეებში ხუნძეთში მედრესეც არებობდა. ყველაფერი ეს და კიდევ ბევრი რამ დაღესტანს დანარჩენი ჩრდილოეთ კავკასიისაგან ცალკე აყენებდა. ერთი სიტყვით, ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ეთნოსები ადრე შუა საუკუნეებიდან არაბული/მუსლიმური ცივილიზაციის არეალში იყვნენ ჩართულნი.

დაბოლოს, ზემოთ ვახსენე პარტიის პოზიციებიდან დანახული კავკასიის ისტორია და ეს შემთხვევით არ გამიკეთებია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ისტორიის მიმართულების სრულ პროფესორს *ჯონი კვიციანს* საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიაში აქვს დაცული. ამ დისერტაციების სათაურებია: 1. «Комсомол – активный помощник партии в коммунистическом воспитании будущих специалистов в студенческих отрядах (1971-1980 гг.): На материалах комсомольских организаций автономных республик Северного Кавказа». Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук (спец. 07.00.01 – история КПСС). Махачкала, 1981; 2. «Политика КПСС в области подготовки специалистов в высшей школе. В 60-80-е годы: опыт и проблемы (На материалах Северного Кавказа).» Спец. 07.00.01-история КПСС. Автореферат на соискание ученой степени доктора исторических наук. Ростов-на-Дону. 1991. 1991 წელის ოქტომბერში კი კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება უკანასკნელ დღეებს ითვლიდა.

იგი მალევე – 1991 წლის დეკემბრის ბოლოს დაიშალა. რაც მთავარია, თავისი სადისერტაციო ნაშრომების სათაურები და სპეციალობა *ჯ. კვიციანმა* ყველას დაუმალა და თავი კავკასიოლოგად გამოაცხადა იმიტომ, რომ მისი სადისერტაციო ნაშრომები 1960-1980-იან წლების კომკავშირისა და კომპარტიის კავკასიის ორგანიზაციებს ეხება. შეცდომაში შეიყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროც, რომლის რეესტრშიც მისი სადისერტაციო თემების სულ სხვა სათაურებია მითითებული.

ზემოთ მოყვანილი ერთი ამონარიდი კიდევ უნდა გავიმეორო: “კავკასიაში ამაჟამად შექმნილი კულტურულ-ცივილიზაციური სურათი, ზოგიერთი მეცნიერისათვის (რ. თოფჩიშვილი და სხვ.) გახდა საფუძველი იმისა, რომ კავკასიური ცივილიზაცია მითად გამოეცხადებინათ. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, არა მარტო ეს გახლავთ. **ამგვარი თვალსაზრისი მეტწილად განპირობებულია ისტორიულ მეცნიერებაში არსებული მეთოდოლოგიური კრიზისით**”. ჩვენი მსჯელობა მკითხველს დაარწმუნებდა ჩემს მიერ გაშავებული “კრიტიკოსის” ბოლო წინადადების ჭეშმარიტებაში. დიახ, საისტორიო მეცნიერება საქართველოში კრიზისს განიცდის. კრიზისის მაჩვენებელია ის, რომ ისტორიული მატერიალიზმისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის სპეციალისტებმა ისტორიულ მეცნიერებას შეაფარეს თავი. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია კავკასიის ისტორია. კავკასიის ისტორიის სფეროში აქვს თავი შეფარებული ჩემს “კრიტიკოსსაც”, რომელსაც, ფაქტობრივად, არც ერთი ნაშრომი არა აქვს კავკასიის ისტორიაში. ყველა მისი “ნაშრომი” პარტიისტორიისა და ისტორიული მატერიალიზმის პოზიციიდანაა დაწერილი, რასაც პოლიტოლოგიური თვალთახედვითაც არავითარი ღირებულება არ გააჩნია; ისინი ფაქტობრივად რუსული ენიდანაა თარგმნილი. კომკავშირსა და კომუნისტურ პარტიას რომ დავანებოთ თავი, არც სტუდენტური რაზმების ყამირ მიწებზე საქმიანობა და მათი კომუნისტური აღზრდა და არც უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალისტების მომზადება არაა კავკასიოლოგობა. უფრო მეტიც, ისტორიკოსის საქმე არ გახლავთ აგრეთვე იმის გარკვევა, ვინ დაიწყო 2008 წლის აგვისტოს ომი. საამისოდ მეცნიერ-ისტორიკოსს დრო,

დისტანცია სჭირდება, როდესაც ის დღეს არსებულ დოკუმენტებს არქივში გაეცნობა და ამ საარქივო მონაცემებს გაანალიზებს. არადა ჩვენი “კრიტიკოსი” აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ “ავტორიტეტულ” დასკვნას გვთავაზობს (ჯ. კვიციანი 2010: 129). სამწუხარო და სავალალოა, რომ ასეთ “პროფესიონალებს” მინდობილი აქვთ სტუდენტებისათვის ცოდნის გადაცემა. უფრო მეტი: “კრიტიკოსს” ეთნოლოგადაც წარმოდგენია თავი, კიდევ უფრო მეტი – სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის სპეციალისტადაც. მისი სილაბუსი “კავკასიის სოციალურ და კულტურულ ანთროპოლოგიაში” გაუგებრობისა და უცოდინარობის ნიმუშია.

ბატონო რედაქტორებო! პროფესორი ჯონი კვიციანი კავკასიური ცივილიზაციის აგიტაციითა დაკავებული, რომელიც მიზანმიმართულად აკნინებს ქართველი ხალხის ისტორიასა და კულტურას. არგაზიარება იმ ბლევისა, რომელსაც კავკასიური ცივილიზაცია ჰქვია და ამ ცივილიზაციაში ქართველი ხალხის ხელოვნურად შეყვანისა, რაც თურმე კავკასიის ხალხების დაახლოებას შეუწყობს ხელს და ეთნოკონფლიქტებს მოაწესრიგებს, სულაც არ ნიშნავს კავკასიური კულტურის დაკნინებას, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მეზობლების უპატივცემლობას, რომელთაგანაც კარგი გვახსოვს და ცუდიც. კავკასიელ მთიელთა გმირობა და თავისუფლებისადმი მისწრაფება ყველასაგან დასაფასებელია. **მეცნიერულად კი იმის აღიარება, რომ ქართველები არ იყვნენ საერთო კავკასიური ცივილიზაციის ნაწილნი და მათ განვითარების სულ სხვა გზა გაიარეს, იმას არ ნიშნავს, რომ კავკასიის ხალხებთან საერთო ენა არ გამოვჩნახოთ.**

აქვე გვინდა განვიხილოთ 1909 წელს კავკასიასა და კავკასიელების შესახებ საინტერესო მოსაზრება, რომელიც ცნობილ ქართველ მეცნიერსა და პოლიტიკურ მოღვაწეს *მიხაკო წერეთელს* ეკუთვნის; მისი პუბლიკაციის სათაურია “კავკასიის ერთობა?!“ ნაშრომი ოთხი სხვადასხვა წერილის სახით “დროების” ფურცლებზე გამოქვეყნდა. მისი ხელახალი პუბლიკაცია *დემიტრი შველიძემ* სულ ახლახანს შემოგვთავაზა. ქვემოთ მხოლოდ რამდენიმე ამონარიდს შემოგვთავაზებთ აღნიშნული პუბლიკაციიდან: “ეთნიური ერთობა

კავკასიელთა არ არსებობს არა თუ იმ აზრით, რომ სისხლით არიან სხვა-და-სხვანი, არამედ იმ მხრითაც, რომ **კულტურული და ისტორიული საერთო ტრადიციები მათ არა აქვთ**. არასოდეს არ არსებულა “კავკასიის ისტორია”, იგი მხოლოდ ხელოვნურად დაიწერება, როგორც შეერთება კავკასიის სხვადასხვა ხალხის ისტორიებისა. **არასოდეს არ არსებულა “კავკასიის საერთო კულტურა”**, იგიც სხვადასხვა კულტურათა ურთიერთზე გავლენით თუ დახასიათდება, თორემ კულტურის რომელი ისტორიკოსი დასწერს “კავკასიის კულტურის” ორგანული განვითარების ისტორიას.

საზოგადოდ, მთელი კულტურული და პოლიტიკური ისტორია კავკასიის ხალხთა ერთ კალაპოტში არასოდეს არ ჩამდგარა, რომ დროთა ვითარებაში შეუჩერებლად ედინა, როგორც ერთ დიდ მდინარეს ცივილიზაციის სხვა მდინარეთა შორის. თვითეულ ხალხს ჰქონდა თავისი ორიგინალური ისტორია დღემდე. იყო ხოლმე ურთიერთზე გავლენა, პოლიტიკურ ცხოვრებათა მიმდინარეობის შეხვედრა, შეტაკება, კავშირი საერთო მტერთა წინააღმდეგ, მაგრამ ერთობა – არასოდეს, თვით რელიგიური ერთობაც არა ყოფილა კავკასიაში ისეთი, როგორც ევროპაში პაპობამ შეჰქმნა და თავისი ბეჭედი დაასვა მთელს ევროპიულს პოლიტიკურსა და ერთობ სოციალურ ცხოვრებასა. ჩვენში კი საეკლესიო ერთობა თვით ქართველ-სომეხთა შორისაც კი მოისპო მეექვსე საუკუნეში”;

“იურდიული შეგნების ერთობა კიდევ ნაკლებად ახასიათებს კავკასიის ერებს. შეუძებელია ერთი და იგივე სამართალი შეიმუშაოს კავკასიის წარმომადგენელთა კრებამ, ისეთი დიდი განსხვავებაა მათ შორის ზნეჩვეულებათა, წესთა და ადათთა, შარიატისა და ქართულ ან სომხურ სამართალთა შორის”;

“საქართველომ კი რად მოუწოდა რუსეთს? იმიტომ რომ დაიღალა, ვედარ გაუძლო საუკუნოებით ბრძოლას სპარსეთთან, ოსმალებთან, კავკასიის დანარჩენ მუსულმანებთან. საქართველო

ერთად ერთი საქრისტიანო ქვეყანა იყო მთელს კავკასიაში და წინა აზიაში, რომელსაც პოლიტიკური თავისუფლება ჰქონდა”⁹¹.

ბევრი თანამედროვე მეცნიერიც შეწუხებულია კავკასიათმცოდნეობაში შექმნილი ვითარებით და სრულიად სამართლიანად აფიქსირებს კრიტიკულ დამოკიდებულებას, როდესაც პოლიტიკურ კონიუნქტურას ამოფარებული მკვლევარნი ფაქტობრივად საბჭოთა მეცნიერების დონეზე რჩებიან. საბჭოთა პერიოდში ქართულ-ჩრდილოკავკასიური კულტურული ერთობის იდეა ძირითადად ლინგვისტურ ნათესაობასა და საერთო კულტურული სუბსტრატის გამოკვლევებს ეფუძნებოდა, რაც განპირობებული იყო საბჭოთა კავშირში გაბატონებული მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიით⁹². მკაცრი იდეოლოგიური წნეხის ქვეშ მოქცეულმა ჰუმანიტარულმა მეცნიერებამ კი მეცნიერებს არა მხოლოდ ენათა ნათესაობის, არამედ საერთო კავკასიური კულტურული სუბსტრატის არსებობის შესახებ საუბრის საშუალება მისცა⁹³. “დღეს, თეორიული თუ მეთოდოლოგიური მიდგომებისა და პარადიგმების ცვლილებისა და მრავალფეროვნების პირობებში, კვლევის ეს მიმართულება კარგავს პოზიციებს სამეცნიერო სივრცეში, თავისი თავდაპირველი მნიშვნელობით. თუმცა, ქართულ-კავკასიური ერთიანობის იდეა პერიოდულად აქტუალიზირდება არა იმდენად სამეცნიერო, რამდენადაც პოლიტიკური ხედვების დასასაბუთებლად და ისევ სამეცნიერო ღონისძიებები – კონფერენციები, სამეცნიერო-პოპულარული პუბლიკაციები – იქცევა იდეის პოპულარიზების საშუალებად”⁹⁴. თქმულის საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ მაგალითს გავიხსენებ: მკვლევარნი,

⁹¹ *შეგლიძე დ.* გადმომახილი წარსულიდან // ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V, თბ., 2012, გვ. 266-267, 271, 274.

⁹² *ხუციშვილი ქ.* ქართულ-კავკასიური პარალელების ძიება ქართულ ეთნოლოგიურ კვლევებში. 2012 (ხელნაწერი ნაშრომი).

⁹³ *ხუციშვილი ქ.* ქართულ-კავკასიური პარალელების ძიება ქართულ ეთნოლოგიურ კვლევებში. 2012 (ხელნაწერი ნაშრომი).

⁹⁴ *ხუციშვილი ქ.* ქართულ-კავკასიური პარალელების ძიება ქართულ ეთნოლოგიურ კვლევებში. 2012 (ხელნაწერი ნაშრომი).

ხშირად მაღალკვალიფიციურნი, გადიან რა თავიანთი მეცნიერული კვლევის სფეროდან, წერენ საერთო ქართულ-ვაინახური სალოცავის, როგორც ენობრივ-ეთნიკური ერთობის დროინდელ სალოცავზე და საერთოკავკასიური წარმართული პანთეონის შესახებ. ისტორიულ-ეთნოლოგიური მონაცემები კი ასეთი შორს მიმავალი დასკვნების გამოტანის საშუალებას ნამდვილად არ იძლევა.

დაბოლოს, მოკლედ უნდა შევეხოთ საქართველოს მაღალმთიანეთში მკვიდრ ქართველთა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიურ ეთნოსებს ემეზობლებიან და რომლებსაც ერთმანეთთან ხან მეგობრული და ხან მტრული ურთიერთობა ჰქონდათ. ბუნებრივია, სერიოზულ მკვლევარს კითხვა გაუჩნდება: ქართველ მთიელებს და ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელებს კულტურის საერთო, მსგავსი ელემენტები არ გააჩნდათ?

მანამ, სანამ დასმულ კითხვას ვუპასუხებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს ხალხების/ეთნოსების შესახებ ორი ურთიერთსაპირისპირო შეხედულება გავრცელებულია. ერთნი მას მხოლოდ სოციალურ ერთობად მიიჩნევენ, მეორენი – ბიოსფეროს ფენომენად. მეორე თეორიის თანახმად, ეთნოსი და ეთნიკური კულტურა ლანდშაფტთანაა დაკავშირებული. ვფიქრობთ, ეთნოსები სოციალური ერთობებიც არიან და ბიოლოგიურ/გეოგრაფიულნიც. ხალხების წარმოქმნა, განვითარება, სიცოცხლე განპირობებულია როგორც სოციალური, ისე გეოგრაფიული/ლანდშაფტური ფაქტორებით. ეთნიკური კულტურაც, რომელიც ყველა ხალხს მისთვის დამახასიათებელი და ორიგინალური გააჩნდა, სწორედ აღნიშნული ორი ფაქტორით იყო განპირობებული. ეთნოსის ქცევასაც მისი გამომკვებავი ლანდშაფტი განსაზღვრავდა. ლევ გუმილიოვის კონცეფციით, რამდენადაც სხვადასხვაგვარია დედამიწის ლანდშაფტები, იმდენად სხვადასხვაგვარნი არიან ამ გარემოში მოსახლე ეთნოსები ორიგინალური ეთნიკური კულტურით.

რაც შეეხება კავკასიას, მისი ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, ლანდშაფტი, ჩრდილოეთ და კავკასიელთა სხვადასხვა საკონტაქტო ზონები პირდაპირ განაპირობებდა აქ მრავალრიცხოვანი ეთნოსების

და, ბუნებრივია, განსხვავებული ეთნიკური კულტურების წარმოქმნასა და განვითარებას.

საქართველოს მაღალმთიანეთთან და ქართველ მთიელთა და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა ურთიერთმიმართების საკითხთან დაკავშირებით დავამატებთ, რომ ჩრდილოეთ კავკასიის მთის და საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოს, ლანდშაფტს ბევრი რამ აქვთ საერთო. კულტურის ზოგიერთი ელემენტი ქართველ მთიელებსა და ჩრდილოეთ კავკასიელებს მართლაც მსგავსი ჰქონდათ (განსაკუთრებით ეს ხევესურეთზე ითქმის), მაგრამ ქართველი მთიელები ჩრდილოეთ კავკასიურ კულტურულ სისტემაში არ შედიოდნენ. თუ, რატომ, ეს ცალკე მსჯელობის საკითხია, მაგრამ მთავარი, რაც აუცილებელია აქ აღვნიშნოთ ისაა, რომ ქართველი მთიელები მხოლოდ მთურ ლანდშაფტზე არ იყვნენ დამოკიდებულნი. ცნობილია და ამის შესახებ ივანე ჯავახიშვილმა პირველმა აღნიშნა⁹⁵, რომ საქართველოს მთის ეთნოგრაფიული ჯგუფები მხოლოდ მთის ლანდშაფტზე არ ყოფილან დამოკიდებულნი. საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს შორის მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები არსებობდა, მათ შორის, ქართველი მთიელები სამეურნეო-ეკონომიკური თვალსაზრისით მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ბართან/ცენტრთან. საუკუნეების წინ ჩამოყალიბებული სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები კი ქართველ მთიელებს საერთო ქართულ კულტურულ სივრცეში ათავსებდა (მის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა)⁹⁶, და არა ჩრდილოეთ კავკასიურში. ქართველ მთიელთა საერთო ქართულ კულტურულ ლანდშაფტში არსებობას ხელისუფალთა მიერ მათთვის მინიჭებული ზოგიერთი ფუნქციაც განსაზღვრავდა და, პირველ რიგში, ეს საზღვრების დაცვის ფუნქცია

⁹⁵ *გეგეშიძე მ.* აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი საქართველოს შინაგანი სამეურნეო, კულტურული კავშირურთიერთობის შესახებ // მაცნე, ისტორიის... სერია, 1973, 12; *თოფჩიშვილი რ.* ქართველთა ეთნიკური ისტორია და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბ., 2002.

⁹⁶ საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია. *როლანდ თოფჩიშვილის* საერთო რე-დაქციით. -თბ., 2010. გვ.106-153.

იყო. მთის ეთნოგრაფიული ერთეულები მაღალი სახელმწიფოებრივი და ეროვნული შეგნებითაც გამორჩეულნი იყვნენ. საამისოდ ბახტიონის აჯანყება და კრწანისის ბრძოლის დასახელებაც საკმარისია. რაც ყველაზე მთავარია, ქართველ მთიელთა ქრისტიანობა მათ ჩრდილოეთ კავკასიელებისაგან დისტანცირებასაც ახდენდა. ასე რომ, ქართველი მთიელებიც საერთო ქართული კულტურისა და ცივილიზაციის ნაწილს წარმოადგენდნენ და ამ თვალსაზრისით მათ ე. წ. კავკასიურ ცივილიზაციასთან ფაქტობრივად საერთო არაფერი ჰქონდათ.

P.S.

1. ბატონო რედაქტორებო! *გ. კვიციანის* “კრიტიკული” წერილი, რომლის პასუხიც აქ შემოგთავაზეთ, კარგა ხანია ჩემთვის ცნობილია. ის ჩემი სათაყვანებელი ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის, სადაც “კრიტიკოსი” ჩემი ხელდასხმით მოხვდა, ვებ-გვერდზე იდო. ეს ის ისტორიის ინსტიტუტია, სადაც გავიზარდე და წლების განმავლობაში ურთიერთობა მქონდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერებთან, რომლებსაც ისევე როგორც თითოეულ თქვენგანს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საისტორიო სკოლა ჰქონდა განვლილი, რა თქმა უნდა, არა პარტისტორიის განხრით. გულდასაწყვეტია, რომ *გ. კვიციანის* ნაზრევს, პოზიციას ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი იზიარებდა.

საინტერესოა, ვისი გადაწყვეტილებით გამოიძღო ვებ-გვერდზე ეს ოპუსი. ასეთ საკითხებს, ჩვეულებრივ, სამეცნიერო საბჭო უნდა წყვეტდეს. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს კი კარგა ხანია თავმჯდომარე არა ჰყავს. სერიოზული კრიტიკა ყოველთვის მისაღებია. რამდენიმე წლის განმავლობაში თავზე ლაფის დამსხმელი წერილების სერია ქვეყნდებოდა ჩემი მისამართით. ბოლოს ნაცარქექიაც კი მიწოდეს, იმის გამო, რომ კონკრეტული პიროვნება პლაგიატორობაში ვამხილე. სალანძღავ წერილებს არ ვპასუხობდი, რადგან მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ ლანძღვას არ უნდა უპასუხო. ასევე ვფიქრობდი *გ. კვიციანის* შესახებაც, რომელსაც, რა თქმა უნდა, ეთიკის ნორმები არ დაურღვევია, მაგრამ შეფარვით ფაშისტური, არალიბერალური აზროვნების ადამიანი და უცოდინარი მიწოდა. რა თქმა უნდა, ასეთი მხოლოდ იმისთვის ვარ, ვისაც

ფრაგმენტული ცოდნა გააჩნია კავკასიის ისტორიისა და კავკასიელ ხალხთა კულტურების შესახებ.

პასუხი იქნებ ცოტა მკვახედაც გამომივიდა იმიტომ, რომ მის ქმედებაში ბევრი რამ არის დამაფიქრებელი და, თუ ჩავუფიქრდებით, საისტორიო დარგისა და საქართველოს მომავალთანაცა დაკავშირებული.

2. ბატონო თედო! ახლა მოგმართავთ როგორც ოფიციალურ პირს – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს. ზემოთ ორჯერ ვახსენე “კავკასიის ხალხთა კულტურული (სოციალური) ანთროპოლოგიის” სალექციო კურსი, რომლის სილაბუსი სტუდენტისაგან გადმომეცა, და, რომელსაც აღნიშნული პიროვნება კითხულობს კავკასიოლოგი მაგისტრანტებისათვის. ამჯერად არ ვეხები კურსის შინაარსსა და თითოეული ლექციის ირგვლივ მითითებული ლიტერატურის შეუსაბამობას. მხოლოდ შეგახსენებთ, რომ კულტურული ანთროპოლოგებიცა და სოციალური ანთროპოლოგებიც არასდროს ხალხებს არ სწავლობდნენ, მათ ეთნოსები არ აინტერესებდათ და არ აინტერესებთ; არ აინტერესებთ ანთროპოლოგებს არც ეთნოგენეზი და ეთნიკური ისტორია, “ტერიტორიულ-ეთნიკური ლოკალიზაცია” და “ეთნიკური დინამიკაც”. ამ საკითხებით კი მისი სილაბუსი დახუნძლულია. ანთროპოლოგთა კვლევის სფერო მხოლოდ ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციოკულტურული სისტემები, ცალკეული საზოგადოებები და ჯგუფებია. ხალხები/ეთნოსები მხოლოდ ეთნოლოგთა კვლევის საგანია. ასე რომ, სალექციო კურსის სათაური და მისი შინაარსი ზედმეტად ალოგიკურია.

“კრიტიკოსის” ერთ-ერთი წიგნით – “კავკასია და კავკასიელები” – კავკასიოლოგი-სტუდენტები “ცოდნას ეწაფებიან”. ბატონო თედო! ახლა უკვე მოგმართავთ არა როგორც ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს, არამედ როგორც ძველი ისტორიის შესანიშნავ მცოდნეს: ა) დიაოხის ქვეყანა დასავლეთ საქართველოში (რიონის აუზში) მდებარეობდა, თუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე? თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ნებისმიერმა შემსვლელმა იცის, რომ დიაოხი

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და მის მიმდებარე სამხრეთ ტერიტორიას მოიცავდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი კი სტუდენტებს შემდეგ რამეს ასწავლის: *“დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ძვ. წ. აღ.-ის II-I ათასწლეულების მიჯნაზე წარმოიქმნება დიაოხის სამეფო, შემდგომ საუკუნეებში – კოლხა, ეგრისი (კოლხეთი)”* (ჯ. კვიციანი 2010: 33); **ბ**) იმავე წიგნში შემდეგსაც ვკითხულობთ: *“ანტიკური ხანის სომხების სახელმწიფოებრივი აღზევების ხანად ითვლება ძვ. წ. აღ.-ის II-I საუკუნეების “დიდი სომხეთი”, რომელიც კასპიის ზღვიდან ეგვიპტემდე იყო გადაჭიმული”* (ჯ. კვიციანი 2010: 34). დამეთანხმებით, ვერც ერთ სერიოზულ სამეცნიერო გამოკვლევაში “დიდი სომხეთის” ასეთ ისტორიულ-გეოგრაფიულ აღწერილობას ვერ ნახავთ. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ აღნიშნული სახელმწიფო სამხრეთით მხოლოდ სირიასა და მესოპოტამიის ჩრდილოეთ ნაწილს მოიცავდა; ტიგრან II-ის სომხეთს ეფვრატი მიჯნავდა სელევკიდების მმართველობაში დარჩენილი ტერიტორიისაგან⁹⁷; **გ**) ორი, ერთმანეთის მეზობელი ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულის აღსანიშნავად ხშირად გამოიყენებენ დევისს, მაგალითად, ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთ-გუდამაყარი, ტაო-კლარჯეთი, რაჭა-ლეჩხუმი, მაგრამ კომპოზიტს *“ჯიქეთ-დვალეთი”* პირველად გადავეყარე (ჯ. კვიციანი 2010: 74). სად ჯიქეთი და სად დვალეთი? დვალეთი ცენტრალურ კავკასიაში მდებარე ქართველთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე იყო, სადაც XVI-XVII საუკუნეებში ქართველ მთიელებს ეთნიკური ოსები ჩაენაცვლნენ, ხოლო ჯიქები აფხაზეთიდან ჩრდილო-დასავლეთით მცხოვრებ ეთნიკურ ერთობას წარმოადგენდნენ, რომლებსაც მეცნიერები უბიხებთან და სამებთან აიგივებენ; **დ**) თურმე ხალხთა/ეთნოსთა ეთნოგენეზზე კი არა და ქვეყნების ეთნოგენეზზე უნდა ვისაუბროთ; დიახ, “კრიტიკოსი” არა მხოლოდ “აზერბაიჯანის ეთნოგენეზის” შესახებ საუბრობს, არამედ “აზერბაიჯანის ავტონომიურობაზეც” (ჯ. კვიციანი 2010: 145). ავტოქტონურნი ეთნოსები არიან, და არა – ქვეყნები. მხოლოდ ანალოგიური “მარგალიტები” მითითებულ

⁹⁷ *Тер-Саркисянц А. А.* История и культура армянского народа с древнейших времен до начала XIX в. – М., 2008, С. 64-67.

წიგნში კიდევ ბევრია. ასეთი წიგნები უნდა იყოს მაღალი ტრადიციების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების სახელმძღვანელო?

ამრიგად, კავკასიური ცივილიზაციის იდეა ნონსენსია, მითოლოგემაა, რომელიც პოლიტიზებულ მეცნიერთა მიერაა შექმნილი. ის ისტორიის სასურველი გზით რეკონსტრუქციის და ინტერპრეტაციის მხოლოდ წარუმატებელ მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ. “კავკასიური ცივილიზაცია” იდეოლოგიური დისკურსია, რომელსაც ჩიხში შეყავს სამეცნიერო ცოდნა. ამ ე. წ. გამაერთიანებელ მითს არავითარი მეცნიერული პერსპექტივა არ გააჩნია და როგორც ცნობილი ისტორიკოსები შენიშნავენ ისტორიული ჭეშმარიტებისათვის ბრძოლაში ისტორიის მითოლოგიზებულ ვერსიებს საკადრისი პასუხი უნდა გაეცეს⁹⁸.

⁹⁸ *Hobsbawm E. J.* Ethnicity and nationalism in Europe today // *Anthropology today*. 1992. Vol. 8. M 1. P. 3.

Миф о кавказской цивилизации

В последнее время часто говорят о «Кавказской цивилизации» – под таким названием издаются книги, разного рода труды, проводятся международные научные форумы. Мы сознательно не называем грузинских авторов научных или другого рода публикаций, содержащих подобные названия, хотя следует заметить, что в последнее время в Тбилиси были проведены два международных конгресса под девизом «Кавказская цивилизация: история и современность».

В первую очередь отметим, что Кавказ – довольно большой регион, расположенный на рубеже Европы и Азии, площадь которого по принятому сегодня искусственному определению равен 467 964 квадратным километрам, а реально – больше. Если к данной площади прибавить площадь реального географического Кавказа, находящегося в пределах Турции и Ирана (северо-восточные вилайеты Турции и крайние северные области двух северо-западных останов Ирана), то его площадь превысит 580 000 квадратных километров. По современным научным данным, Северный Кавказ относится к Европе, Южный Кавказ – к Азии. Для Кавказа характерна одна очень важная черта: он на протяжении всей истории был и по сей день остается этнически и культурно весьма пестрым. Кавказ был географическим ареалом скопления, сосуществования различных культур и этносов. Нельзя забывать и о том, что ввиду своего географического местоположения Кавказ входил в сферу интересов разных империй. Так это и сегодня.

Имели ли общую, сходную культуру и были ли составляющими одной цивилизации многочисленные народы, живущие в различных природно-географических и климатических условиях, носители разных идеологий? Иначе говоря, существовала ли «кавказская цивилизация»? Читатель поймет, что заключение в кавычки кавказской цивилизации отражает наше отношение к поставленному вопросу.

